მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში – ტყე დანაბინდები,
ტყეში – ქორბუდა ირმები...

ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევ მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?”



როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოაწყდება ზღვაური
მეშვიდე ცაზე ატანილს...

კლდეებში ჯიხვი დაფრთხება,
გორში იტირებს ატამი,
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი,
„სხვა საქართველო სად არი?”

ანა კალანდაძე



ქართული

## სიყვარული, თუნდაც წილი?!

სოფიკო

## „ფუფალა“ საპატიო კავალერიაში



44

# მამული

ასავალ დასავალის

2003 წლიდან



ამ სურათს შემთხვევით წავაწყდით ჩვენს ფოტოარქივში. მასზე ამერიკაში არსებული ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „მოცეკვავე წეროს“ მხოლოდ ვაჟთა ვოკალური ჯგუფის წევრებია გამოსახული.

უკვე „მოცეკვავე წერო“ არსებობის ათეულ წელზე მეტს ითვლის და გაზეთ „მამულის“ რედაქციას მოკრძალებულად სურს შეუერთდეს უამრავ მილოცვას და მადლობა უთხრას იმ მამულიშვილობისათვის და თავდადებისათვის, რასაც ამ ანსამბლის თითოეული წევრი ეწევა ქართულ ემიგრაციის ცხოვრებაში.

ქართველი ქალის მშვენიერება უძველესი დროიდან იყო ცნობილი. დიდი ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი თავის ერთ-ერთ გენიალურ ნაწარმოებში — „უცხო შედევრი“ მშვენიერ გმირ გოგონას ასე ახასიათებს: „ჟილეტა იდგა მის წინაშე გულუბრყვილო და შემკრთალი, როგორც უმანკო ახალგაზრდა ქართველი ქალი, რომელიც მეკობრეებს გაუტაცნიათ და მონებით მოვაჭრეებისათვის მიუგვრიათ; ღაწვები მორცხვობით გამოწვეულ სიწითლეს შეეფაკლა, ხელები ულონოდ ჩამოეშვა. ჩანდა, რომ ძალა შემოლეოდა და მხოლოდღა ცრემლები შერჩენოდა შელახული კდემამოსილების დასაცავად“.

გენიალური გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი კი ამბობს: „ყველა ევროპელი, რომელიც საქართველოში მოხვედრილა, ერთხმად ლაპარაკობს ქართველი ქალიშვილების სრულიად გამორჩეულ მშვენიერებაზე“ და იქვე დასძენს: „საქართველო მზეთუნახავთა ორანჟერეაა“.

მსგავსი აღფრთოვანება არაერთხელ გამოუხატავთ საქართველოში მოხვედრილ უცხოელებს, მაგრამ ქართველი მანდილოსნები მხოლოდ ბიოლოგიური მშვენიერებით როდი გამოირჩეოდნენ, არანაკლებ აღტაცებას იწვევდა მათი გმირული თავგანწირვა სამშობლოსა და სარწმუნოების დასაცავად. სამშობლოსათვის თავდადება და გმირი მამულიშვილების აღზრდა ხომ ქართველი დედის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა.

- დედის დღეა...

თვალწინ მიდგანან სახელოვანი შვილების სახელოვანი დედები:

- რუსთაველის ცხოვრება დღესაც აღელვებს ყველა ჭეშმარიტ ქართველს. ისტორიული წყაროები კი სდუმან. მაგრამ „ქვაბისხევის მონასტერში არის ერთი ფრესკა: ახალგაზრდა ჭაბუკი და შუახნის ქალი ღმერთს ევედრებიან თითქოს. მკვლევართა ვარაუდით, ჭაბუკი შოთა რუსთაველია, ხოლო მის გვერდით, დედამისი, საქართველოს უპირველესი დედათაგანი, ვინც კაცობრიობას მისცა დიდი შოთა რუსთაველი. თითქოს მის სახელსაც კითხულობენ იქვე, იაი რქმევია დიდი შოთას დედას. სინამდვილეში კი არავინ იცის. ან როგორ მისწვდები გარდასულს, რვა საუკუნის წინანდელ ამბებს, როგორ ამოიკითხავ ყველაფერს, რაც რუსთაველის ბიოგრაფიას ასე გაამდიდრებდა და დაამშვენებდა“...

- დიდი სიყვარულით უყვარდა ეფემიას შვილი – ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეფემია ლამაზი ქალი იყო „მაღალი, ქერა, ქართულად ეცვა გულ-პირამოჭრილი კაბა“. თანამედროვეთა გადმოცემით, თურმე ტატო გარეგნობითაც და სულიერი სამყაროთიც დედას ემსგავსებოდა...

- ილია ჭავჭავაძეს თერთმეტი წლისას გარდაეცვალა დედა, მაგდანა ბებურიშვილი, ის გახლდათ „საღვთო სჯულის“ დამცველი და „ვეფხისტყაოსნის“ მაღმერთებელი. შვილებსაც წერა-კითხვას თვითონ ასწავლიდა. ყვარელი, მშობლიური სახლი, უსაყვარლესი დედა სამუდამო მოგონებად დარჩა ილიას გონებას. დიდი ადამიანური გრძნობით გააცოცხლა მისი ხატება მწერალმა თავის მოთხრობაში „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“...

- აკაკის დედას, ეკატერინე აბაშიძეს მაღალი არისტოკრატიული წარმომავლობა ჰქონდა. მორწმუნე ქალი იყო და კარგად იცოდა წმინდა წიგნები. ეკატერინე მკაცრი, სპარტანული წესით ზრდიდა შვილებს: „კაცი ისე უნდა იყოს დაჩვეული ბავშვობიდანვე, რომ ცხოვრებაში ყველაფერი აიტანოსო“...

- გარეგნულად ლამაზი ყოფილა ვაჟას დედა, გულქანი. „დედაჩემი ლამაზი, მეტისმეტად გულკეთილი და სათნო ადამიანი იყო. შეუძლებელი იყო, ვინმესთვის მაღალი სიტყვა ეთქვა, ან ვისმეს გასჯავრებოდა. იმას ღარიბ-ღატაკი ძალიან ებრალებოდა. როდესაც ვინმე ჩვენსა სამათხოვროდ მივიდოდა, აღარ იცოდა, როგორ დახმარებოდა“, - იგონებდა ალექსანდრე რაზიკაშვილი...

- „რა არის ტკბილი დედის ნანაზე, მე მიმატოვა ადრე იმ ნანამ“ - წერდა გალაკტიონი...


გრიგოლ გაგარინი
მანანა (მაიკო) ორბელიანი


გრიგოლ გაგარინი
მართა სოლოღაშვილი


რობერტ სტურუა
ნინო ჭავჭავაძე


უცნობი მხატვარი
ელისაბედ ორბელიანი


შალვა მატუაშვილი
მაიკო ცქიტიშვილი


ირაკლი ფარჯიანი
თამარ ხუნდაძე


საველი სორინი
ელისო დადიანი


ზინაიდა სერებრიაკოვა
სალომე ანდრონიკაშვილი


ირაკლი თოიძე
ალექსანდრა (შურა) თოიძე


საველი სორინი
მელიტა ჩოლოყაშვილი


იგორ გრაბარი
ნატო ვაჩნაძე


იგორ გრაბარი
მედეა ჯაფარიძე


ქეთევან მაღალაშვილი
ნელი ჩიქოვანი


ვასილ შუხაევი
ნინა თუმანიშვილი


უჩა ჯაფარიძე
ეთერ ბუხრაშვილი


ციალა კანდელაკი
ლიანა ასათიანი


თამაზ ხუციშვილი
დოდო ჭიჭინაძე


ქეთევან მაღალაშვილი
მანანა ხიდაშელი


ზურაბ ნიჟარაძე
ნანა ხატისკაცი


ზურაბ ნიჟარაძე
მანანა ქიქოძე


გოგი თოთიბაძე
ნათია ამირეჯიბი


დიმიტრი ერისთავი
ინესა ჩოხელი


დიმიტრი ერისთავი
მარინა კარციგაძე


გივი ცერაძე
ნანა ლვინეფაძე


მერაბ ბერძენიშვილი
კირა მიქელაძე


უჩა ჯაფარიძე
იამზე დოლაბერიძე


ზურაბ ნიჟარაძე
გაიანე თაყაიშვილი


ზურაბ ნიჟარაძე
ნინო ანანიაშვილი

## 3 მარტს, დედის დღეს გარდაიცვალა დედა-დედოფალი




საოცარია ლიტერატურული პერსონაჟის ფილმის პერსონაჟად გადაქცევის პროცესი. ლიტერატურული პერსონაჟი, თუ იგი დიდი მწერლის კალმით არის შექმნილი, იმდენი სახით შეიძლება არსებობდეს, რამდენიც ეყოლება ჭეშმარიტი მკითხველი, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება მანამდე არც აცნობიერებდეს თავის წარმოდგენაში არსებულ პერსონაჟს, სანამ იგი სცენაზე ან ეკრანზე არ მოევლინება. მაშინ იგი ან დაემთხვევა მის წარმოდგენას, ან მისთვის მიუღებელი აღმოჩნდება ხოლმე. თავის მხრივ ეკრანული ან სცენური სახე რეჟისორისა და მსახიობის ერთობლივი შრომის ნაყოფია, ფაქტიურად ისინი გვევლინებიან კრებითი მკითხველის როლში და ამა თუ იმ პერსონაჟის თავიანთ ვარიანტს გვთავაზობენ. ამ მიზნის მისაღწევად მათ უწევთ მწერლისეული აქცენტების გადანაწილება ან თავმოყრა, რათა ეკრანულმა სახემ გამოკვეთილი კონტურები შეიძინოს — გახდეს დრამატული, ტრაგიკული, კომიკური და ა.შ. ცხადია, საქმე უფრო რთულდება, როცა ლიტერატურული პერსონაჟი ერთ ყალიბში ვერ თავსდება, მაგალითად: არის ტრაგი-კომიკური, როგორც გიორგი ლეონიძის ერთ-ერთი ნოველის გმირის ფუფალას სახეა. ტრაგი-კომიკურობა მჟღავნდება ფუფალას გარეგნობაში, ჩაცმულობაში, მეტყველებაში, პერსონაჟისადმი ავტორის და ხალხის (ანუ სოფლის) დამოკიდებულებაში და მისი განსახიერება მსახიობისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. საკმარისია ერთი გაუაზრებელი ჟესტი, ერთი მცდარი მიმიკა, მიხრა-მოხრასა და მეტყველებაში ზედმეტი შტრიხის ან ინტონაციის შეტანა, რომ ფუფალას სახე სოფლის სამასხარაო ერთ ჩვეულებრივ პერსონაჟად იქცეს, როგორც მრავლად გვინახავს ქართულ სცენაზე თუ ეკრანზე. სოფელი ერთობა, დასცინის ფუფალასნაირებს, თუმცა ზოგჯერ ისინი თავს თვითონვე იმასხარავებენ, აჰყვებიან ხოლმე სოფელს მასხარაობაში (პრინციპში, ესეც ერთგვარი თავდაცვის ინსტინქტია), რადგან სოფელზე არიან დამოკიდებული და მისგან გადმოგდებულ ლუკმას სხვაგვარად ვერ მოიპოვებენ. მაგრამ არსებობს ასეთი ადამიანების სხვა კატეგორიაც: მათ აქვთ ფარული სიამაყე, ღირსება და თავმოყვარეობა, ისინი ხშირად ზნეობრივად მაღლა დგანან იმ საზოგადოებაზე, რომელიც მათ გონებასუსტად თვლის, სინამდვილეში ისინი თავს არც უყადრებენ სოფელს და სოფელიც გულის სიღრმეში მათ პატივს სცემს. ასეთი ტიპაჟია ფუფალა გენიალური ფილმის ავტორის თენგიზ აბულაძისათვის და იგი, ბუნებრივია, მსახიობისგანაც შესაბამის არატრაფარეტულ ხერხებს მოითხოვს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის თამაში ტრაგიკულისა და კომიკურის ზღვარზე, სადაც კომიზმი ნელ-ნელა უკან იხევს, ტრაგიზმი კი თანდათან გროვდება, იძაბება, მძიმდება და კულმინაციას ფინალში აღწევს. ფინალამდე დიდი და ძნელი გზაა გასავლელი და საინტერესოა, როგორ გადის ამ გზას სოფიკო ჭიაურელი.

ჩავიხედოთ პირველწყაროში და ვნახოთ, როგორ აღწერს ფუფალას პირველ გამოჩენას გიორგი ლეონიძე: „გზაზე გამოჩნდა მარტოდ-მარტო ბერიქალა, შესაფერისად ეცვა სხვა და სხვა მხიარული, ჭყეტელა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა. ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა, მეორეთი ჭრელი ბოხჩა. ძველმოდური შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის ხნის დაგლეჯილი მაღალქუსლიანი ჩაღილული ყელიანი ფეხსაცმელი, მომტვრეული, შუაზე გადაჩეხილი ქუსლი ძალზე აწვალებდა. მოქანცული, შეოფლიანებული გმინავდა შეწუხებული ცალკე სიცხით, ცალკე უხერხული ფეხსაცმლით, ცალკე თავისი მწარე ბედით!“

ეკრანული ფუფალა მხოლოდ ჩაცმულობითა და „აღჭურვილობით“ ჰგავს ლიტერატურულ პროტოტიპს. იგი არც მოქანცულია და არც ოფლშია გახვითქული, პირიქით, სოფიკო ჭიაურელის ფუფალა გრაციოზულად მოირხევა მტვრიან ბილიკზე, ღიღინებს კიდეც, სასაცილოა მისი ჩაცმულობა, დახეული ქოლგა, ქუსლმოქცეული ფეხსაცმელი, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, იგი გამოჩენისთანავე თანაგრძნობას იწვევს, ამის მიზეზი კი ისაა, რომ მსახიობი ასხივებს ერთ მთავარ თვისებას - სიამაყეს, იგი ამ სიამაყეს შინაგანად ატარებს, ესაა სოფიკოს პოზიცია ამ პიროვნებისადმი, დიახ, ფუფალა მისთვის პიროვნებაა და მე მგონი, აქ ძევს ამ როლის სწორად მონახული გასაღები. სოფიკოს არსად, არანაირ სიტუაციაში არ ავიწყდება ეს და ამიტომაა, რომ ნორმალურ მაყურებელს მის დანახვაზე არ ეცინება, პირიქით, გული ეკუმშება მაშინაც, როცა ფუფალა ბალახებში ზის, ფერუმარილს ითხიპნის სახეზე, მერე კი კიტრიპარია ბიჭისაგან მიწოდებულ კიტრს ჭამს და მაშინაც, როცა თავისავე გამოგონილ საქმროებზე ხმამაღლა მეოცნებე თვალდახუჭულ ფუფალას ხეზე გადმომდგარი ონავარი ბიჭუნა ჭავლს ზედ სახეზე მიუშვებს: ესაა სოფლის უხეში ხუმრობა, რომელიც ღიმილს მოგვგვრიდა, ჩვენს წინაშე სხვა ფუფალა რომ ყოფილიყო.

წყაროსთან თავშეყრილი ქალები უბოროტო დაცინვით ხვდებიან ფუფალას. როგორია ფუფალას რეაქცია? იგი აუჩქარებლად, გრაციოზულად ჯდება, თავის განუყრელ ბოხჩას გვერდით დაიდებს, ფაქიზად კეცავს დაგლეჯილ ქოლგას, კაბას ისწორებს და ხედავ, რა დახვეწილია მისი ყოველი მოძრაობა, რა ღირსეულად იფერებს ქათინაურებს: „მართლაც ლამაზი ვიყავი, ალქალას, ოქროქალას, თვალჟუჟუნას მეძახდნენ“, - ამბობს ფუფალა, ვითომ წარსულს იხსენებს, მაგრამ ახლაც ლამაზი ჰგონია თავი. განა ამას არ მოწმობს ის სცენა, ფუფალა ჯიბის სარკეში რომ იცქირება და სახეს ფერუმარილით იხატავს?! სოფიკო ჭიაურელი არსად არ გამოდის როლიდან - მის ყოველ ჟესტს, მიხრა-მოხრას, ლაპარაკის მანერას განსაზღვრავს ის შინაგანი პოზიცია, რაც მას აქვს ამ პერსონაჟისადმი შემუშავებული.

წყაროს ეპიზოდში ფუფალას სახეს კიდევ ერთი უსიტყვო სცენა მატებს შთამბეჭდაობას: იგი მარიტას უყურებს, არაფერს ამბობს, არც აღტაცების სიტყვები აღმოხდება, არც რაიმე ჟესტით ამძაფრებს სიტუაციას, აქ მხოლოდ სოფიკოს მეტყველი თვალები „თამაშობს“ - მარიტასკენ მიმართულ მზერაში ერთდროულად გამოსჭვივის სიკეთე, ნაღველი, აღტაცება, სინანულიც თავისი გახუნებული ქალობის გამო, მარიტასადმი სიბრალულიც და წინათგრძნობაც, რომ ეს ღვთიური სილამაზე დასაღუპადაა განწირული. იგივე ნაღველი უდგას ფუფალას თვალებში, როცა ეკლესიიდან გამოსულ მარიტას უყურებს.

ფუფალა ექიმბაშობს კიდეც, მისი კომიკური რეცეპტი: „ყვავი მოხარშე, ისე რომ ორთქლი არ გამოუვიდეს, მისი წვენი დალიე! მორიელის სისხლი გაახმე და მიიღე! მუხის ხის წყალი, მიმინოს ქონი აურიე ირმის ქონში, მტრედის გული ვარდის წყალში ჩააგდე!“ თავშეკავებული, სერიოზული, გროტესკს მოკლებული გადმოცემის გამო კვლავ სიბრალულსა და თანაგრძნობას იწვევს, ხოლო მისი „პაციენტის“ ქმრის ბუზღუნის გამგონე, ეგ ქალი გააგდე, აქედან მოაშორეო, გაიხსენეთ, რა მორჩილად და ფაქიზად დებს პირისკენ წაღებულ ლუკმას, როგორ უჩუმრად დგება, რა გულნატკენია, რა შეურაცხყოფილი, როგორ მიდის... მისი ყოველი ნაბიჯიდან მარტოსულობისა და მიუსაფრობის გარდა ისევ და ისევ შინაგანი სიამაყე გამოსჭვივის და ყველაფერ ამას ტრაგიკული ფინალისაკენ მივყავართ.

„ნატვრის ხის“ ფინალი, სადაც ერთ ფოკუსში იყრის თავს ყოველი პერსონაჟის გავლილი გზა, სადაც საბოლოოდ იკვეთება ფილმის ძირითადი იდეა, არაერთი ბრწყინვალე ეპიზოდითაა გაჯერებული და მითუმეტეს ფასეულია, რომ სოფიკო ჭიაურელის ფინალური სცენა მათ ფონზე გამოირჩევა. აქ ფუფალას ტრაგიზმი კულმინაციას აღწევს, ფილმის სცენარის ავტორებს, რეზო ინანიშვილსა და თენგიზ აბულაძეს, ფინალში მართებულად გამოუტანიათ და სიტყვიერი მასალის სწორი მონტაჟით გაუმძაფრებიათ სულ სხვა გარემოში ჩართული სცენა. ნაწარმოებში იგი მშვიდ გარემოში, წყაროსთან სალაღობოდ თავმოყრილი ქალების თვალწინ თამაშდება. ფუფალა იქ ევედრება ერთ-ერთ გლეხის ქალს სიკვდილის შემდეგ დაიტიროს იგი, ფინალში კი საოცრად დაძაბულ სიტუაციაში, სადაც არამიწიერი გუგუნი ისმის და სახეგაქვავებული ადამიანები ვირზე უკუღმა შესმულ მარიტას მიაცილებენ, ტალახში გართხმული ფუფალა ერთ ასეთივე გულქვა გლეხის ქალს ფეხებზე ეხვევა და ევედრება: „ერთი უმფარველო გოგო ვარ, ხომ გამიკითხავ, როცა მოვკვდები... სიტყვა მომეცი, რომ ჩემზე თმას გაიშლი, ჩემზე შავს ჩაიცვამ, ჩემს კუბოზე დაახლი თავს!“ ტრაგიზმს აძლიერებს გლეხის ქალის პოზა, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს მის მკლავებს, იმიტომ რომ თანაგრძნობის უნარი არ გააჩნია.

ფინალური სცენით იკვრება ფუფალას ეკრანული სახე, დასტურდება მთელი ფილმის მანძილზე წვეთ-წვეთად ნაგროვები ტრაგიკულობის შეგრძნება, რომელსაც სოფიკო ჭიაურელი დიდი მსახიობისათვის დამახასიათებელი ძალითა და ოსტატობით უსვამს საბოლოო წერტილს.

**დალი ფანჯიკიძე**

მკათათვე... გზის პირას მდუმარედ აშრეშებული ყანები. თავდახნექილი თავთავები ფხიან ნამგალს უცდიდნენ. ნიავი სადღაც გახიზნულიყო. გზა დახეთქილი, მტვრიანი... ირგვლივ მხოლოდ სევდა და თვლემა...

შარაზე გამოჩნდა მარტოდმარტო ბერიქალა, არსაფერისად ეცვა, სხვადასხვა მხია რული, ჭყეტელა ნაჭრებისაგან შეკერილი კაბა. ცალი ხელით მოძველო ქოლგა ეჭირა, მეორეთი ჭრელი ბოხჩა. ძველებური შავი თათმანი ეცვა ხელთ და ადამის ხნის დაგლეჯილი, მაღალქუსლიანი, ჩაღილული, ყელიანი ფეხსაცმელი და მომტვრეული, შუაზე გადაჩეხილი ქუსლი ძალზე აწვალებდა. მოქანცული, შეოფლიანებული გმინავდა, შეწუხებული ცალკე სიცხით, ცალკე უხერხული ფეხსაცმლით, ცალკე თავისი მწარე ბედით!

- როდემდის, როდემდის, ამდენი წანწალი! - კვნესოდა და თან მკერდზე თათმანით ოფლს იმშრალებდა, - მალე სიარულსაც ვეღარ შევძლებ და სადღაც, ღობის ძირას, ამომხდება სული!

ერთხელ, სარკეში ჩაიხედა და სარკე მიწაზე დაანარცხა. სარკემ უთხრა, რომ პირის მთვარიანობა დიდი ხანია რაც ჩაჰქრობოდა, ბროლის ნათელი, ლალის ბრდღვიალი გაჰხუნებოდა, შუქძამდგარ საღამოს მიჰგავდა. მისი ყვავილიანი სამზეო დალეულიყო. წყალმა წაიღო სილამაზეც და თაყვანისცემაც!

ოდესღაც კი სილამაზისთვის „ფუფალა" უწოდეს!

- აგერ, ჩემი სოფელიც... ამდენ ცანს დასანატრელი... ჩემი კერა, სადაც აღარც სახლი მაქვს, აღარც კარი! ვინ გამომეგებება? ვინღა მეტყვის დედასავით ტკბილად, - შვილო, მშვიდობით მომიხველო? ჭირი მოგპარეო, - ვინღა მეტყვის? - არავინ! ვინა მყავს მათი ნაცვალგვარდა? მოხრეკილი საწუთრო, უდაბნო-უგულო!

- რა კარგი იყო ჩვენი მთვარიანი აივანი, ჩვენი ხეივანი!

- საწყალი მამაჩემი, ყარსის ციხის ამღები! ხელმწიფემ მისი სურათი რომ მოითხოვა, მამამ დიდი, რუსული ცხენის ნალი მოღუნა ხელში, ეს ნალი გაუგზავნეთ სურათის მაგიეროო! და მისი შვილი, აზნაურის ქალი, ახლა ასე დავწანწალებ!

ფუფალამ მთაზე შეხედა ნგრეულ ნაშტს და პირჯვარი გადაიწერა.

რა კარგი იყო მისი დღეობა! განა აქ არ იყო, რომ თავზე ხელაღებული დოლენჯი, ფუფალას გულისთვის შვიდ ნაბადზე გადახტა შეკაზმული ცხენით! ზაზუნა კი, დარდიმანდი ზაზუნა, ეკითხებოდა, მზელმერთი ხარო თუ ვინაო?

- აჩრდილივით, სულ თან დამდევდა არდაშელი: შენს იქით გზა არა მაქვსო, შემრისხე და შემიწყალეო! მაგრამ ქვა-ქალი ვიყავ, ვიღას ველოდებოდი უწამებელი, ურწმუნო?!

- ეს რა ხორშაკი ქარი ამომივარდა, რომ სულ ყველა ერთიანად შემომძარცვა?

გამოჩნდა ჩალური და წითელკრამიტიანი სახლები... ორღობეში აყოჩებულ სიმინდს თავი გადმოეყო, რეჰანის და კამის სურნელი მოდიოდა დარწყულ ბოსტნებიდან.

თავისი აოხრებული ნასახლარის დანახვაზე ფუფალას მოაგონდა წუხანდელი ნასიზმარი: ლოგინში მწოლარეს დედა ნაზად დაჰღიღინებდა:

ელი ელამდა,
ზღვა ბიბინებდა;
ზღვისა პირსა კარავი იდგა,
შიგ ქალი იწვა,
ფარჩა ეხურა,
ფარჩა ავხადე, სამი ვაკოცე,
სამმა კოცნამა ფერი უცვალა,
ფერმა ნაცვალმა წიგნი დაწერა,
ვის გაუგზავნა?..

- ვის გაუგზავნი? - ღიმილით ეკითხებოდა დედილო, - სულხანს თუ არჩილს? რამაზს? აბა, მაშ ვის, გენაცვალე! - ფუფალას ვერ გაერკვია ვისთვის გაეგზავნა უსტარი და ჭოჭმანობდა. დედა კი ეხვეწებოდა ლოგინზე წამომჯდარს, - რად ეგრე? წარბი გახსენი, ჩემო სიცოცხლეო!

გაქრა თბილი სიზმარი... მყუდრო ლოგინი... ფუფალას ნათლიდედას შემოესმა მასპინძელი გლეხის გამწყრალი ხმა, ცოლს ურისხდებოდა:

- თავიდან მომაშორე, თორემ შემოგვეჩვევა, ჩვენთან ბინას დაიდებსო!

- როგორ დავითხოვო, რომ მწამლობსო! ამას წინათაც თავის ტკივილებისაგან მომარჩინაო!

- ერბოხალი მიართვი, მამაუცხონდაო!

ბერიქალა ვითომ კიდეც ექიმბაშობდა ლუკმა-პურის გულისთვის.

- ყვავი მოხარშე ისე, რომ ორთქლი არ გამოუვიდეს, იმისი წვენი დალიე!

- მორიელის სისხლი გაახმე და მიიღე!

- მუხის ხის წყალი, მიმინოს ქონი აურიე ირმის ქონში, მტრედის გული ვარდის წყალში ჩააგდე!

მკურნალ ფუფალას აფთიაქს შეადგენდა: ბალახი ვირისგვერდა, ღელალუნტის ძირი, ტირიფის არაყი, აქლემის ძვალი, ჯოჯოხეთის ქვა, ეშმაკის კიტრანა, კრაზანა-ბალახი...

ფუფალას წამალი არავის ეჭირვებოდა. არც თვითონ ატანდა ძალას. მაინც სოფლის იმედი იყო... ისევ მკურნალის სახელით ცხოვრობდა, ოდესღაც სხვათა გულის დამჭრე-



ლი... ღვთისნიერი ნაცნობები შებრალებით აძლევდნენ თავშესაფარს.

ბერიქალა შედიოდა სოფელში, როგორც ქარიშხლისაგან დაგვემილი ნავი მიეჩქარება თავის ნავსაყუდარში.

- იქნებ უკანასკნელადაც მოვდივარ ჩემს სოფელში? - გაიფიქრა სევდიანად.

ზედ გზაზე, ღობესთან, დიდ ფშატის ძირას, სოფლის არეოპაგზე, იჯდა ქალთა სინედრიონი. თვალფხედი ჭორელები ქაქანებდნენ.

რამდენი ენაც კი არსებობს ქვეყანაზე, სულ აქ იყო ნაჯგუფარი: ენამძლე, ენაკვესია, ენაგესლი, ენაქარცი, ენამორბედი, უკლიტო ენა, ენამუხლმალი, ენა გაბნეულ-გამობნეული, სახრიკო ენა, ენამრე, ენაწყალინაყია, ენაქუხილი, ენამახვილი, ორენა...

კიდევ დავუმატოთ? ორკაპა ენა, ენატლეკია, ენაჭრიჭინა. კიდევ ვინ იცის, რას არ იტყვის დაუყენებელი ყბა.

ჭორელებმა წამოანთხიეს გულის ღარღლი, დაღრღეს ყველა, დაასახიჩრეს, დააჩინჩხვარეს, მტვერი აადინეს!

განზე იდგა ნაჯაფარი ბებია გაიანე, ხუთი შვილიშვილით, ვენახიდან გამოსული თითისტარს აძგრიალებდა, თან ალმაცერად გადახედავდა მეჭორეებს.

სალაყბოზე, სხვათა განწილვა-განქიქებაში, ყველაზე მეტად ბასრობდა ენით მქლეშელი ქარცეცხლა - დალაქის ცოლი. ქარცეცხლასათვის მთელი ქვეყანა მოუწონარი იყო, არა მის ნებაზე გაჩენილი. სამყაროს მიმართ ამბოხებულს, ყველა ათვალული ჰყავდა კბილგასაკრავად. მას ბანს აძლევდა მიმტკნარი ბაბალე, რომელიც წინასწარ ნაზი გაფრთხილებითა და გაზვიადებით მოგანდობდა დიდ საიდუმლოს:

- გეთაყვა, ეგ სიტყვა კი ანგელოზმა შეინახოსო. - მაგრამ თვით მისგანვე უკვე მთელმა სოფელმა იცოდა.



- თქვენს წინ კი ია და ვარდი ჰფენია! - და საოცარ თავზარდასაცემ ჭორს ჩამოჰყაჭავდა.

ახლაც დაიწყო... რა დაიწყო!..

ბაბალეს გადმოცემით, სოფლის მზეთუნახავ ნარგიზას ხალი მარცხენა ძუძუს ქვეშ რომ ჰქონდა, ბარემ ათ ბიჭს სცოდნია სოფელში!

- კარგადაც უქნია! - წარმოთქვა ნინუცამ, რომელსაც აღარც ერთი კბილი არ შერჩენოდა ყბაში და მხოლოდ ენას ალაღლაღებდა.

- მეტი რა უნდა წაიღოს ამქვეყნიდან. აბა, ჩემი პატიოსნებით რა გავიტანე? დიახამც, ვნანობ, რომ ჩემი სილამაზე სარეცხსა, ქათმებსა და საქონლის მოვლას გადავალიე!

- რა ყოფილა ჩვენი სიცოცხლე! მართლაც, წამიერია, წუთის ქვეყანა, დამთქნარებას ვერც კი მოასწრობ, რომ ხელში გაგიცურდება... ეს ოხერი, როგორ ხუნდება! - ჩიოდა ისევ ნინუცა.

მზე ჩასავალზე იყო. ის იყო ჭორელებმა ყველაფერი გააბათილეს, გადააბრუნეს და თითქმის აკლდებოდათ ჭორმარაგი, აკი ღმერთმა უშველათ! სოფლის შარაზე ჩვენი მგზავრი ბერიქალაც გამოჩნდა.

- აგერ, ფუფალაც მოდის! - დაიძახეს ერთხმად და შარას მიაჩერდნენ. - რამდენი ხანია არ გამოჩენილა! სად რას არის გადაქინძული? ჰა, გინდ ეგეც, განთქმული მზეთუნახავი, ახლა საფრთხობელას დაემსგავსა. მართლაც, რა ფუჭია წუთისოფელი!

- როგორ იქნებოდა მზეთუნახავი? სახე თონეში შემწვარ ვაშლს მიუგავს! - გაკვირვებით იკითხა ლურჯთვალა გოგომ.

ფუფალა ბოხჩითა და ქოლგით მიუახლოვდა ქალთა კრებას. სახე ატკრეცილი ჰქონდა, ოფლს ზოლდაზოლ უმარილი ჩამოერეცხა.

ქალებს მიესალმა.

- კარგია, რომ დაგვხედე! სად გადაიკარგე?

- თვალი ჩამოგავლეთ! ისე შეგეწიოთ მზე, დედასთან მიმავალი, როგორც მე თქვენ მიყვარხართ! რაზე ზღაპრობდით? - იკითხა ფუფალამ, როცა სული მოითქვა და დახეული ქოლგა დაკეცა დიდი სიფრთხილით.

- ტიალ წუთისოფელზე, ოხერი რა მალე ცვდება! აი, გინდ შენ! მე რომ მახსოვხარ, ღმერთო, რა იყავი! აღარ ვიცოდი, შენ იდექი ჩემ წინ, ვარდი თუ ბროწეული? დადიოდი, ანათებდი! - უთხრა ნინუცამ.

ფუფალამ შეიფერა... თავი ამაყად გადასწია:

- ჩემო დაო, შენ რომ პატარძლად მოგიყვანეს, მე სულ ცხრამეტი წლისა ვიყავი. მაშინ ყველა ლამაზია! საქმე არი, დღეს იყო ლამაზი, თორემ წარსული სილამაზე ჩავლილი წყალივით არის, ვისღა ახსოვს? - და თან დაუმატა ნინუცას საამებლად:

- შენც კარგი იყავ, ნინუცი! - მაგრამ არავითარი შედარება არ გაიმეტა ფუფალამ ნინუცას წარსული მშვენიერების გამოსახატავად.

- მთვარეს ჰგავდი, ცისკრიანად! - მლიქვნელურად შეაქო ნინუცა ბაბალემ.

ფუფალამ იწყინა მეტოქის ხოტბა, ისიც არა გულწრფელი, უმარილო გადამეტფასება და ქორივით გადახედა ბაბალეს, რომელიც მის თვალთახედვის ქვეშ მწყერივით გაინაბა. უხერხულობა იგრძნო თვითონ ნინუცამ, რომ მიაგეს მიუგებელი, მაგრამ ქათინაური არ იუარა და ფუფალას დასაშოშმინებლად სიტყვა ქალის სხვა ღირსებაზე გადაიტანა.

- საქმე სილამაზე კი არ არის, პატიოსნები ვიყავით! ოჯახის ერთგულები! აი, ეს არის თავი და თავი!..

- მართლაც ლამაზი ვიყავი! - ამოიოხრა ფუფალამ, - სწორედ ვარდს ვგავდი! ალქალას, ოქროქალას, თვალჟუჟუნას მეძახდნენ.

- ახლა კი ბუს გეძახიან! - წამოიძახა კიტრიპარია ბიჭმა და თავქვე მოჰკურცხლა.

- რას გარბიხარ, სასიკვდილევ! მე არ მეშინია, ახლა რაც გინდა დამიძახონ! ხომ მიმჭკნარი ვარდი ვარ, მაინც ვარდი მქვიან! ნიორი და ხახვი ხომ არა ვარ დედაშენივით! ეჰ, რა ლამაზი ვიყავი! - განაგრძობდა ფუფალა, - თვალადი, ტანადი, მაგრამ შიოლას შევსწირე ყმაწვილქალობა!

- ახლაც ვარდს იფენ, - ნახევრად დაცინვით თქვა ქარცეცხლამ, როგორც შესაკმევი სიტყვა, ისე გაიგო.

სამოც წელს გადაცილებული ფუფალა მაინც ყველას დაწუნებაში იყო.

- ვინ არი?

ეტყოდნენ, ესა და ეს ვაჟკაციო!

- ჩია თუ ქია? გინდაც ფთია იყოს! ერთი გოშია კაცი, უნდო ვიღაც, ჟაჟილა თუ ყაყლაჩა! - და ზედ ქვასა და ქაცვს მიაყრიდა.

- თვალში მეფუქსავატება! მაგას მაინც არ გავყვები, სულ რომ მარტო დავრჩე, მინდვრის თაგვივით!

სიძულვილით სძულდა ახლანდელი კაცები. - ესე ვივლი, ცალი-რქა ირემივით! - და მოიღერებდა ყელს: - ციხის ამღების შვილი ვარ!

- რამდენს ვუყვარდი... რამდენი სისხლი მოიღვარა ჩემთვის! დამფრთხალ ჭივჭავივითღა ვარ! ეჰე, შიოლა... შიოლა... სადა ხარ? - ერთხელ, წყაროზე შემხვდა შიოლა, მიიხედ-მოიხედა; რომ არავინ იყო, ჩუმად მითხრა: მე რომ შენი საქმრო ვიყო, გეფიცები, ყეინს არ მივცემდი სალამსაო! სწორედ ასე მითხრა, ჩემი ნაგონარი არ გეგონოთ!

იქვე მჯდარმა მეველე რეხვიამ ჩაიფრუტუნა. ცეცხლი ჰყარა ფუფალამ:

- აბა, სარკეში ჩაიხედე, ვითომც შენც კაცი ხარ, კაცი კი არა, საჩურჩხლე ქვაბი ხარ!

სიცილი ვერც ბირხლიმ შეიმაგრა. ფუფალამ შეუტია:

- რას იცინი, ნივრიგლეჯიავ, დოღრიალავ, მუხის ფუტუროსავით თავი რომ გაბია და ზედ ქინძი ამოგდის! - და თვალები სიბოროტით მიუელვარა.

- აბა, რა კაცი ხარ, კუჭია კაცუნა! შეუვსებელი ჯამი! - და იქვე მოკეცილ დედაკაცებს მოუბრუნდა, თითისტარს რომ აძგრიალებდნენ: - ერთი მითხარით, გეთაყვათ, ეს კაცია თუ ფლასის ნაძველა?

ბირხლა იცინოდა...

- შიოლასავით არავინ გამოსულა, - განაგრძობდა ფუფალა, - მასავით ქამანდარი სროლაში, მასავით ხმატკბილი მღერაში... რა თვალადი, რა ტანადი, ბოჭორმის წმინდა გიორგი გეგონებოდა!

- ხატობაში დავენახე სულ პირველად, ჩემი ატლასურ-ნარინჯული კაბის შემხედვარე გაგიჟებულიყო! უნდა გენახათ ომის კარს, ომის კარს უნდა გენახათ, დუქნის კარს კი არა, ახლა რომ ჰყრიხართ მთელი დღე! - მიუბრუნდა ბირხლას.

ბირხლამ ვეღარ გაუძლო და გაიქცა.

ფუფალას თანამოსაუბრეთა ერთი ჯგუფი ჩამოეცლებოდა. ახლა სხვა დედაკაცები დასხდებოდნენ, შინიდან საჭოროდ, დასამთქნარებლად გამოპარულები, ან ბავშვის საძებრად, ან დუქნიდან ნავთის მოსატანად გამოსულები. გამოჩნდებოდა ფუფალას ახალი გამამწარებელიც და იწყებოდა ფუფალას ახალი წამება.

- ეჰეი, მერცხლის თვალებავ, ისევ ცალადი ხარ? რატომ არ თხოვდები, ხომ არ გადაკრუხებულხარ? - შეესიტყვებოდა ძმობილი მურწა, კვიმატი კაცი, - თუმცა, სად არის შენი ფანდი? - არც მურწამ დაინდო ნადობილარი!

- ეჰ, წავიდა. გული წაიღო შიოლამ! იყო! - შეუსწორა ფუფალამ.

- ჩინჩალა ყოფილა, თურმე, ბეჩავი, უამური! - წამოედავა პირსიცილით ყელმძივიანი ქერა პირბალიშა.

- მიწამ კი დაგიკეტოს კარი, შე ულხინებელო! ფრინველს მიჰქონდეს შენი თმები თავისი ბუდისათვის! - წამოიკლაკნა ფუფალა და ხელთ ქვა აიღო. გოგო გაიქცა, ფუფალას ქვა შერჩა ხელში.

შერყეული, გულზე ეკალდასხმული იდგა ფუფალა და ფიქრობდა: ეჰ, რამდენი ბოროტი ადამიანია ქვეყანაზე?! ამოსწყდეს მათი ფესვი და ნაშენიო!

- აი, შე ეშმაკის დანარჩენო, - და წამოვიდა ამტუტებული, შებეზრებული ფუფალას მეხმფრქვეველი სიტყვები.

ფუფალამ დამშვიდებაც უმალ იცოდა. გაშფოთებული მალე დაწყნარდებოდა:

- დახეთ, დახეთ, სად გადამიბნელა დღე! სად გამიტეხა ნათელ-მირონი. ამ ბაბაჭუა ფეიქარმა!

და როდესაც ზემოდან ისევ ჩამოიარა მურწამ, წყრომის ნისლყრილმა ფუფალამ ასე მიმართა:

- ბოლოს და ბოლოს, მიწა ვართ, დავითრგუნებით! მაგრამ, ძმაო, გენაცვალოს შენი დის თვალები, ჩემო ჩამოქნილო სანთელო, რათ უნდა მაწყენინო? არა გრცხვენიან, რომ ამ მიწაზე დადიხარ?

მურწამ ფეხი გადადგა წასასვლელად.

- არა, არა, ჯერ ვერ წახვალ, ჯერ გული გამიმთელე ეჭვიდან, თუ არა და სიკვდილზე წილი ვიყაროთ: ღმერთმა გაგვასწოროს ის იყოს ნების მყოფელი!

- ხმალი ხარ, ამოღებული, მძინარე ლომს გააღვიძებ! - ჩაიჩურჩულა მურწამ.

- ნამტკივნი გული ლაპარაკობს, განა მე! - ლმობიერებით ეუბნებოდა ფუფალა, - სალბუნი მომეცი, სალბუნი, რომ დავშმვიდდე... სულ ვარდს მოგაშლი, ოღონდ სალბუნი მომეცი!

- გულის ძმა ხარ! ერთად ვართ

- რას ამბობ, უწინამც შენ დამაყრი მიწასა! - ამბობდა სახტად დარჩენილი ნინუცა.

დედაკაცობა შეხორხლდა...

- აბა, სიტყვა მომეცი, რომ ჩემზე თმას გაიშლი, ჩემზე შავს ჩაიცვამ, ჩემს კუბოზე დახალი თავს! - და ფუფალა აზუზუნდა, ატირდა, აქვითინდა აღუღებული გულით, ცრემლდასხმული თვალებით. ნინუცა ტიროდა, დედაკაცებმაც ცრემლი გაშალეს. გასათხოვარი გოგოები იკბინებოდნენ.

- ოჰო, ძუძუთა ნუკრს დამიხედეთ!

- ჩემო მიწის დამყრელო, ჩემო დამსუდვრელო, ჩემო მოკეთევ, სულ ლექსით დამიტირე, შენ გენაცვალე, ცრემლში გატარებული სიტყვებით! - იხვეწებოდა თავმორეული, ყველასაგან გარიყული, უმტოვო ხესავით მარტო, ყინვა-სიცხეში ჩამომწვარი ფუფალა.

- სულ ცაში ადიოდეს შენი ტირილი. ხომ იცი, უპატრონო ვარ, ლიტაო. არავინა მყავს გულშემატკივარი! - კანკალებდა აძგრული, საყელოცრემლიანი, ლოყაზე კურცხლმიწებებული, მინაცრებული ფუფალა.

- ცრემლის ღვარჩქერს დაგიყენებთ, თუ გინდა დანჩქერსაც! - ფრუტუნებდა ლურჯთვალასთან ერთად მზევარდამომავალი პირბალიშა.



თავდახრჯილი, გადასვენებული, ღონემიხდილი ფუფალა კუნძზე იჯდა გულგადალეული და ლიტრის წყლით აბრუნებდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, დაშოშმინდა ფუფალა. ნინუცა არ მოშორებია. შინ უნდოდა წაეყვანა, მაგრამ ხეპრე ქმრისა ეშინოდა, ორივეს კარში გამოგვყრისო, გაიჯეჯილებსო, სად მაქვს მაგის შესანახი ლუკმაო!

ბოლოს კიტრიპარია ბიჭმა ხმამაღლა დაიძახა დაშლის ნიშანი: ჩიტმა თავის ბუდე იცისო!

კიდევ ერთხელ მიესაყვარლა ნინუცა ბოდიშით და შინისკენ გაეჩქარა.

მეპურმარილე არავინ გამოჩნდა.

ბინდი გამუქდა... ფუფალამ გაშალა ქოლგა და ლასლასით გაუდგა გზას. საით? თვითონაც არ იცოდა!

ბინდში გაშლილი ქოლგა რომ დაინახა, - მზე არ მოგეკიდოსო, - გესლიანად მიაცეცხლა ქარცეცხლამ.

- ხედავთ, ციცინათელა თავის შუქს მისდევს! - დასცინა ლურჯთვალამ.

- ჭრელო პეპელა, გაფრინდი ნელა! - მისძახოდა პირბალიშა.

- იცით, რა საიდუმლოს გეტყვით? - ბოროტიანმა ქარცეცხლამ დიდმნიშვნელოვნად პირზე ხელი მიიდო და გარინდდა.

- და თითქოს შიოლად ესაუბრებოდა: - ერთი ვიყავი, რათ მოვკვდიო.

- ეჰ, ვუყვარდი, ორმოცი წლის წინათ ვუყვარდი!

- რათ გინდა ორმოცი წლის დამიწებულის სიყვარული, რა ბედენაა!

- სიყვარული არ კვდება! - ნაზად უპასუხა ფუფალამ და თვალები ააციმციმა. - გმირი იყო, მდიდარიც, ლამაზიც, მაგრამ არ მიყვარდა და არ გავყე! აი, სად იყო, ძველად ქალის პატიოსნება! მდიდარი იყო, მდიდარი, სიმდიდრე-შეუზომელი, შეუწონელი, მაგრამ არ გავყე; არც პირობა მიმიცია, ჩქამიც არ დამიძრავს!

- ეგ შიოლა ვინღა იყო, როდის ცხოვრობდა, წარღვნის აქეთ, თუ წარღვნის იქით? - იკითხა ლურჯთვალებამ.

- ღვრნა შენ და წარღვნა! - გაალმასდებოდა ფუფალა.

- დიამც, გაგიჟებით ვუყვარდი შიოლას! დაჩოქილი მეხვეწებოდა, - ერთი დღე შენთან მამყოფა და უკვდავება დამალევინაო. არ გავყე ცოლად, მაგრამ მიწაში ვენაცვალე!

ფუფალას სიტყვით, შიოლა ორმოცი წლის წინათ მომკვდარიყო. სოფელში კი აღარავინ იყო შიოლას მახსოვარი.

- დიახამც, საქვეყნო კაცი იყო შიოლა და მაინც არ გავყევი!

- არ გაჰყევ და ახლა საუძლურეში ამოჰყოფ თავს! - დანესტრა დედაკაცებში ისევ შემოპარულმა კიტრიპარიამ; მაგრამ ისეთი დაუბრიალა ფუფალამ, რომ კიტრიპარია ბიჭი თავქვე გარბოდა.

- მგლის პირი შენ და ქორის კლანჭი! - გაადევნა ფუფალამ.

გზაზე ცხვრები ჩამოატარეს.

- ჩვენი სოფლის მთა-ბარი მთლად შიოლას ცხვრით იყო შეხურხლული. ამ სოფლის სასაძოვრე თუ სათიბი შიოლას საქონელს ეჭირა!

- ამბობენ, სხვათა მოჯამაგირობაში მოკვდაო! თუ ზღვასავით მდიდარი იყო, სხვას რად ედგა მოჯამაგირედ? - გესლიანად შეეკითხა ლურჯთვალა.

- არა, ის სხვა შიოლა იყო, სხვა გვარისა! - და ფუფალა უფრო გაზვიადებით განაგრძობდა:

- პირის მარგალიტი ეყიდნა ჩემთვის შიოლას, ოქროს ჯაჭვიც, ლალის საყურე, ბეჭედი, ყიდვით კი ეყიდნა, მაგრამ შიშით ვეღარ გამოეგზავნა ჩემთვის! სულ ერთია, არ მიიღებსო, არ მიკადრებსო!

არავინ იცოდა, მართლა თუ იყო ამქვეყნად ფუფალას მიჯნური შიოლა; მართლა ოქროს ჯაჭვს უგზავნიდა თუ არა?

- აბა, რა კაცი ყოფილა შენი შიოლა, - მეცხვარე კაცი, წვერჩამობანდული, ქაცვისაგან ჩამოგლეჯილი, წვიმა-ავდრისაგან ჩამოსველებული, ჩამოღარული! წავიდა შიოლა, მაისის წყალი დალია! რას მისტირი, რას გამოელოდები? - არა ცხრებოდა მურწა.

- მეცხვარე კი არა, ცხვრის პატრონი



შეზრდილები. ვერავინ გამიგა, ტვინის ძაფი დამეწყვიტა. რათ უნდა მაწყენინო, მე უიმედოო? თუ ჩემგან რამე გეწყინა, გული გავიწმინდოთ, ვთქვათ ყველაფერი თავწაყრით, ბოლომდე ვთქვათ და გავათავოდ!

- სალბუნი მომეცი, სალბუნი! - ემუდარებოდა თავდახრილი, მიწას ჩამცქერი ფუფალა მურწას. მაგრამ მურწა უკვე გაპარულიყო. ისე გართულიყო ფუფალა თავის მჭვრმეტყველებაში, თავი როცა აიღო, მურწას მაგიერ-მოღიმარე ახალგაზრდა ქორია იდგა მის წინაშე.

- ეს ვიღაა, საიდამ მოთრეულა?

- წიწმატის ტოტზე ვიჯექი, წიწმატის ტოტი მომიტყდა! - წამოიძახა ქორიამ. შენი კუბოს ფიცრის სათლელად ვიყავი, ახლა მოველი, რომ კუბოს ზომა აგიღო, ხომ გაიგე? - თავხედად ჩაუმარგალიტა ქორიამ. ფუფალა გაფოთდა, მაგრამ ყური მოიყრუა.

- ჰო, ეს შენა ხარ, მუცელავ, ქორო, ბორიაქარო, სოფელი რომ გააციე! - შეუცეცხლა ფუფალამ. ქორია ხომ განთქმული ქურდი იყო, მტაცებელი! და თანაც ფუფალას უტიფარი მწვალებელი! - ისევ თავიდან დაიწყო ფუფალას წამება.

მზე ჩადიოდა... ასაღამურდა... ბინდი დაეცა სოფლის შარას.

- უფალო, შენ დამეხე, დაწვი, დანაცრე ჩემი მტერ! უძილო მატლი სჭამდეს ჯოჯოხეთში! - იძახოდა დაღლილი წამებული.

შარაზე ნახირი გამოჩნდა. დედაკაცობა წამოიშალა.

ფუფალაც წამოდგა, ჩააცქერდა ნინუცას და უცბად ორივე ხელით შემოეხვია. ზოგნი იქვე დარჩნენ ცნობისმოყვარეობით.

- ნინუცი, ერთი უმფარველი გოგო ვარ, ხომ გამიკითხავ, როცა მოვკვდები?

ნინუცა შეკრთა, რას ამბობო, და მიესიყვარლა.

- არა, ხომ დამიტირებ შენი ლამაზი თვალებით? ნამდვილი ცრემლით, გულის ატირებით, ხომ ლოყას ჩამოიხოკავ, ჩამოიკაწრავ?

ლად როდი გაიმეტებდა საიდუმლოს.

- იცით რა?! - იძახდა ხმაშეკიდებით.

- ჩქარა, გვითხარი, თორემ შინ სახრეს ვერ გადავურჩებით!

ბოლოს ქარცეცხლამ, როგორც იყო გაამჟღავნა დიდი საიდუმლო:

- ისე არა ყოფილა შიოლა ამქვეყნად, როგორც მე არა ვარ ეხლა დედოფალი! - წარმოთქვა ჩამარცვლით.

- როგორ, შენი ჭირიმე, ეს როგორ? ელდანაკრავივით ეკითხებოდნენ ქარცეცხლას, - წმინდა გიორგი, შენ გვიშველე!

- ისე! სულ ფუფალას მოგონილია! შიოლა არცა ყოფილა ამქვეყანაზე, არც არავის უნახავს... ისევე, როგორც მისი წამლები!

- იმ ჭრელ ბოხჩაში მართლა წამლები კი არ უწყვია! არა, საყვარლებო, ჩემო სიცოცხლეებო, - აგზნებით ქაქანებდა ქარცეცხლა, - ფერუმარილი ულაგია, გუნდა, ლახუსტაკი, ზირა, ქარვახუთო, ზეთები, სახეს რომ ითითხნის ყოველდღე, სილამაზის ნაკვალევი მაინც შევინარჩუნოო! რომ ჩაიკეტება ხოლმე, განა მართლა წამლებს ამზადებს. ჯერ ნებივრად გამოიძინებს, მერე ჯიბის სარკეს დაიდგამს წინ და თავს ილამაზებს...

- უყურეთ, მაგ პეწენიკს, თვალთმაქცს, როგორ გვატყუილებდა! ერთი უყურეთ! - ვიშვიშებდნენ დედაკაცები. ლურჯთვალა და პირბალიშა ზეიმობდნენ, ყველაზე მეტად კიტრიპარია ხტოდა გახარებული.

ფუფალა მიჰფარდა იქვე ორღობეს მოსახვევში თავის ქოლგით, ბოხჩითა და თექვსმეტნაჭრიანი კაბით. მიდიოდა პურუჭმელი, დაბეგვილი, მოთუთქული, დაქოლვილი, ნაწამები, და არ იცოდა, რომ უკვე გაცემული იყო ყველა მისი დიდი საიდუმლოება, რომ ხვალიდან უკვე მზადდებოდა მისთვის გოლგოთა, ახალი ჯვარცმით...

## საქართველო პოეზიის დედოფალს გამოეთხოვა...

თავზარდამცემმა ცნობამ შეძრა სრულიად საქართველო.

49 წლის წინათ, მარტის უამურ ამინდში, მთაწმინდის მიწამ მიიბარა ქართული პოეზიის მეფე - გალაკტიონი!..

49 წლის შემდეგ, მარტის უამურ ამინდში, მთაწმინდის მიწამ მიიბარა ქართული პოეზიის დედოფალი - ანა!..

მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა მწერლობამ, ქართულმა კულტურამ, ქართულმა სულიერებამ უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, გალაკტიონ ტაბიძის და საბას პრემიების ლაურეატი, პოეტი-აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი ანა კალანდაძე.

15 მარტს, ქართველმა ერმა პოეზიის დედოფალი მთაწმინდაზე მიაცილა და პოეზიის მეფის განსასვენართან ახლოს მიუჩინა საბოლოო განსასვენარი.

## პრეზიდენტის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი

ქაშუეთის ეკლესიაში ზვიად გამსახურდიას 69 წლის იუბილესთან დაკავშირებულ სულის მოსახსენიებელ პარაკლისს დაესწრნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლები, მწერლები და ათობით მოქალაქე. ოდნავ მოგვიანებით, პარაკლისის აღვლინების შემდეგ, სიტყვა წარმოთქვა მოძრაობა „თავისუფლების“ ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

- ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო ქალბატონებო, აქ დღეს შევიკრიბეთ იმ ადამიანის გასახსენებლად, ვინც განსაზღვრა ჩვენი გზა და ვინც მამულის თავისუფლებისთვის იბრძოდა. არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს არ ეღირსება გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ ამდენი ხალხის შეკრება ტელევიზიით გამოუცხადებლად

ქაშუეთის ეკლესიაში ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ნოდარ ჯალაღონიამ.

მოგვიანებით პოლიტიკურმა პარტია "თავისუფლებამ", გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლებმა მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ზვიად გამსახურდიას საფლავი ყვავილებით შეამკეს.

## კახი კალაძე ბიზნესს იწყებს

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და „მილანის“ ქართველი ლეგიონერი კახი კალაძე ერთობლივი ბიზნეს-პროექტის „კალა კაპიტალის“ განხორციელებას იწყებენ.

ბიზნეს-ჯგუფი საქართველოში უცხოური და ქართული კაპიტალით დაფინანსდება და ინვესტიციებს სამ სფეროში ენერგეტიკაში, დეველოპმენტში და საბანკო პროექტებში ჩადებს.

ახალი ბანკის „პროგრეს ბანკის“ გახსნას „კალა კაპიტალი“ სექტემბრისთვის გეგმავს. ბანკი უნივერსალური ტიპის იქნება და კლიენტებს მაღალხარისხიან საბანკო მომსახურებას შესთავაზებს.

ჰიდროენერგეტიკაში „კალა კაპიტალი“ მუშაობას რამდენიმე მიმართულებით აპირებს: ჰესების მშენებლობა, ნავთობმომპოვებითი საქმიანობა და ალტერნატიული ენერგიის წყაროების ათვისება.

„კალა კაპიტალის“ ყველაზე მასშტაბური პროექტია „არსენალი“, რომელიც 10 წელიწადში სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიასთან ახლოს, 80 ჰექტარზე მინი ქალაქის მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტის განხორციელებისთვის „კალა კაპიტალი“ 1,5 ამერიკულ დოლარის ინვესტიციას მოიზიდავს. სამშენებლო კომპლექსი მოიცავს სამთავრობო და საცხოვრებელ კომპლექსებს, საკონფერენციო ცენტრებს, ვილებს, „ა“ კლასის ოფისებს და კომერციულ ფართებს, ასევე სკოლებს, საავადმყოფოებს, 5-ვარსკვლავიან სასტუმროებსა და გასართობი ტიპის დაწესებულებებს. წინასწარი პროგნოზით, პროექტი „არსენალი“ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ერთპროცენტიან ზრდას და 25 ათასამდე სამუშაო ადგილის შექმნას განაპირობებს.

## ქართულ ფილმს ჰოლივუდში იღებენ

ფილმის მოქმედება იწყება იერუსალიმში ჯვაროსნების შეკრებიდან. ახალგაზრდა მეფე იერუსალიმისა ბოლდუინ მეორე საუბრობს სელჩუკთა იმპერიის საშიშროებაზე, რომ ისინი უკვე ევროპის დასაპყრობად არიან გამზადებულნი. ეს საშიშროება კი მთელ საქრისტიანოს ემუქრება... ბოლდუინ მეორე დახმარებას სთხოვს დავითს, ქართველთა მეფეს - ასე იწყება ფილმი, რომლის გადაღება უკვე მიმდინარეობს ჰოლივუდში.

მრავალი მწერლის, შემოქმედის ოცნება იყო შეექმნა დავით აღმაშენებლის შესაფერისი ნაწარმოები. ალბათ, ყველა დროის რეჟისორის ნატვრა იყო გადაეღო ფილმის დიდგორის ველზე ენით უთქმელი, გრანდიოზული საბრძოლო ბატალიებით, მებრძოლთა რაინდული შემართებითა და ყიჟინით, ცხენთა ჭიხვინით, აბჯრის ჩხარუნით... დიდგორის გამარჯვებით დავით აღმაშენებელმა გადაარჩინა არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ქრისტიანული სამყარო. რომ არა ქართველთა მეფე, ვინ იცის როგორი სახით იარსებებდა ქრისტიანული ევროპა.

დღეს კი მთელმა საქართველომ იცის, რომ მსოფლიო მალე იხილავს ისტორიულ, ლეგენდარულ ფილმს დიდგორის შესახებ. დავით აღმაშენებლის როლზე მიწვეულია ქართველი მსახიობი ელგუჯა ბურდული. ფილმის შემქმნელი და სცენარის ავტორია ახალგაზრდა რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე

## აშშ თავს დამარცხებულად არ თვლის

თეთრი სახლის ადმინისტრაცია ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველოსა და უკრაინისათვის ალიანსის წევრობის სამოქმედო პროგრამის მინიჭებაზე უარს საკუთარ დამარცხებად არ ჩათვლის. ამის შესახებ განცხადება თეთრი სახლის მაღალჩინოსანმა გააკეთა.

- აქ დამარცხებაში არ არის საქმე. საკითხი უბრალოდ, მდგომარეობს იმაში, შეძლებს თუ არა ალიანსი გაერთიანებას და იმის დემონსტრირებას, რომ ალიანსის კარი ახალი წევრებისთვის მართლაც ღიაა, - განაცხადა ბუქარესტში ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, რომლის გამოსვლის სტენოგრამა თეთრი სახლის ადმინისტრაციამ გაავრცელა.

ამერიკული საინფორმაციო სააგენტო „ასოშიეიტედ პრესი“ კი იუწყება, რომ პრეზიდენტმა ბუშმა მტკივნეული დიპლომატიური მარცხი განიცადა, როდესაც ალიანსის წევრმა-სახელმწიფოებმა მისი წინადადებები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების - საქართველოსა და უკრაინის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობისკენ მიმავალ გზაზე დაყენების შესახებ უგულებელყვეს.

აშშ-ს საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, რომ ალიანსის წევრთა ვახშმის დროს, რომელიც დაგეგმილზე ორი საათით მეტხანს გაგრძელდა, ბუშის წინადადებების წინააღმდეგ, სულ მცირე, ალიანსის წევრი შვიდი ქვეყანა გამოვიდა.

აშშ-ს პრეზიდენტის წინადადებების წინააღმდეგ წავიდნენ: გერმანია და საფრანგეთი, მათ მხარი კი იტალიამ, უნგრეთმა, ბელგიამ, ნიდერლანდებმა და ლუქსემბურგმა დაუჭირეს.

## ქუთაისი მაჟორიტარებმა წალეკეს

ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატობის მსურველები დღითი დღე მატულობს. ცნობილია ისიც, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ქუთაისიდან კენჭს აღარ იყრის. ნაციონალური მოძრაობა ბურჯანაძის გუნდის წევრს, ექიმ გოგიტა გეგელაშვილს წარადგენს, ოპოზიციის კანდიდატი კი გუბაზ სანიკიძე იქნება.

გავრცელებული ინფორმაციით, მაჟორიტარობაზე პრეტენზიას აცხადებს მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში ბესო მიქელაძე, რომელიც ამჟამად ქუთაისში ბიზნესით არის დაკავებული.

სავარაუდოდ, კენჭისყრას აპირებს იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი.

## 8 ნოემბერი - ილიას დაბადების დღეა

უცნაურად შეეგება საქართველო ილიას დაბადიდან 170 წლისთავს. სატახტო ქალაქში მძვინვარებდა განუკითხაობა და სრულ უსამართლობის დღესასწაულში იყო შესული ქვეყანა. უსასტიკესად გაუსწორდა ხელისუფლება თავის მოწინააღმდეგეებს - საშვიდობოდ რუსთაველზე საკაშვილის „ტურებმა“ დამარტოხელებული მოშიმშილეები ცეცხლში და არადამიანური სიძულვილით, კაცთმოძულეობით მიიტანეს იერიში გამოფიტულ მოშიმშილეებზე, თითქოსდა ტერიტორიას ნაგვისგან გასუფთავების მიზნებით. ქართულმა განახლებულმა პოლიციამ ამით აჩვენა საზოგადოებას ის, რომ იგი აღარ არის ყარამანულ ენაზე რომ ვთქვათ „ძაღლი“, იგი „ტურად“ გადაკეთდა თავისი მრწამსით, გონიერი დაიპატიჟინა და მისწრაფებებით - ტურამ იცის როდის უნდა დაესხას თავს მასზე ძლიერ მოწინააღმდეგეს, - როცა ეს უკანასკნელი ან დაბერდება, ან დაუძლურდება. სხვა შემთხვევაში ტურას გარდაუვალი მარცხი მოელის. ამ ფსიქოლოგიით მოვიდა საკაშვილი ხელისუფლებაში და ტურის ფსიქოლოგიითვე სურს შეინარჩუნოს თავისი ხელისუფლება, რათა გამუდმებით გააჩნდეს ძალა-უფლება. ილია კი ქართველი ხალხის თვისებას ასე ახასიათებდა ასოცდა თექვსმეტი წლის წინათ და მის შემდეგაც მნიშვნელოვნად არა შეცვლილა რა ქართველი კაცის ფსიქიკაში, -

**„ჩვენისთანა ბედნიერი**
**განა არის სადმე ერი?!**
**მძიმე ყალნით,**
**ლამაზ ფალნით**
**მორთული და მშვენიერი;**
**უწყინარი,**
**უჩივარი,**
**ქედდრეკილი, მადლიერი;**
**უშფოთველი,**
**ქვემძრომელი,**
**რიგიანი, წესიერი;**
**ყოვლად მთმენი,**
**ვით ჯორ-ცხენი,**
**ნახედნი და ღონიერი...“**

ასეა, როდესაც დილის ცემა-ტყეპით (მოშიმშილეების ცემა-ტყეპით, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო - მ.კ.) გულს ვერ იჯერებ ბოლომდე და შენი პოლიციური ხეპრე გონების ნამოქმედარის წყალობით გააძლიერებ ოპოზიციის რიგებს და მერე უფრო მეტი ძალისხმევის ხმარება დაგჭირდება სრული „გამარჯვებისათვის“. ეს ისაა, დიაკვანი რომ შეახსენებს ოხროხინე მღვდელს, „არ გაულაწუნო, თორემ ხელს შემოგიბრუნებსო...“, ერთ ქათამზე სულწაძლეულ ოხროხინესავით, მთავრობამაც საკუთარ ვნებებზე კონტროლი დაკარგა კარვების ხსენებაზე და ოპოზიცია სამარცხვინო წაგებისაგან იხსნა და იგი გადააქცია საკუთარი ვნებათაღელვის მსხვერპლად. ამაზე უკეთესს ოპოზიციას ვერ გაუკეთებდა, თვით ხუთმილიონიანი დემონსტრაცია რომ ჩაეტარებინათ თბილისში. იმ დიაკვანმა კი გააფრთხილა ოხროხინე, მაგრამ მთავრობა არავის გაუფრთხილებია, ხელს შემოგიბრუნებენო, შეუბრუნეს კიდეც ხელი და მერე როგორ...

ხალხი მატულობდა და მატულობდა რუსთაველზე და პოლიციაც უძლური ხდებოდა დაპირისპირებოდა ეგზალტირებულ ბრბოს. ძალას ძალა დაუპირისპირდა და ამ ორომტრიალში მოგებული ორივე მხარე თავისებურად დარჩა, გამარჯვებული კი მხოლოდ ოპოზიცია, ეს ის ოპოზიცია, რომელიც წინა დღის მონაცემებით თავისი უმწეობისაგან უკვე სულს ღაფავდა. და ყველაფერი ეს ილიას დაბადების წინა დღეს, იმ ილიასი, ვისი პორტრეტიც დიდის ამბით ჰქონდა ჩამოკიდებული სააკაშვილს ბუხრის თავზე და იქედან იძლეოდა დირექტივა-ინტერვიუებს; იმ ილიასი, რომელმაც განჭვრიტა ასოცდა თექვსმეტი წლის წინათ ქართული ხასიათი და თქვა ისეთი რამ, გეგონება სულ რაღაც საათნახევრის წინ დაამთავრა კაცმა ახალი ლექსის წერა და გვიკითხავსო, -

**„ჩვენისთანა ბედნიერი**
**განა არის სადმე ერი?!**
**ყველა უნჯი,**
**ყველა მუნჯი,**
**გულჩვილი და ლმობიერი;**
**თვალაბმული,**
**თავაკრული,**
**პირს ლაგამი ზომიერი;**
**ყველა ყრუი,**
**ყველა ცრუი,**
**ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;**
**მცირე, დიდი -**
**ყველა ფლიდი,**
**ცუღლუტი და მანკიერი...“**

რომ ვერ ჩააცხრეს ხალხის მღელვარება, ომონი მოიშველიეს, - ეს ზომბირებული რობოტები, ქუჩა-ქუჩა სდიეს გაქცეულ ხალხს, შუკა-შუკა ურტყამდნენ გრძელ ხელკეტებს, ვინც ფეხთქვეშ წამოედებოდა, თელავდნენ. რუსთაველიდან საომარმა ოპერაციამ გადაინაცვლა რიყეზე. აი, რიყეზე იყო, რაც იყო. ხელის შემობრუნებაც ასეთი უნდოდა. დაასისხლიანეს გათითოკაცებული სააკაშვილის „ტურები“. ვეღარ შველოდა პრინციპი - ძალა ერთობაშიაო, - გამხეცებული ბრბო შიშველი ხელებით იერიშზე გადავიდა და დაუზოგავად გაუსწორდა შეიარაღებულ ბრბოს. სიტუაცია პრაქტიკულად უმართავი გახდა. მაგრამ ყველაზე სამარცხვინო კადრები მთელს ამ ვაკხანალიაში იყო ის, სადაც რუსთაველზე განლაგებულ შეიარაღებულ ბრბოს სატახტო ქალაქის საკრებულოს წევრები ულოცავდნენ გამარჯვებას და მადლობას უხდიდნენ ასე რიგად რომ დაიცვეს მათი განცხრომა. მსგავსი უმსგავსობა და ზნედაცემულობა ცოტა თუ ახსოვს საქართველოს ისტორიას და რაც ახსოვს, ისიც ისტორიისთვის ცოცხალ კადრებად აღარავს შემორჩენილა.

ამ კადრების შემყურე დავრწმუნდი დავით მეფსალმუნის პირველი სიტყვების ჭეშმარიტებაში, -

„ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საყდომელსა უშჯულოთასა არა დაჯდა“ (ფსალმუნი I, სტატია I).

> „ჯანსაღ ცინიზმს სჭირდება წარმოსახვის აფექტი
> და პრაგმატულ ნიჰილიზმს ფოჩიანი კამფეტი
> დავიწყებას მივანდოთ, ვით დასვრილი სალფეთქი,
> ქათამივით დაკლული მოქალაქე კაპეტი.*
> ენის შორ ლაბირინთში აქ ჩასმული მატია,
> და სატირულ ხაფანგში სატყუარა მჩატეა,
> სახრჩობელით, ნაჯახით არადასჯის ქარტია -
> მხოლოდ გილიოტინით მკვიდრობს დემოკრატია.
> **არტურ ურარტუელი („წინასაარჩევნო ოცნება“)**

## ძველებურად

# სონატური

საკაშვილი კი დასცინოდა - „ღიპიანი პოლიციელებით“, აი, ესენი არიან, რაც არიან. ხუტა უფროსს, თუნდაც „ძაღლს“, საუკეთესოდ ესმოდა, ვისთვის უნდა ეკბინა, რა დონით ეკბინა, რატომ ეკბინა, თუნდაც უდანაშაულოსათვის, თუნდაც დამნაშავისათვის. იგი ყველაფერს თვითონ აკეთებდა, ინდივიდი იყო და თავისი ძაღლური გაგებით ესმოდა, რომ მისთვის არ არსებობდა დაუძლეველი ძალა და ტყვიაზე შუბლით მიდიოდა, უაზრო რისკის ფასადაც კი და გაიძახოდა - „მე თვითონ, მე თვითონ“. აქ სახე ჩამოყალიბებული იყო, სახე - ინდივიდი, ერთს მეორისაგან რომ გამოარჩევდი - ღირსეულს თუ უღირსს, მაგრამ მაინც ინდივიდს და მაინც საკუთარი ღირსებით, უღირსის ნიღბით. ხუტა უფროსი არ იკადრებდა საკუთარი ხალხის დარბევას, არც უტიფარი უფროსებისაგან მიიღებდა მოლაქუცებას იმისთვის, რომ იმ უფროსს მისი უფროსისთვის დაემტკიცებინა, როგორი ერთგული იყო პატრონის. ხუტა უფროსმა იცოდა პატრონთან ურთიერთობა, მაგრამ თავისი შინაგანი ნატურიდან გამომდინარე უფლებას არ აძლევდა პატრონს უდიერად მოპყრობოდა თავის, როგორც ქვეშევრდომის რეპუტაციას. ხალხსაც ასე თუ ისე ის ორმხრივიანი პოლიციელი ერჩივნა, ვიდრე ეს კაცისმკვლელი უსახო სახეები. ესენი არ არიან პიროვნებები, ვერ ისაუბრებ პატრულზე როგორც პერსონაზე, როგორც წეს-რიგის დამცველზე. ამ შემთხვევაში წაშლილია პიროვნების ინდივიდუალიზაცია. ისინი ძლიერები არიან მხოლოდ მაშინ, თუ არიან ჯგროდ და თუ მოწინააღმდეგე ან მარტოა, ან სუსტია, ან დაუძლურებული. სხვა შემთხვევაში პატრული წარმოადგენს ლაჩრების ხროვას. რუსული გამოთქმა არსებობს, რომელიც მათ ნატურას სრულად ასახავს - Идут на „ура“! ხუტა უფროსისგან განსხვავებით.

ილია კი თავის ტრაგიკულ აღსასრულამდე 36 წლითა და 1 დღით ადრე ასე წერდა, წერდა და თავის ნააზრევში დღემდე არ შემცდარა, ისევ ამართლებს ქართველობა დიდი ქართველის დაკვირვებას საკუთარ თავზე, საკუთარ თავში მთელი ერი რომ იგულისხმება, -

**„ჩვენისთანა ბედნიერი**
**განა არის სადმე ერი?!**
**მტვერწაყრილი,**
**თავდახრილი,**
**ყოვლად უქმი, უდიერი;**
**უზღუდონი, გზამრუდონი**
**არგამტანი და ცბიერი,**
**მტრის არმცნობი,**
**მოყვრის მგმობი,**
**გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;**
**არ-რის მქონე, არ-რის მცოდნე,**
**უზრუნველი და მშიერი.**
**ჩვენისთანა ბედნიერი**
**კიდევ არის სადმე ერი?“**

თითქოსდა ყველაფერი რიგზეა - ყველა დროის ქართველობა ამ ლექსში ეპოქის ანალოგს ხედავდა, მაგრამ სიღრმისეულად არ ჩაკვირვებია ლექსის თითოეულ მუხლთან რა მსგავსებას პოულობდა, რატომ და რაში გამოიხატებოდა იდენტიფიკაცია. ერმა მთლიანობაში შეითვისა ყველა ის მანკიერება, რაც გამოთქმული აქვს ილიას. ესაა მხოლოდ, რომ სანოემბრო მანიფესტაციები იმას ნიშნავს, რომ საქართველომ აგონიაში ჩავარდნას შეებრძოლა. თვით ამ ბრძოლაში გამოიხატა მეტწილი უზნეობანი. ერს კი სწყუროდა და სწყურია ამ სიმახინჯეთაგან განკურნება. არ დააცალა სააკაშვილის ხელისუფლებამ დარბეულებს გონზე მოსვლა – რიყეზეც მიაკითხეს, ტელეკომპანიაც დაარბიეს და გზა გაუხსნეს ათასი ჯურის ლაქუცა ავანტიურისტს.

ილიას იუბილეს საქართველოს სახელმწიფო საგანგებო მდგომარეობით შეეგება და თავისუფალი სიტყვის ჩახშობით.

არაფერს ვამბობ მძიმე ყალანსა და ლამაზ ფალანზე. ჩვენ რომ უწყინარები და უჩივარები ვართ, ეს, თუ არ ჩავთვლით შევარდნაძის თერთმეტწლიანი მეორედ-მოსვლის საშინელებას, სააკაშვილის ოთხწლიანმა ჰარი-ჰარალეზე გატარებულმა საპრეზიდენტო ეპოპეამაც საუკეთესოდ დაადასტურა. ჩვენ რომ უშფოთველები და ქვემძრომები ვართ, ამას ყოველწლიურად ვადასტურებთ; სააკაშვილთან ბოლოდროინდელმა ნებისმიერმა წინასაარჩევნო შეხვედრებმა სააშკარაოზე გამოიტანა ჩვენი ეს მანკიერება. ზემოთქმულს თვით ილიაც ადასტურებს, -

რიგიანი და წესიერები ვართ, თანაც ჯორ-ცხენივით ყველაფრის მთმენნიო, რადგან საუკეთესოდ ვართ ნახედნი, და ნახედნი იმიტომ ვართ სანიმუშოდ, რომ ძლიერები ვართ!

ზოგიერთებს ეს თეზისი ერის უარყოფით თვისებად მოეჩვენება, მე კი ვიტყვი, რომ ჩვენი საკაცობრიო ღირებულება ამ თვისობრივ ნიშში მდგომარეობს. ილია ნაკლს თუ ამხელს, ღირსებებსაც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ამ ლექსში. უნჯი და მუნჯი გარკვეულ დრომდე ვართ და ეს ჩვენი სისულელე კი არ არის, არამედ ის, რომ ჩვენ გულჩჩვილნი და ლმობიერნი ვართ – სწორედ რომ ქრისტიანული მორალი ეროვნულობის განმსაზღვრელ სახედ წარმოჩნდა ქართველობისათვის და იგი იაფეტური რასის ხასიათთან ორგანულად გაიგივდა. თვალაბმული, თავაკრული და პირს ზომიერი ლაგამი რომ გვაქვს, ეს ჩვენი ბრალი კი არ არის, იგი ერის ბედისწერაა, პრომეთეს მიჯაჭვვებაა კავკასიონზე (ამად ალვიქვამ მე ამ სიტყვებს) და იგი არათუ გასაკილი, ან საამაყოდ წარმოსაჩენი, ეს ჩვენი ყოფის ობიექტური რეალობაა და სხვა არაფერი.

მართლაც, ყველა ყრუობთ და ვცრუობთ, ერთმანეთს ვაცურებთ. მიუხედავად ამისა, მაინც ჭკვადამჯდარები და გულხმიერები ვართ, ამით ვაბათილებთ ჩვენს სიცუღლუტესა და ფლიდობას. თავი რომ დაგვახრევინა მტერმა, იმიტომ წაგვაყარა მტვერი მსოფლიო ასპარეზზე. შედეგად უქმობა და უდიერობა დაგვჩემდა ხასიათში, ჩვენდა უნებურად და ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ, რადგან ჩვენ უმაქნისები არ ვყოფილვართ. ესეც ჩვენი ოდითი უბედურებაა – არგამტანები და ცბიერები თავადვე ვიმრუდებთ საკუთარ გზას, ისე ვამრუდებთ, რომ ზღუდე არ გააჩნია ჩვენს გაქანებას. ამიტომ ვერ (ან არ) ვცნობთ მტერს და ვგმობთ მოყვასს.

ეს არაა რომელიმე კონკრეტული ხელისუფლების ბრალი, ან რომელიმე მთავრობის მიმართ თქმული, - ეს მთელი ერის შინაგანაწესია, რადგან - „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი. ნახავენ რასმე და იტყვიან: აჰა, ახალი. ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში. არ დარჩენილა ხსოვნა იმათი, ვინც წინათ იყო; და მომდევნოებიც, ვინც იქნებიან, არ გაიხსენებს მათ მომავალი. მე, ეკლესიასტე, მეფე ვიყავ ისრაელისა იერუსალიმში... განვიცადე ყოველი საქმე, რაც კი მომხდარა მზისქვეშეთში; და აჰა, ვცანი – ამაო არის ყველაფერი და ქარის დევნა. გამრუდებულს ვეღარ გამართავ, ხოლო ნაკლულს ვეღარ შეავსებ.“ (ეკლესიასტე, თავი I, სტატიები 9-12; 14-15).

ასე რომ, შეეგებეთ ილიაობას მწარე სინამდვილით.

## სონატური ალეგროს ქართული მოდელის დეტალიზება

მუსიკალურ თეორიაში არსებობს სიმფონიისა და სონატის სტრუქტურული ფორმა, სადაც წამყვანი როლი ენიჭება სიჩქარეს და ძირითადი თემის განმეორებას სხვადასხვა ტონალობითა და სრულიად განსხვავებული ამპლუით, ასევე განსხვავებულ ფაბულაში, რასაც ემატება, ან აკლდება მთავარი - მელოდიური ქარგის რაღაც დეტალი, რომელიც შემომღერებით როლს ასრულებს სონატურ ალეგროში, ან არადა ერთი დეტალი ენაცვლება მეორეს გარემოებასთან შესაბამისად, რათა არ შეიქმნას ვაკუუმი სრულფასოვნების. ყველაფერი ეს დინამიკაშია გადაწყვეტილი, მელოდიის თანმხლები ჰარმონიაც თავისთავად მეტად მდიდრდება და მსმენელისათვის მისაღებია იგი ესთეტიკის თვალსაზრისით, რადგან ნაწარმოები არ ტოვებს მოწყენილობის შთაბეჭდილებას. თავისთავად ამ ფორმაში ჩადებულია იდეა იმპროვიზაციის. სონატური ალეგრო სამი დიდი ნაწილისაგან შედგება (ესენია ექსპოზიცია, დამუშავება და რეპრიზა).

ამ მოდელში ცენტრალური ადგილი უჭირავს ორ კონტრასტულად საპირისპირო პოლუსებზე მდგარ სახეებს (სახეში შეიძლება იგულისხმო როგორც მხატვრული, ასევე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, ან იდეოლოგიური სახეები და სხვ.). ქართულ რეალობაში ეს ფენომენი შეიქმნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, რომელი ფიგურა, სახე, იდეოლოგიური გაერთიანება როგორ უდგებოდა ამ საკითხს, ვის რა უნდოდა და ვის რა არა, ამაზეა საუბარი. ერთმანეთთან დაპირისპირებაც მხოლოდ ამ ნიადაგზე ხდებოდა. ასე იყო გაწყობილი ჟორდანიასეული პირველი რესპუბლიკის პრელუდია და პრელუდიამ ასახვა ჰპოვა დიდი პაუზის შემდეგ საქართველოს მესამე რესპუბლიკის შექმნისთანავე. რეპრიზას ელემენტები მესამე რესპუბლიკამ პირველისაგან მემკვიდრეობით მიიღო – ესენია დაპირისპირებულ მხარეთა მიდგომა სახელმწიფოებრიობისადმი, პოლიტიკური ორიენტაცია და მსგავსი დეტალები. ერთია განსხვავება მხოლოდ, რომ პირველი რესპუბლიკისაგან განსხვავებით მესამე რესპუბლიკის პირველი ხელისუფლება აშკარად იდგა ეროვნულ ნიადაგზე და მისი დამხობა მოხდა პირველი რესპუბლიკის ასევე დევნილი ხელისუფლების იდეოლოგიური მემკვიდრეების მიერ.

ამ შემთხვევაში სონატურ ალეგროში შემოვიდა ახალი თემა - მსხვერპლის გარდაუვალი აუცილებლობისა. მაშინ, როცა პირველი რესპუბლიკის მსხვერპლი იყო აბსტრაქტული გაგება – ერი და სახელმწიფო (თვით სახელმწიფოებრიობის მთელი ატრიბუტი) და ამ მსხვერპლს ენიჭებოდა მეორეხარისხოვანი როლი, მესამე რესპუბლიკის მსხვერპლი კონკრეტული პიროვნება გახდა - სახელდობრ ზვიად გამსახურდია. ამით ქართულმა სონატურმა ალეგრომ შეიძინა სიმძაფრე. შემდეგ იყო ასევე დიდი პაუზა, ისევ სიმძაფრე, ისევ პაუზა და ისევ სიმძაფრე. მაგრამ თითოეულ თემებს შორის მანძილი მოკლდებოდა და ლოდინიც შესაბამისად უფრო ასატანი გახდა. პირველი სამოცდაათწლიანი პაუზა პირველ რეპრიზში თერთმეტ წელში ჩაეტია, მეორე რეპრიზში კი თერთმეტწლიანი უძრაობა ოთხმა წელმა მოიცვა, ე.ი. „მატრიოშკას“ პრინციპი ათამაშდა პოლიტიკურ ავანსცენაზე. კონტრასტი აქაც თვალსაჩინოა და სისწრაფის ეფექტი აითვისა დამაძინებელმა გარემოებამ. ალეგრო ადაჯიოში განხორციელდა და მაინც არ დაკარგვოდა თავისი ტემპის მნიშვნელობა. დისონანსმა წარმოაჩინა კონფლიქტი თვით ექსპოზიციური კვანძის დამუშავებაში – ურთიერთბრძოლა, ურთიერთდაპირისპირება, თვით საკუთარ წიაღში წამყვანი პარტიის მოსაპოვებლად (მუსიკაშიც და პოლიტიკაშიც ეს სიტყვა აქტუალურია და ამადაც მრავალმნიშვნელოვნად ვხმარობ მას ამ კონტექსტუალურ ფაბულაში).

ამიტომაა ჩვენი დღევანდელი რეალური ყოფა სხვადასხვა თვალსაზრისით საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპების ანალოგია-განმეორებად მიჩნეული. თემებიც, კონფლიქტებიც, იდეებიც და თუნდაც იდეოლოგიური ბაზისიც გარკვეულწილად დაექვემდებარა სონატური ალეგროს პრინციპების მატრიოშკულ მასშტაბებსა და პარამეტრებს. არადა ქართველი ერის ისტორიული მისია არ წარმოადგენდა სონატური ალეგროთი მსოფლიო გართობას. მას უფრო დიდი როლი ეკისრებოდა საკაცობრიო ცივილიზაციაში. ქართველები ოდითგანვე ვითვლებოდით წმიდა გრაალის მცველებად, მეფე არტურის სულიერ მოძღვრად, მისტერიული ევროპის მესაძირკვლედ, ევროპისა, რომელიც ინიციაციისათვის ყოველთვის საქართველოს მიმართავდა. მენესტრელთა სიმღერაში მეფე-ხუცეს იოანეს (იგივე პრესვიტერ იოანეს) – დავით აღმაშენებლის „გალობიდან“ საზრდოობდნენ. ასე მღეროდნენ მენესტრელები - „ჯარი უბედურების იარაღია, ამიტომ კეთილშობილი მმართველი არ მიისწრაფის მისი გამოყენებისაკენ. ის იყენებს მას მხოლოდ მაშინ, როცა ამას აიძულებენ. მთავარი – სიმშვიდის შენარჩუნებაა, გამარჯვების შემთხვევაში კი საკუთარი თავი არ უნდა განადიდო. საკუთარი თავის გამარჯვებებით განდიდება ნიშნავს გაიხარო ადამიანთა მკვლელობით, მას ვისაც უხარია ადამიანთა მოკვლა, არ შეუძლია მოიპოვოს თანაგრძნობა ქვეყანაში. კეთილშობილება მიიღწევა გარჯილობით, ხოლო უბედურება წარმოიშობა ძალადობიდან“.

თვით კონფლიქტის პირდაპირი წყარო ორგანულად დაკავშირებულია სონატური ალეგროს მოდელთან - კონფლიქტი არჩევნებისა და ბუნტის ინსპირირებისა. მაინც და მაინც აფიორა იწყება გარეტაქტით, რომელმაც თითქოსდა უნდა დაიწყოს ახალი მელოდიური თემა, სინამდვილეში კი უკვე კარგად ნაცნობმა ადაჯიოს თემამ უნდა განაგრძოს აქტიურ მოქმედება. კანონზომიერება როცა ითხოვს არასრულ ტაქტს საარჩევნო პაუზით, ძირითადი პარტია იმ პაუზაში განაგრძობს ლეგატოს, რათა შეუწყვეტლად გადანაცვლდეს ძველი თემა გარეტაქტიდან (წინასაარჩევნო დაპირებებიდან) მომდევნო ტაქტში. ძირითადი ბირთვი კი მოითხოვს ახალ თემას. გამარჯვებული სონატური ალეგრო კი განაგრძობს თავის მელოდიას მთელი ნაწილის დასასრულამდე. აი, ამ დასასრულს აგრესი-

## ცხოვრება [illegible] II ნაწილი

ულად აქტიურდება გაბრიყვებული მასსა და ისევ იწყება ბუნტი, არჩევნები და ოთხწლიანი მოთმინება და ისევ ეპოქის დასასრულის მოლოდინი და ისევ ლეგატო პაუზის ნაცვლად და გარეტაქტი და ა.შ. სწორედ გარეტაქტის პოზიციაში ვიმყოფებით ახლა. ჩვენმა მთავრობამ (თუ ამას მთავრობა ჰქვია) მისი წინამორბედისაგან განსხვავებით იდეაში შემოიტანა მასიური რბევა ყველასი, ვინც გზად გადაეღობება, და ამ თავისი ნამოქმედარის გამართლება: დემოკრატიის გამარჯვება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი რბევა გამართლებულია, როდესაც მიმართავ იმათ წინააღმდეგ, ვინც ემუქრება სახელმწიფოებრიობას, ვინც ითხოვდა სახელმწიფო გადატრიალებას და ამდაგვარ სხვას. როდესაც ამას ამბობ ის, ვინც ანალოგიური გზით მოიტაცე ხელისუფლება, გისვამ კითხვას - რა მოხდებოდა შენი მეთოდები რომ გამოეყენებინა ზვიად გამსახურდიას შენი პოლიტიკური მშობლის წინააღმდეგ, ან შენს მშობელს რომ გამოეყენებინა შენს წინააღმდეგ, აგცდებოდა თუ არა შენ ამ ვანდალური საქციელის ჩადენა? ცალსახად ვიტყვი, ასე რომ მომხდარიყო, შენ არც დაიბადებოდი. ეს დათა თუთაშხიას და მორდეხაის დიალოგს მაგონებს, დათა რომ შესჩივის თანამოსაუბრეს - „ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო, მე თუ არა სხვას მაინცო“. და მორდეხაის პასუხი და საკვანძო პასუხი, მთელს ტრაგედიას რომ ლეიტმოტივად გასდევს უპასუხოდ, პასუხი რომ ყველას ენაზე ადგას და ფრთხილობს პასუხის გაცემას - „რომ არ ჩაგეცვა, გახდა თუ აგცდებოდა ან შენ, ან იმ სხვას?“

მიდი და გაეცი პასუხი ამ კითხვას, მაინც და მაინც წინასაარჩევნოდ.

### სამშობლო, სახელმწიფო და ხელისუფლება

სონატური ალეგროს მოდელის სრულყოფილად წარმოჩენისათვის საჭიროა და აუცილებელი კონფლიქტის გახსნა (ამას ითვალისწინებს ექსპოზიციისა და დამუშავების სონატური ალეგროს განშტოებები). კონკრეტულ შემთხვევაში განხეთქილების ვაშლად უნდა წარმოჩინდეს საშვიდნოემბრო დემონსტრაცია (ე.წ. „გრძელი ხელკეტების ღამე“), რადგან რეპრიზა თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს ამ დღეს - სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგი პერიოდის კონფლიქტის შეკვრის გზის გასაყარზე. სწორედ რომ ამ დღეს არ იყო დაპირისპირებულ მხარეთა ნიღაბი და ყველა იმზირებოდა მრუდე სარკის ნაწილიდან, ოპტიკამ რომ გამრუდება ჭეშმარიტ რეალობად აქცია და არა ცთომილებად.

პირველ ყოვლისა უნდა გაირკვეს ვინ თამაშობს მთავარ როლებს და რა მისია აკისრია მათ. პირველი და მარტივი შეკითხვა, რომელზე პასუხიც დაამძიმებს ყველას პასუხისმგებლობას - ვინა ხარ შენ? ერთი იტყვის ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, მეორე იტყვის ოპოზიციას, თანაც გაერთიანებულს, მესამე კი აღნიშნავს, რომ ის ხალხია. სამივე პასუხი მართალი იქნება, მაგრამ ფაქტი გადააწყვილებს მთავარი როლის შემსრულებლებს - ერთნი არიან დამრბევები, მეორენი კი დარბეულები. ამაზე პრეტენზიას ვერც ერთი მხარე ვერ გამოთქვამს.

დავიწყოთ დამრბევლებით - (ვიცით, რომ დამრბეველი არის ხალხის მიერ „არჩეული“ ხელისუფლება) რას იცავდი შენ ამ დარბევით? დემოკრატიას, სახელმწიფოებრივ ღირებულებებს და ხალხის არჩევანს, - სახეზე არ გაწითლდება, ისე მიპასუხებს დამრბეველი, თანაც დასძენს, - ასეთი რამ ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ხდებაო (და ჩამოთვლიან ქვეყნებს). ერთი სიტყვაც არ დასცდებათ, ამ დარბევით სამშობლოს ვიცავდით, არ მოაფიქრდებათ ეს, და მიტომ, არ მოაფიქრდებათ იმიტომ, რომ რაზეც არ ფიქრობ, რაც გონებაში არა გაქვს გამჯდარი, იმას, ბუნებრივია, ვერც იტყვი და ამ ნათქვამით გულწრფელი იქნები მაშინ. ხოლო თუ ვინმე იტყვის, რომ მთავარი დასაცავი ობიექტი ამ დარბევისას სამშობლო იყოო, იგი ან სულელია, ან დემაგოგი, ან კიდევ პატრონის კუდქიცინა მურია, რომელსაც ქართულად მლიქვნელი ეწოდება. ისინი მართლები არიან - „გრძელი ხელკეტების ღამით“ დაცული იქნა სახელმწიფო და არა სამშობლო, სახელმწიფო, რომლის სინონიმია ხელისუფლება. ეს უბედურება მოდის იმ დღიდან, რა დღესაც საქართველოში აირჩიეს ზვიად გამსახურდია და „მრგვალი მაგიდა“ ხელისუფლებაში. იმ დროს შეიძლება გამართლებულიც ყოფილიყო რაღაც შემთხვევაში ხელისუფლებისა და სახელმწიფოს გადაჯაჭვება, მაგრამ შემდგომ პერიოდში ამან დამღუპველი როლი ითამაშა თვით ქართულ სახელმწიფოებრიობაზე. გაჩნდა პრეცედენტი - „მე თუ არ ამირჩევ, ქვეყანა დაიქცევაო“. ხალხი კი სულმოუთქმელად ელოდა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვას. არჩევნებიდან არჩევნებამდე ხალხი იყო „ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი“, - როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ ილიას ლექსით.

გაჩნდა აგრეთვე ძალაუფლების წართმევის შესაფერისი მომენტის შერჩევისა და გამოყენების შემთხვევები მაშინ, როცა ამასთანავე ამისდა საწინააღმდეგოდ შეიქმნა ხელისუფლებაში განუსაზღვრელი ვადით ყოფნის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა ამა თუ იმ შავ-ბნელი საქმეებით. არჩევნების ფენომენი ერთისთვის გახდა ათასნაირი მაქინაციების მოფიქრების საშუალება, მეორისთვის კი რევოლუციური ალტკინების დასაწყისის ნიშანი. ერთის სიტყვით, არჩევნები საქართველოში არის ერთგვარი სადგური (სარკინიგზო იქნება ეს, ავტობუსების, საჰაერო თუ საზღვაო, - ეს ფანტაზიის განვითარების შედეგზეა დამოკიდებული), სადაც მგზავრები ადიან და ჩადიან, ერთმანეთს ასწრებენ ბილეთების აღებას, ან უბილეთოდ შეძრომ-გამოძრომას, ეს არის უპირველესად თავ-პირის მტვრევა, რათა მომდევნო გაჩერებამდე უზრუნველად იმგზავრონ, ან ძლიერს შეეკედლონ, რათა იმ ტალღამ შეაგდოს „ჩქარ მატარებელში, რომელიც მეორე დღეს სტამბულში ამოყოფს თავს, მესამე დღეს კი ლონდონში“. რევოლუციური ალტკინება კი მხოლოდ ამ სადგურთან მოახლოვებისთანავე იწყება, რათა ძველი მგზავრები შეიცვალონ ახლებით, ხოლო ძველი მგზავრები ცდილობენ არ დაუშვან ახალი მგზავრების ამოშვება და მუჯლუგუნებით სურთ დატოვონ სადგურზევე „ჩქარი მატარებლის“ მომლოდინეები. ხელისუფლებაში ნებისმიერი ხრიკით დარჩენა ნიშნავს იმას, რომ როდესაც მესაჭეს ამოეწურება მესაჭეობის უფლება და იგი ისეა შეჩვეული ამ მესაჭეობას, ახალი მესაჭის გვერდით სურს ჯდომა, რათა ის ახალი მესაჭეც მართოს, და ის „ჩქარი მატარებელიც“. ამიტომ ახალი მესაჭე თავისიანი უნდა იყოს. (Nota bene: სიონისტთა მეექვსე ოქმში ვეცნობით ამ „მესაჭის“, თუ ყველა სხვა „მესაჭეობის პრეტენდენტთა“ წინასაარჩევნო დაპირებებს თავისი ქვენაგრძნობიერი შედეგების მოლოდინით - „გოების მრეწველობის გასალატაკებლად ჩვენ გამოვიყენებთ ფართოდ გავრცელებულ ფუფუნების გრძნობას. ავამაღლებთ ხელფასს, რომელიც მაინც ვერ მოუტანს სიკეთეს მუშებს, რადგან ამის პარალელურად გავაძვირებთ პირველი მოხმარების საგნებს, მიწათმოქმედების და მესაქონლეობის დაქვეითების მიზეზებით“.). თავისთავად საარჩევნოდ არათანაბარ პოზიციებში უნდა აღმოჩნდეს ოპოზიცია და ხელისუფლება. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით მთავრობის ლანძღვის მეტი სხვა არაფერი არ უნდა დარჩეს ხელისუფლების ოპონენტებს, რადგან ხალხს უნდა აფიქრებინონ, რომ ესენი მოლაყბეები არიან და ხელისუფლებას ლანძღავენ მარტოდენო, ხელისუფლება კი ყველაფერს აკეთებს - გზებს აგებს, სკვერებ-შადრევნებს ხსნის, დადის საპრეზიდენტო კორტეჟით და ა.შ. მის სარეკლამო კომპანიაში ჩართულია მთელი სახელმწიფო მოხელეები დაწყებული პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლით, დამთავრებული უკანასკნელი საკანცელარიო მუშაკით. ფსიქოლოგიური ზეწოლა იმის მუქარით, რომ თუ არ მისცემ ხმას „მარჩენალს“, სარჩოს წაგართმევთო, შევარდნაძიდან მოყოლებული წარმატებით მოქმედებს. ეს არის ის გაუყალბებელი ხმათა ბირთვი, რასაც უნდა დაეყრდნოს გაყალბება. ამასვე ასწავლიან მასონები სიონურ მეათე ოქმში: „ჩვენი გამეფების მთავარი იარაღი - კენჭისყრა - თავის საქმეს შეასრულებს და ამჯერად ითამაშებს ბოლო როლს - მიგვიყვანს ერთპირობამდე. ამისთვის საჭიროა ყველა, განურჩევლად კლასისა და ცენზისა მივიყვანოთ არჩევნებზე, რათა მივაღწიოთ უმრავლესობის აბსოლუტიზაციას, რომელსაც ვერ მივაღწევთ ინტელიგენტთა კლასებში. ამ გზით - ბრბოში თვითშეგნების არსებობის ფიქრით - ჩვენ დავაქვეითებთ გოების ოჯახების მნიშვნელობას და მათ აღმზრდელობით მიზანს, გამოვრიცხავთ ინდივიდუალური გონების გამოყოფას. ჩვენს ხელმძღვანელობას დამორჩილებული ბრბო მოგვისმენს მხოლოდ ჩვენ, რადგან ვუხდით მორჩილებისათვის და ყურადღებისათვის, ამ გზით ჩვენ შევქმნით ისეთ ბრმა ძალას, რომელსაც არ შეეძლება არაფრის გაკეთება, ჩვენი აგენტების ხელმძღვანელობის გარეშე. ხალხი დაემორჩილება ამ რეჟიმს, რადგან ეცოდინება, რომ მის ლიდერებზე იქნება დამოკიდებული მათი ანაზღაურება და ყოველგვარი სიკეთის მიღება...

(...) მაშინ შესაძლებელი გახდა რესპუბლიკური ენის დამყარების შესაძლებლობა და ჩვენც მმართველი შევცვალეთ მთავრობის კარიკატურით - პრეზიდენტით, რომელიც ამოვიყვანეთ ბრბოდან, ჩვენი კლიენტურის, ჩვენი მონების წრიდან.

(...) ჩვენი გეგმა ასეთ შედეგამდე რომ მივიყვანოთ წამოვაყენებთ პრეზიდენტის ისეთ კანდიდატებს, რომელთაც წარსულში ჰქონდათ რაღაც გაუხსნელი ბნელი საქმე - „პანამა“ - მაშინ ისინი იქნებიან ჩვენი ხელისუფლების ერთგული შემსრულებელნი, ჯერ ერთი მხილების შიშით, მეორეც ხელისუფლების სათავეში ყველა ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისების გამო - პრეზიდენტის წოდებასთან დაკავშირებული პრივილეგიების, უპირატესობის, პატივის შენარჩუნების სურვილით. დეპუტატთა პალატა დაიცავს, აირჩევს პრეზიდენტს (...) მაშინ პრეზიდენტის ძალაუფლება გახდება სამიზნე ყოველგვარი თავდასხმისათვის, მაგრამ მას ჩვენ მივცემთ თავდაცვის უფლებას, ხალხისადმი მიმართვის საშუალებით. გარდა ამისა ჩვენ პრეზიდენტს მივცემთ სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების უფლებას (...)“ (სიონისტური კრებების მეათე ოქმი). კითხულობ და არ იცი სად შეწყვიტო ციტირება, რადგან იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს თეზისები, რომ მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე შექმნილი ეს ოქმები გგონია დღეს იწერება საქართველოსთვის და მისი ხელისუფლებისათვის ინსტრუქციების სახით. ერთს ვიტყვი და დავამთავრებ არჩევნებზე საუბარს დამრბევების თვალსაწიერიდან.

ვინ იქნება დამკვირვებელი ამ არჩევნებზე?

ვინ მაძლევს გარანტიას იმისას, რომ არჩევნები არათუ გაყალბდება, თვით მის მიმართ შემეცნებაში შეიცვლება წარმოდგენა და ყველანი ერთხმად ვაღიარებთ მის ჭეშმარიტებას. ესენი არიან ევროპელი და ამერიკელი დამკვირვებლები, მადლობთ! ესე იგი ისინი, ვინც ზემო ციტატად მოტანილი ოქმების იდეებზე არიან ნასაზრდოები. არჩევნები ხომ სხვა დროსაც ჩატარდებოდა საქართველოში და ეს დამკვირვებლები თავიანთი დასკვნებით აღიარებდნენ იმათ ობიექტურობასაც. სახელდობრ მე არ ვიცი რომელი დამკვირვებლების, საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნების საფუძველზე ხდებოდა ლეგიტიმური შევარდნაძის ყველა არჩევნები, სააკაშვილის ყველა არჩევნები. როცა ხელისუფლება შეიცვლება, ის ახალი ხელისუფლებაც იტყვის სააკაშვილის ყველა არჩევნები ტოტალურად ყალბდებოდა და ჩვენი არჩევნებია სწორი და ობიექტურიო, თან დასძენენ ამდენი ორგანიზაცია, ამდენი სახელმწიფოს წარმომადგენელი დააკვირდება მიმდინარე პროცესებსო. იმ მომავალში ვეტყვით იმ ხელისუფლებასაც დღევანდელ, ანუ წინამდებარე არჩევნებზე - განა საზღვარგარეთმა არ გახადა ლეგიტიმური იმ ხუთი იანვრის არჩევნებიო?! დღეს რომ მომიყვანე დამკვირვებლები, მე რა გარანტია უნდა მქონდეს, რომ თვით ისინიც არ გააყალბებენ თავიანთ დასკვნებს, როგორც ამას ადრე აკეთებდნენ. არჩევნები, თუ იკადრე, შეგიძლია გააყალბო, ეს ერთი დიდი დანაშაულია, მაგრამ როდესაც დამკვირვებელი, რომლის იმედიც აქვს მოსახლეობას, გააყალბებს თავის დასკვნას და ამით კანონიზებულს გახდის ყალბი არჩევნების შედეგებს, ეს აასმაგებს დამკვირვებლის დანაშაულს ხელისუფლებისაგან განსხვავებით. მთავარი მოწოდება კი უნდა იყოს ამ არჩევნებისათვის ასეთი - დამკვირვებლებო, არ გააყალბოთ თქვენი დასკვნები. ან დაწერეთ პირუთვნელად ყველაფერი, რასაც ხედავთ, ან არაფერი სულაც ნურაფერს დაწერთ. გახსოვდეთ, რომ გაყალბებული დასკვნებით პასუხს აგებთ ქართველი ერის წინაშე.

ამის სრულფასოვნად გასარკვევად, თუ რას იცავ - სახელმწიფოს თუ ხელისუფლებას, პასუხი უნდა გაეცეს ერთ-ერთ მთავარ კითხვას: ვისგან იცავ შენს ტახტს ხალხისაგან, ოპოზიციისაგან, „მოღალატეებისაგან“ თუ შპიონებისაგან... შპიონები რომ არ არიან ეს ადამიანები და მაინც ამდენი, ეს იმთავითვე ცხადია ისე, როგორც დილით ნათელია, ღამით კი ბნელა, დილით მზე ამოდის და ღამით მთვარე. ეს აქსიომაა, მაგრამ ქართული პროკურატურის სიბეცე რომ დავამტკიცო, გავშიფრავ სამართალდამცავთა ლოგიკას.

ვეძებთ დამნაშავეს,ვპოულობთ A-ს, გვინდა, და მიტომ. ახლა უნდა გამოვავლინოთ მისი თანამზრახველები. კოსმიური სისწრაფით „შეიკერება“ მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ „დასაბუთებულად“ A უდრის B-ს, რადგან ალფავიტში A და B გვერდი-გვერდ დგანან. თუ ეს ყველაფერი ასე იოლად და უმტკივნეულოდ გაკეთდა, ჩვენ შევძლებთ გამოვავლინოთ მთელი დანაშაულებრივი სისტემა, პოლიტიკური დაკვეთაა ასეთი, და მიტომ. ამ პრინციპიდან გამომდინარე - თუ A უდრის B-ს, მაშინ B-ს უდრის C-საც, ისევ და ისევ იმიტომ, რომ B და C ალფავიტში გვერდი-გვერდ დგანან და მაგარს და არა ძლიერს სურს ეს ასე. გვერდით მდგომი კი ყოველთვის იგივეა, რაც მთავარი სუბიექტი. ამიტომ არითმეტიკული კანონებით გამოგვყავს ჰიბრიდიზირებული საბრალდებო დასკვნა - თუ A=B და B=C, მაშინ A=C, მიუხედავად იმისა, რომ A-დან C უფრო დაცილებულია ალფავიტში, ვიდრე B-დან C. დანაშაულებრივი წრედი იკვრება და შესაძლებელია ამ დასკვნებში ჩართულ იქნეს მთელი ალფავიტი A-დან Z-მდე, გაიბას უცნაური კავშირები, საიდუმლო სატელეფონო საუბრები და ა.შ. თუ არ მოუხვალ თვალში ქართველ ნაცისტებს, მეორე დღეს შეიძლება საინფორმაციო გამოშვებაში მხარ-თეძოზე წამოწოლილმა მოისმინო შენი და (მაგალითად) ჰიტლერის სატელეფონო საუბრები, თუ როგორ გეგმავთ კენედის მკვლელობას. ასეთი რამის მოსმენის შემდეგ წაგიხდება მხარ-თეძოზე წამოწოლის ხალისი. ასე იმართება სამართლებრივი შოუ ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ გამოვრიცხავ მტკიცედ იმას, რომ დამრბევები საკუთარ ტახტს იცავდნენ აგენტი 007-ებისაგან, რაც შეეხება „მოღალატეების“ საკითხს, აქ უნდა გავარკვიოთ ვინ ვის (რას) ღალატობს. აქაც გამორიცხულია სამშობლოს ღალატი (Note bene: საერთოდ სამშობლოს ცნება ამ თამაშებში თამაშგარე მდგომარეობაშია დარჩენილი). მაშინ გამოდის, რომ „მოღალატეები“ ღალატობენ სახელმწიფოს, ესეიგი ხელისუფლებას. ერთი რამ ცხადზე უცხადესია - ღალატი იმისგან მოდის, ვინც ადრე ერთად იყვნენ და შემდეგ განუდგნენ ხელისუფლებას. სხვა შემთხვევაში სხვასთან მიმართებაში ეს სიტყვა შეუსაბამოა, რადგან მე თუ შენთან არა ვარ არასდროს, საღალატო არაფერი მჭირს. მაშინ ასეთი ყაიდის დარბეულები ბევრად მეტნი იყვნენ, ვიდრე ისეთები, რომლებიც სააკაშვილს განუდგნენ. განდგომილებიც და განზე დარჩენილებიც ერთ ბანაკში აღმოჩნდნენ სააკაშვილის დამღუპველი ხელისუფლების წინააღმდეგ. ასე და ამრიგად ღალატის ფაქტორიც გამოირიცხა. დარჩა ცნება - ოპოზიცია და ხალხი. შენ თუ ოპოზიციას და ხალხს არბევ, გამოდის, ყოფილხარ პირსისხლიანი ტირანი, რომელსაც ნებისყოფა არ გეყო და ისედაც დამარცხებული ოპოზიცია დაარბიე, გეგონა ამით საბოლოოდ მოვუღებ ბოლოსო, მაგრამ ამ საქციელით უფრო განამტკიცე და შენს წინააღმდეგ ბევრი შენი მომხრე განაწყვე. ასე რომ „ვარდების კავალერი“ თავის სიმაღლეზე ვერ იდგა, ვერ იდგა იგი თავის სიმაღლეზე ვერც 10 ნოემბერს ბიზნესმენებთან შეხვედრისას. რაც ილაპარაკა, ხომ ილაპარაკა, მაგრამ მან არ დაინდო არათუ მტერი, იმდენად იყო ეგზალტირებული თავის ეიფორიაში, რომ თავისი ერთგული ფინია გივი თარგამაძესაც კი გადაწვდა. იგი იმ წუთში ნერონს ჰგავდა, ტაკიმასხარას და არა იმპერატორს, რომელიც დორბლებს ჰყრიდა პირიდან რომი ქრისტიანებმა დაწვესო და არ დავიწყებია ტაკიმასხრობა, რომელიც მთელი აღფრთოვანებით იტყოდა - რა მსახიობი ვკვდებიო!!! ასეთი მსახიობი იყო წამდგარი ბიზნესმენების წინაშე - თარგამაძემაც ამოიღო ხმაო, - ხალხს გაეცინა, და რომ გაიგო ხალხი გამხიარულდა, უფრო და უფრო უმატა თარგამაძის დაცინვას - ბლუკუნა თარგამაძემაც ამოიღო ხმაო, სარისკო საქმეაო, უფრო და უფრო ასხამდა თავს ლაფს თავის გოშიას, რაკილა ხალხი ხარხარებდა - ესაა ტაკიმასხარას ფსიქოლოგია.

ცხოვრება ძლიერების არაა. იგი არც გენიოსების კუთვნილებაა. ცხოვრება მოხერხებულთა საკუთრებაა. ხოლო ვინ არის მოხერხებული, ამას არჩევნების ალაფი გადაწყვეტს. ერთი ცხადია, რომ ყველაფრის მიუხედავად სააკაშვილმა თავის თავში იპოვა ის გამბედაობა, თუნდაც თავხედობა, რომ დარბეულ ხალხს ისევ და ისევ შესთავაზოს საკუთარი პერსონა საქართველოს პრეზიდენტის ამპლუაში, მაგრამ ცხოვრება ძლიერების არაა, რადგან ძლიერები პირველები იღუპებიან ბრძოლის ველზე. იგი არც გენიოსების კუთვნილებაა, რადგან გენიოსები არ გამოირჩევიან გამბედაობით, ისინი საკუთარ ნაჭუჭში იკეტებიან და გამბედავები მხოლოდ გონების ფარგლებში არიან და ვერ სცდებიან საკუთარი მოსაზრებების ფარგლებს. ცხოვრება მხოლოდ მოხერხებულთა საკუთრებაა, რომელშიც განზავებულია გენიოსისა და ძლიერის თვისება და იგი იმარჯვებს ნებისმიერი ხერხით, ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერ საკითხში... სააკაშვილი ძლიერი არაა, იგი, როგორც ამას მისი გოშიები ყეფენ, მაგარია (ამის შესახებ ცოტა ქვემოთ).

ისევ დავუბრუნდეთ მიხეილ ჯავახიშვილს (უბის წიგნაკები 1930-1931წწ.), იგი წერს: ქრისტე რომ ჩამოვიდეს და ქართველებში დასახლდეს, მეორე დღესვე თავში ჩავუფაჩუნებთ, ან ხელს გადავხვევთ და ასე ავლაპარაკდებით: „ბიჭო იესო, როგორა ხარ? რასა იქ შენ ჩემო ნალავ? წამო ერთი ჩარექა დამალევინეო“. ასეთი ლაზღანდარა ხალხია ქართველი, ასე დაგვცა და გაგვათახსირა რუსულმა კულტურამ“.

ჰოდა ასეთი ლაზღანდარა ხალხისათვის ვითომ ზედგამოჭრილი არაა სააკაშვილი მოთავედ?! ჩვენ არ ვიცით არც დაფასება და არც შეფასება და ამიტომ უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესიენ. შეესევიან კიდეც ჩვენდა სამწუხაროდ, სულ მცირე ხუთი წლით მაინც.

დაიხსომე მაინც, ქართველო ერო, ეს ხუთი წელიც და მომდევნო ხუთი წლისთვის მაინც იყავი ბრძენი შენს არჩევანში. ოპოზიცია ხელისუფლებას აშინებს 6 იანვრით, ხელისუფლება კი 5 იანვრით. ესაა, რომ სააკაშვილს ჰყავს ისეთი ლაზღანდარა ამომრჩეველი, როგორი ფენომენალური ქარგაც მოარგო საზოგადოების ამ ნაწილს მიხეილ ჯავახიშვილმა. ეს ამომრჩეველი შექმნის აუცილებელ ბაზისს გასაყალბებელს. რომ არა ესენი, მაშინ ხელისუფლება კატასტროფის წინაშე დადგებოდა, მაგრამ ესენი არიან სანიმუშო თვალთმაქცები არჩევნების პირუთვნელობისა, რადგან ისინი პირუთვლენად და გულწრფელად მისცემენ ხმას სააკაშვილს. სამწუხაროდ, ასეთი ხალხი სააკაშვილს ბევრი არა ჰყავს და ამი-

გაგრძელება
მე-6 გვერდზე >>>>>>>>>

## [illegible] ნიუსი

### საქართველოს საპატრიარქოს ქონება გადაეცა

ამის შესახებ გადაწყვეტილება მთავრობის სხდომაზე მიიღეს.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ეკა შარაშიძემ განმარტა, საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა ყოფილი სასულიერო სასწავლებელი მე-9 საავადმყოფოს ტერიტორიაზე, ასევე ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ე.წ. დოსააფის შენობა, 4 ათასი მეტრი კვადრატული მიწა და 4600 კვ.მ. შენობა.

საპატრიარქოს მთავრობის გადაწყვეტილებით ასევე გადაეცემა ერეკლე მეორის მოედანზე, სიონის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობები და მათზე გაპიროვნებული მიწის ნაკვეთი, გარდა ამისა - სენაკში მიწის ნაკვეთი და სოფელ ვანში საეპისკოპოსო რეზიდენციისთვის მიწის ნაკვეთი, სოფელ ვეჯინში მიწის ნაკვეთი ახალი ეკლესიის ასაშენებლად.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა განაცხადა, შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ითანამშრომლებს მთავრობასთან და საპატრიარქოსთანაც საპატრიარქოზე ქონების გადაცემის საკითხში.

### ოლიმპიური ცეცხლი აინთო

ბერძნულ ნახევარკუნძულ პელოპონესზე, უძველეს ოლიმპიაში ტრადიციულად აინთო 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი.

საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ საბერძნეთის პრეზიდენტი კაროლოს პაპულიასი, პრემიერ-მინისტრი კონსტანტინოს კარამანლისი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგე.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ საზეიმო ცერემონიას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. მისი ჩაშლა სცადეს ტიბეტიდან ჩამოსულმა ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობის წარმომადგენლებმა, მაგრამ ისინი პოლიციელებმა დააკავეს. ტიბეტელები მოითხოვდნენ ჩინეთის, როგორც ოლიმპიადის მასპინძლის, ბოიკოტირებას.

ოლიმპიური ჩირაღდანი ჯერ საბერძნეთს შემოივლის, 30 მარტს კი თეთრმარმარილოვან სტადიონ „პანათიანიკოსზე“ ესტაფეტა გადაეცემა ოლიმპიადის ჩინელ ორგანიზატორებს, მას ისევ გრძელი გზა ექნება ჩვენი პლანეტის თითქმის ყოველ კონტინენტზე, აგრეთვე მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე - ევერესტზე.

8 აგვისტოს კი პეკინში, ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე ჩავა.

### უფლისციხე წყლის ტყვეობაში მოექცა

ტემპერატურის მომატებამ მთაში თოვლის დნობა გამოიწვია, რასაც შიდა ქართლში მდინარეების ადიდება მოყვა.

მოსახლეობას გასულ წლებში საფრთხეს მდინარეები მტკვარი, ლიახვი და მეჯუდა ერთდროულად უქმნიდა.

ამ დროისთვის კი, ჯერჯერობით მდინარე ლიახვი წარმოადგენს საფრთხეს, ყველაზე უფრო საშიშად სამი წერტილი ითვლება.

გორში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე ლიახვმა გასულ წლებში მიწის გარკვეული ფართობი მიიტაცა და ამჟამადაც, სერიოზული საფრთხე უკვე შეიქმნა.

გარდა ამისა, საშიშროებაა სოფელ ორთაშენში, სადაც მდინარე ლიახვზე სასმელი წყლის მაგისტრალი გადის, და სოფელ უფლისციხეში, სადაც ძეგლში ასასვლელი გვირაბი მთლიანად მდინარის ტალღებშია მოქცეული.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თურქულ კომპანიასთან ხელშეკრულება გააფორმა და ამ სამუშაოს აღნიშნული კომპანია შეასრულებს.

ნაპირსამაგრი სამუშაოები უკვე დაიწყო, პირველ ეტაპზე, გორში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე ლიახვის ნაპირსამაგრი სამუშაოები შესრულდება.

გარდა ამისა, ტემპერატურის მატებამ ქართულ ოსური კონფლიქტის ზონაში მცირე ზომის მეწყერებიც გამოიწვია. დიდი და პატარა ლიახვის ხეობის დამაკავშირებელ შემოვლით გზაზე რამდენიმე მეწყერი ჩამოწვა, რამაც მოძრაობა შეაფერხა.

### ალავერდი სრულად აღსდგება

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ალავერდის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები წელსაც გაგრძელდება.

2008 წელს კულტურის სამინისტროს მიზნობრივ პრიორიტეტებში ერთ-ერთ პროექტად განსაზღვრულია ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის სარეაბილიტაციო პროექტის მომზადება, რაც საფუძვლად დაედება ტაძრის სრულ რეაბილიტაციას.

კულტურის სამინისტროს დაფინანსებით ალავერდის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2005 წელს დაიწყო: პირველ ეტაპზე, კომპანია „ბადაგონის“ დაფინანსებით, განხორციელდა ალავერდის სასახლის ხის კონსტრუქციის აღდგენა და მისი თავდაპირველი სახით - ახალი კრამიტით გადახურვა.

2006 წელს არქეოლოგიური გათხრებისას, გამოვლინდა მე-12 საუკუნის აბანოს ნანგრევები. დადგინდა აბანოს კონსტუქციულ-ხუროთმოძღვრული და სივრცითი-მოცულობითი სტრუქტურა და კომუნიკაციების ურთიერთმიმართება.

2007 წელს განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოებისას მცენარეული საფარისგან გაიწმინდა აბანოს სახურავი და აღმოსავლეთით მდებარე სათავსოები - საქვაბე და დარბაზი. აღსდგა დასავლეთის ქვის კედელი და კამარები. დასავლეთის შეისრული აგურის თაღებისთვის მომზადდა და დამონტაჟდა ხის ქარგილი. სრულყოფილი რესტავრაცია ჩაუტარდა აბანოს გუმბათებს.

აბანოს მაქსიმალურად აქვს შენარჩუნებული ისტორიული იერსახე. განხორციელებული სამუშაოების შედეგად მთლიანად იკითხება როგორც დიდი დარბაზი, ასევე შესასვლელი, აბაზანა, მოსასვენებელი ოთახი და წყლის რეზერვუარი.

### ქუთათურებმა ჟურნალისტიკის დღე აღნიშნეს

ქუთაისის მასმედიის წარმომადგენლები ქართული ჟურნალისტიკის დღეს განსაკუთრებულად აღნიშნავენ. ადგილობრივი ტელევიზიებისა და გაზეთების ჟურნალისტები პოდიუმზე გამოვიდნენ. თეატრალიზებულ შოუში 26 ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა.

დიზაინერებმა ესმა ხეცურიანმა და ანა თორთლაძემ ჟურნალისტებისათვის ექსკლუზიური მოდელები შექმნეს.

პროფესიული დღის აღნიშვნის იდეა ადგილობრივ რადიოს "ძველ ქალაქს" ეკუთვნის.

ჟურნალისტებს პოდიუმის დასრულების შემდეგ ნომინაციების მიხედვით საჩუქრები გადაეცათ.

### არქივს კონსტანტინე გამსახურდიას ხელნაწერები შეემატა

დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას პირადი არქივის ნაწილი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა. კერძოდ, XX საუკუნის 10-იან წლებში მწერლის მიერ გერმანიიდან საქართველოში გამოგზავნილი წერილები ცენტრს კონსტანტინე გამსახურდიას შვილთაშვილებმა შორენა და დავით (კონსტანტინე) ახობაძეებმა გადასცეს.

მწერლის ყველა წერილის ადრესატი მისი მეუღლე რებეკა ვაშაძეა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ბუბა კუდავას განცხადებით, აღნიშნული მასალა არის წყარო როგორც კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე XX საუკუნის ქართული კულტურის შესასწავლად.

მისივე ინფორმაციით, კონსტანტინე გამსახურდიას პირადი არქივის ნაწილი, რომელიც დაახლოებით 60 ერთეულისაგან შედგება, შესასწავლად გადაეცემა მეცნიერებს. სათანადო დამუშავების შემდეგ კი შედგება აღწერილობა და მასალა ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

## დღეს

### ამას მედალი, იმას სიკვდილი!..

მოშიმშილე ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი შიმშილობიდან მე-6 დღეს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, საავადმყოფოში გადაიყვანეს!

აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ქართველი ჟურნალისტები ტყვეობიდან გაათავისუფლა. საქართველოს პრეზიდენტმა თავად გადასცა ჯილდოები ჟურნალისტებს და დაიმედა - აფხაზეთში ერთად შევალთო.

პრეზიდენტი ზოგიერთს აჯილდოებს, ზოგიერთს კი სასიკვდილოდ იმეტებს. ექვსი დღე შიმშილობდა გამომცემლობა „სამშობლოს" წინ ჩვენი კოლეგა, ჩვენი პარტნიორის, გაზეთ „ასავალ-დასავალის" ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი. ხელისუფალთაგან ექვსი დღე არავინ მიაქცია მის მშვიდობიან საპროტესტო აქციას ყურადღება... არავინ მიბრძანებულა და შეხმიანებია მას... (თუმცა, პარლამენტარმა ელენე თევდორაძემ ერთ-ერთ სხდომაზე აღნიშნა ჟურნალისტის შიმშილობის ფაქტი, მაგრამ... ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...). არადა, რას ითხოვდა... უკანონოდ გამოძევებულნი, კვლავ, აწ უკვე გაპარტახებულ, გაძარცვულ შენობაში დაგვაბრუნეთო.

ვინ არ გამოეხმაურა ქართველ ჟურნალისტთა მოთხოვნას, რომელთა გამო გიორგი შიმშილობდა - უცხოური პრესა და რადიო (ქართულსა და რუსულზე, რომ არაფერი ვთქვათ), გარდა ჩვენი მთავრობა-ხელისუფლებისა.

### განახლდა სპორტის სასახლე!

შარშან მარტში სპორტის სასახლეზე გამოცხადებულ ტენდერში „ლოჯიკ ჯგუფმა" გაიმარჯვა და თითქმის ექვსთვიანი დაუღალავი გარჯის შემდეგ 22 აგვისტოს სარემონტო სამუშაოების პირველი ეტაპი დაასრულა: დაიგო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იატაკი, დამონტაჟდა თანამედროვე განათების სისტემა, ელექტროტაბლო, შეიცვალა დარბაზის რადიოფიცირება, გარემონტდა გასახდელები და სველი წერტილები.

### სსმ-ს გენერალური დირექტორი ლევან ყუბანეიშვილი გახდა

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორად ლევან ყუბანეიშვილი დაინიშნა. გადაწყვეტილება სსმ-ის სამეურვეო საბჭომ განმეორებითი კენჭისყრის შემდეგ გამოაცხადა. კენჭისყრა ხელმეორედ მას შემდეგ გაიმართა, რაც პირველ ტურში ლევან ყუბანეიშვილმა და ლაშა ნაცვლიშვილმა ოთხ-ოთხი ხმა მიიღეს. ერთი ხმა კი გენადი უჩუმბეგაშვილს ერგო.

### მობილური ტელეფონით საუბრის ტარიფი მცირდება

1 მაისიდან საქართველოში მობილურ ტელეფონებზე საუბრის ტარიფი 4 თეთრით შემცირდება. ამის შესახებ კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ გიორგი არველაძემ განაცხადა.

მისი განმარტებით, ეროვნულმა კომისიამ ჩაატარა კვლევა, რათა დაედგინა, რა იყო რეალური ტარიფი კომპანიებს შორის ურთიერთჩართვაზე და გაირკვა, რომ ეს ტარიფი არ იყო ხარჯზე ორიენტირებული.

„შედეგად, 28.8 თეთრიან ტარიფში შემავალი 18.8 ტარიფი შემცირდება 14.8 თეთრამდე, რაც საცალო ტარიფზე ცვლილებებს გამოიწვევს, თუმცა ამას თავად კომპანიები გადაწყვეტენ," - აღნიშნა არველაძემ.

ტარიფის შემცირება შეეხება როგორც მობილურიდან მობილურზე, ასევე ქალაქის ნომერზე და პირიქით საუბარსაც.

### სუბარი თარხნიშვილს არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებს

სახალხო დამცველი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ლევან თარხნიშვილისა და იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნების გაყალბებაში ან რეაგირება არ მოახდინეს საპარლამენტო არჩევნებზე გამოვლენილ სერიოზულ დარღვევებზე.

პრესკონფერენციაზე სუბარმა ჟურნალისტებს 12 საარჩევნო უბანზე დამონტაჟებული რამდენიმე ვიდეოთვალის აუდიოჩანაწერი გააცნო, სადაც ურნებში ბიულეტინების უკანონო ჩაყრის პროცესია გადაღებული. ამასთან, სუბარის თქმით, ოფიციალურ ოქმებში ჩაწერილი ამომრჩეველთა რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ვიდეოთვალის მიერ გადაღებული რაოდენობისგან.

„სახალხო დამცველის ოფისის მიერ მოძიებულ იქნა 5 იანვრის არჩევნების გაყალბების დოკუმენტური და ვიდეომტკიცებულებები, რაც სრულ საფუძველს გვაძლევს კატეგორიულად მოვითხოვოთ, როგორც ამ გაყალბებაში მონაწილე პირთა, ისე ცესკოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობიოს საკითხის დაყენება. სრულიად აშკარაა, რომ ამ ტიპის გაყალბებები შესაძლებელი გახდა მხოლოდ ცესკოს თავმჯდომარის ხელდასმით და ნიშანდობლივია, რომ იგი ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეშალა სიყალბის გამომჟღავნებისათ-ის. ჩვენ მიერ შესწავლილი მასალა სრულიად აშკარას ხდის, რომ დაუშვებელია საპარლამენტო არჩევნები ჩაატაროს იმავე თამჯდომარემ, რომელმაც ასეთი მასშტაბის გაყალბებები დაუშვა", - განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე თქმით, ამ საკითხზე დაგვიანებით საუბარი განპირობებულია იმით, რომ ცესკოს თვამჯდომარემ ყველაფერი გააკეთა, რათა ომბუდსმენის აპარატისთვის მასალები დროულად არ მიეწოდებინა.

სახალხო დამცველი მის ხელთ არსებული მასალების გადაგზავნას გენერალურ პროკურატურაში გეგმავს.

### მივიღეთ პირობა, რომ გავხდებით ნატოს წევრი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ საქართველომ ალიანსისგან ვერ მიიღო MAP-ი, მაგრამ მიიღო პირობა, რომ მომავალში აუცილებლად გახდება ნატოს წევრი.

როგორც ბუქარესტში გამართულ პრესკონფერენციაზე დავით ბაქრაძემ აღნიშნა, ამ პირობით მიღებული დაპირება უფრო მრავლისმთქმელია, ვიდრე MAP-ით მიღებული პერსპექტივა შეიძლებოდა ყოფილიყო. მინისტრის განცხადებით, ქვეყანა დეკემბერში მოახერხებს დაარწმუნოს ყველა პარტნიორი საქართველოსთვის MAP-ის მინიჭებასა და ალიანსის წევრობის აუცილებლობაში.

### რუსეთ-საქართველოს შორის შესაძლოა სახმელეთო მიმოსვლა აღდგეს

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რუსული მხარე მზადაა ზემო ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტი გახსნას.

მისი თქმით, საქართველოს საგარეო უწყებამ მოსკოვისგან შესაბამისი წერილი უკვე მიიღო, თუმცა დოკუმენტში მითითებული არ არის მიმოსვლის სავარაუდო აღდგენის თარიღი.

ზემო ლარსი საქართველოს და რუსეთს შორის ერთადერთი კანონიერი სასაზღვრო-გამშვები პუნქტია. დანარჩენი ორი სასაზღვრო პუნქტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ტერიტორიებზე მდებარეობს და ამ პუნქტებზე მოძრაობას ქართული მხარე ვერ აკონტროლებს.

### ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი ჯოზეფ კეის უპირისპირდება

ამ საკითხთან დაკავშირებით, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა სპეციალური განცხადება გააკეთა. განცხადება ჟურნალისტებს ბადრი პატარკაციშვილის დამ მზია თორთლაძემ გააცნო.

მისი თქმით, უცხოელი ადვოკატები და იურისტები ჯოზეფ კეის მიერ ოჯახის ქონების, კერძოდ, ტელეკომპანია „იმედის" მართვის უფლებამოსილების კანონიერების საკითხს დაწვრილებით შეისწავლიან.

<<<<<<< წინა გვერდიდან

ტომ წავა იგი ტოტალურ გაყალბებაზე. სამაგიეროდ ოპოზიციისათვის სულ ერთია მთავრობა რა მაქინაციებით გაიმარჯვებს. მისთვის მთავარია ხელი წაუცდეს ხელის-უფალს, ან ხელწაუცდენლად განაახლებს თავის მოქმედებებს. ასე იყო სააკაშვილიც შევარდნაძის „წინააღმდეგ". ვინ იცის, სააკაშვილმა მოიგო თუ არა ის ავბედითი არჩევნები, მთავარი იქ იყო ის, რომ როგორც შევარდნაძის პარლამენტი იყო ერთპარტიული, ასეთივე ერთპარტიული პარლამენტი გადაიბარა შევარდნაძის შთამომავალმა, არჩევნების შედეგები კი სხვა რამეს მეტყველებდა. ამიტომ მოხდა უადგილო გადათამაშება, თამაშგარეთ რომ დარჩენილიყვნენ რეალური ოპოზიციონერები.

### იძულებითი დაშვება – ადამიანთა ცხოვრების ერთ-ერთი პასაჟი

ავიაციამ იცის ასეთი ტერმინი - იძულებითი, საავარიო, ძალდატანებითი, თვითნებური დაშვება. ასეთივე ტერმინებით, ოღონდ ხატოვანი გამოთქმით პოლიტიკური ლექსიკონიც სარგებლობს გარკვეული ღონისძიების იძულებით და ა.შ აღსრულების მნიშვნელობით. ჩვენი რეალობა აშკარად დადგა ასეთი მანევრის განხორციელების წინაშე. რაღაც მომენტში ვადამდელი არჩევნები (არათუ საპრეზიდენტო ან საპარლამენტო, არამედ ზოგადად არჩევნების აუცილებლობა - მ.კ.) იძულებითი ნაბიჯიც იყო, საავარიოც, ძალდატანებითიც და თვითნებურიც. ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. აქ მთავარი აქცენტი გადასატანია ერთ ფრიად მნიშვნელოვან დეტალზე - ოპოზიცია არჩევნებს, და მაინც ამ არჩევნებს, არ ელოდა მაინცა და მაინც მოცემულ დღეს. უნდა ითქვას ისიც, რომ დემაგოგიაში სააკაშვილმა აჯობა თავის მოწინააღმდეგეებს, სიტყვაზე წამოიკიდა და სიტყვაში მოუგო. თუმცაღა დიდი ხანი არ დასჭირვებია ოპოზიციას, გონს რომ მოსულიყო, პირიქით გასაოცარი წყურვილი გამოავლინეს პრეზიდენტობისათვის.

თვით სააკაშვილსაც გაუკვირდებოდა ასეთი წადილი საპრეზიდენტოდ კენჭი ეყარა ვის აღარ. ლამის მთელი საქართველო ჩადგა კანდიდატებად. პარანოიაა ეს, ადამიანურ ამბიციათა პარანოია. ასეთივე პარანოია იყო ყოველი რევოლუცია და რევოლუციური აღტკინება. ამასვე აღნიშნავს მირაბო 1789 წლის 27 ივლისს - „როგორი ბედნიერებაა, როცა დიადი რევოლუცია აერიდება ბოროტმოქმედებასა და ცრემლს. ისტორია ხშირად გვიამბობს მტაცებელ ცხოველთა საქმეებზე. ჩვენ შეგვიძლია ვიმედოვნოთ, რომ დავიწყებთ ადამიანთა ისტორიას". საკმაოდ მრავალმნიშვნელოვანი განცხადება გაკეთდა ბასტილიის აღების სულ რაღაც ორი კვირის თავზე. ადამიანთა ისტორია იწყება და შეგვიძლია ეს ადამიანთა ისტორია წავიკითხოთ იმდროინდელ საგაზეთო ქრონიკებში, მხატვრულ თუ სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს ადამიანთა ისტორია ახლაც გრძელდება თავისი ცინიკური ულმობელობით. რატომ? აი, თუნდაც რატომ -

- ვინ ხარ შენ, დარბეულო?
- ოპოზიცია და ხალხი!

ხალხი დროებით გვერდზე გადავდოთ და შენი პოზიციიდან მსურს შეგხედო და ჩემი ვარაუდები გამოვთქვა შენივე თვალსაწიერიდან. ესე იგი ხარ ოპოზიცია, კონსტრუქციული თუ დესტრუქციული, ამას არა აქვს მნიშვნელობა, ამავე დროს ხარ დარბეული. კი, ბატონოო,- მიპასუხებ. შემთხვევით ის ოპოზიცია ხომ არა ხარ, რომელმაც ზვიადი დაამხე და შევარდნაძის როქიროვკას ხელი შეუწყვე?

ნუთუ ყველა მთავრობა შენ უნდა დაამხო?!

არც ბრძენი გინდოდათ, არც გოთვერანი და არც გიჟი!

ხალხში სიჭრელე არაა, სიჭრელე ოპოზიციაშია, ამით ისარგებლა მთავრობამ და დაამარცხა ხალხი თქვენივე ხელშეწყობით. ესეც ადამიანთა ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი პასაჟია უსისხლობისა, ცივი სიკვდილისა. თუ ოპოზიცია, ხარ ნათლად უნდა გესმოდეს შენი მოთხოვნებისა, უნდა გჯეროდეს, რაგინდ ყალბი არ უნდა იყოს იგი, ურყევად უნდა იყო თავისნათქვამა. აქ კი რა გამოვიდა - ითხოვდი არჩევნებს, შესაბამისად მიიღე არჩევნები. არადა, ხალხი არჩევნებისათვის არ იყო იქ მისული. მე ისიც მაღიზიანებდა - ყოველი მიტინგის დროს მიკროფონთან ორატორების გვერდით მოუცილებლად რომ იდგა ბოთლების მთავრობის ერთი ექვსთაგანი - მოსამართლეობიდან გაგდებული და ოპოზიციას შეკედლებული გაადვოკატებული ქამელეონი შალვა ხაჭაპურიძე (ამ სტატიაზე მუშაობისას ასე არც ერთი სახელი და გვარი არ გამომიყვია კონტექსტიდან ამოგდებით, რადგან თვით ეს სახელი და გვარი ოპოზიციური კონტექსტიდან უნდა იქნეს ამოგდებული), მისი ადგილი არაა მიტინგებსა და ორატორების სიახლოვეს, არამედ ისტორიის ნაგავსაყრელზე უნდა იყოს. ამით ისტორიული სამართლიანობა აღსდგება ყველა უდანაშაულოდ დასჯილ ადამიანთა სასიკეთოდ. დიდმა ფრანგულმა რევოლუციამ იაკობინელთა ტერორის ეპოქაში თვით რევოლუციური ტრიბუნალის საზოგადოებრივი ბრალმდებელი ანტუან ფუკიე-ტენვილიც კი იმსხვერპლა. მე არ ვამბობ ვინმე დაისაჯოს. უბრალოდ, ბოთლების მთავრობის ნებისმიერი იმ ექვსთაგანი ყველგან ყველაფერში სახელგატეხილია და ამიტომ ისინი უკლებლივ ყველა მათგანი საზოგადოებრივ სამოღვაწეო ასპარეზზე არ უნდა ჩანდნენ. მათი ასეთი საქციელი ბევრს აღიზიანებს და უარყოფითად განაწყობს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს არათუ მხოლოდ მათ მიმართ, არამედ მათ გვერდით მდგომთა მიმართაც კი. არიან, კი გაცილებით მეტად ცოდვით დამძიმებულები, რომლებიც ისტორიის ზარდახშიდან ამოვიდნენ, ნაფტალინი ჩამოიფერთხეს მხრებიდან, გამზეურ-განიავდნენ და ისევ სამუზეუმო ექსპონატებად ჩალაგდნენ ისტორიისავე ზარდახშაში მომდევნო არჩევნების დადგომამდე. ამათი ქმედება კი ირონიულ ღიმილს იწვევს, ბოთლების მთავრობის იმ ერთი მეექვსედის გამოჩენა კი გაღიზიანებას.

## ქველებურად ცხოვრება

# სონატური ალეგრო



### ანტრაქტის განწყობა, რომელიც სონატური ალეგროს ჩარჩოებში არ ჯდება

ერთის სიტყვით, საქართველოს პრეზიდენტი გადადგა და ჩაერთო წინასაარჩევნო მარათონში. წავიდა ათასგვარი ყალბი დაპირებები, გაკეთებულით თავმოწონება და გაკეთებულის შეფასებაში გადაჭარბება. ამ საკითხს ცოტა ქვემოთ დავუბრუნდები, ახლა კი ერთი პატარა დეტალი უნდა გავაცნობიეროთ ყველამ - ეს ანტრაქტი თავისი შინაარსითა და განწყობით არ ჯდება სონატური ალეგროს პრინციპში, რადგან ასეთი ვნებათაღელვა წინასაარჩევნო კომპანიისას საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ისე კი პოლიტიკური დებატები, რა თქმა უნდა, ზვიადიდან დაწყებული, შევარდნაძით დამთავრებული, იყო, მაგრამ ასეთი სიმწვავე, ასეთი აზარტი და მოლოდინის წინასწარ გაუთვალისწინებლობა ჯერ არ ყოფილა.

ზვიადის დროს იყო საერთო ეროვნული აღტკინება და ამ ტალღამ ზედაპირზე ამოსწია ყველა იდეა, რაც ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ოდესღაც უფიქრია და უოცნებია, შევარდნაძის დროს იყო დაცხრომა იმ ეროვნული მუხტისა და ევროინტეგრაციის იდეოლოგიის თავს მოხვევა წარმოადგენდა მთავარ კომპონენტს წინასაარჩევნო დაპირებებისას. სააკაშვილობას აღარაფერი აღარ იყო, იმდენად „უალტერნატივო" კანდიდატი იყო. ახლა კი ყველაფერი თავდაყირაა დამდგარი, ახლა ყველაფრის წინასწარ გათვლა და გაანგარიშება შეუძლებელია. კი, არის სააკაშვილის უპირატესობა სახელმწიფოს სამთავრობო მექანიზმებით, რომელსაც უპირისპირდება ხალხთა მასები. თუმცაღა მასაც ჰყავს თავისი ბირთვი პოტენციური ამომრჩევლების, მაგრამ არანაკლები ჰყავს სხვა კანდიდატებსაც. ასეთი ბალანსი ჯერ არ ყოფილა წინასაარჩევნო ქართულ რეალობაში. ეს ესაა, საპარლამენტო არჩევნები კი წინ გვიდევს. მოსაწყენად კი არავის სცალია - არც მთავრობისტებს, არც ოპოზიციას, არც მხარეთა მომხრეებს და არც სეირის მაყურებელს.

არის უამრავი დაპირება, კინკლაობა, მეწვრილმანეობა, - და იმ დროის მეწვრილმანეობა, როგორსაც მიხეილ ჯავახიშვილი აღწერს და ისე ოსტატურად, რომ გაგიკვირდება... პარტიული კაცის ფსიქიკაა დანახული ამ მინიატურაში:

„- ნიკოლკა! - ეძახის ყანიდან ერთი გურული.

- რა გინდა ბოშო? - გამოსძახის თავის ყანიდან მეორე.

- აბა თუ იცი რამდენი წევრი ყავს მეორე ინტერნაციონალს?

- რავა არ ვიცი! 6798432.

- არა, არ გცოდნია მე გეტყვი... 33 ამაზე წაიჩხუბნენ".

ეს მედლის ერთი მხარეა, სხვა არის დაპირებები.

ერთის მხრივ დაპირებებში აშკარა მიჩქმალვაა საქართველოს წარსულის და დემაგოგიური განცხადებებია ეფემერული მომავლის, -

- მე, როდესაც ნიშნავს წინსვლას, ხოლო სხვა გაიგივებულია უკან დახევასთან, უკუსვლასთან;

- მე, რომელიც ყველაფერი ვარ, რომელსაც არ გააჩნია ალტერნატივა „შენ", ან „ის", მისთვის არარსებობს ნაცვალსახელი (ამ სიტყვის არაგრამატიკული, სიტყვააზრობრივი შეთანხმების შინაარსით) „სხვა" ე.ი. გადამთიელი და უცხოელი;

- მე, რომელსაც უგზოობიდან გაჰყავს საქართველო გზიან საქართველოში, უშუქობიდან - შუქიანში, კორუფციულიდან - უკორუფციოში (ეს უკვე მეტისმეტია).

გზა საქართველოში იყო, ყოველთვის იყო! „მე"-მ იგი შეარემონტა და შეარემონტა არა საკუთარი ფულებით, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სხვას თუ მისცემ ტახტს, ვითომ ის სხვა გზას ვერ გაარემონტებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე?!

იქნებ უკეთესადაც შეძლოს ეს?!

ამას არ ჰქვია უკუსვლა, ეს მაშინ, როდესაც ის სხვაც ამბობს, რომ გზებს გავაკეთებთ, თანაც უკეთესად, ვიდრე ამას ეს „მე" აკეთებს, ხუთჯერ რომ აგებს ერთსა და იგივე გზასო და ამით ფულებს ათეთრებსო და მერე ჩვენ გვამდლის ჩვენსავე გადახდილ გადასახადებს.

ეს სხვა ამბობს, ვაუჩერებს კი არ მივცემ მოსახლეობას, ტარიფებს გავანახევრებ და იმ განახევრებულ ტარიფებს სახელმწიფო და გაქსუებული მილიონრები გადაიხდიან, ხალხი კი სამი წლით გათავისუფლდება გადასახადისაგან.

ის სხვა ამბობს, მე როცა მოვალ, იმიტომ მოვალ, რომ წავიდეო. ეს ცოტა არ იყოს ირონიულ და საეჭვო ღიმილს იწვევს, მაგრამ არის ამის თქმის საფუძველიც. მოვა თუ წავა, ეს ღმერთმა იცის, მაგრამ დაპირებები ათასნაირია, ხალხი კი რჩება ისევ და ისევ ერთჯერად გამოსაყენებელ ნივთად. ღმერთმა ქნას, რომ ეს ასე აღარ იყოს.

### პატიოსანი პარტიოსანი

ყველა საპრეზიდენტო კანდიდატი გამარჯვების შემთხვევაში მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში არხეინად ჩაამთავრებს მისთვის მოცემულ საპრეზიდენტო ვადას, მიუხედავად ათასნაირი დაპირებებისა, პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების დაპირებისა, გარდა ერთისა და ის ერთიც ისეთი კანდიდატია, რომელიც დამოუკიდებლად ვერ წარმართავს ქვეყანას, მეტისმეტად პატიოსნად გამოიყურება, და მიტომ - ესაა ლევან გაჩეჩილაძე.

უცნაურიც კია რაღაც მომენტში მისი ეს განცხადება. რატომ მოდიხარ, თუ უნდა წახვიდე.

ჯერ უნდა ითქვას ის, რომ სააკაშვილი ის პრეზიდენტი არ არის, რომელსაც რევოლუციას მოუწყობ, რევოლუციას უწყობენ ლუდოვიკოებს, ნიკოლოზებს, კარლოსებს, რომლებსაც საბოლოოდ კლავენ. სახელმწიფო გადატრიალებებს უწყობენ ალიენდეებსა და გამსახურდიებს, რომლებსაც ასევე იცილებენ გზიდან. სააკაშვილი კარლოსივით, ლუდოვიკოსავით, ნიკოლოზივით, სალვადორ ალიენდესავით, ზვიად გამსახურდიასავით სუსტი ნებისყოფის და არა ნებელობის პოლიტიკოსი არაა. იგი, მართალია, ქარიზმატულია, მაგრამ საკუთარი ძალაუფლების მტკიცედ მფლობელია. რევოლუციას თუ მოუწყობენ, მის შთამომავალს, რადგან როგორც ისტორიის კანონზომიერებიდან ვისწავლეთ, ძალაუფლების უზურპატორს მოჰყვება აუცილებლად სუსტი პოლიტიკოსი, რომლის სისუსტესაც გამოიყენებს ოპოზიცია. საქართველოში რევოლუციური აღტკინება სუფევდა. სააკაშვილს რევოლუციით ვერ დაამარცხებენ, იგი მხოლოდ სიმართლით უნდა დაამარცხო, რადგან იგი ყველაზე მეტად წონასწორობიდან გამოყავს მართალ ადამიანს, თუნდაც თავისი ცთომილებებით, მაგრამ მართალ ადამიანს. მასთან მებრძოლი მართალი უნდა იყოს ყველაფერში, რადგან სააკაშვილს სრულყოფილ პრეზიდენტობამდე სიმართლე აკლია. რევოლუციით მას თმის ღერსაც ვერ ჩამოაცვენ, რადგან ლენინისა არ იყოს - „Двадцать третьего слишком рано, двадцать пятого слишком поздно. Зимний нужно брать сегодня" - ისიც ამ მოჭრის კაცია, არც მეტი და არც ნაკლები. იგი ინდივიდუალური სახეა, გაჩეჩილაძე კი კოლექტიური სახის განსახიერება იმ თანამდებობაზე, რომელიც მოითხოვს სრულ პერსონიფიკაციას პიროვნებისას. გაჩეჩილაძე, მართალია, უშუალოა და ერთი შეხედვით უპრეტენზიო, რომლის მართვაც არ უნდა გაუჭირდეს გაერთიანებულ ოპოზიციას, რომელიც გააკონტროლებს პრეზიდენტის ქარიზმას, მაგრამ საბოლოო ჯამში არავინ იცის ის დამჯდარი კაცი რას მოიმოქმედებს. ამის გარანტიას კონსოლიდირებული და მაინც ჭრელი პოლიტიკური ძალა ვერავის მისცემს. ნათელაშვილისრული ანტიპოდი - იგი მდგრადი ფიგურაა, თუმცაღა გაწონასწორებისგან ისიც შორსაა, აგრეთვე კომპლექსებისგან სრულად თავისუფალი კაცია, რომელსაც შეუძლია ტელეეკრანებიდან ნებისმიერი ხარისხის უწმაწური სიტყვა თქვას, ამ მხრივ გაწონასწორებული და სიტყვამოზომილი ნათელაშვილისაგან განსხვავებით. თქმაზე თუ მიდგება საქმე, ნათელაშვილიცა და გაჩეჩილაძეც ორთავენი თხემით ტერფამდე ჩამოყალიბებული ოპოზიციონერები არიან, მართალია, ერთი ხანგრძლივი, მეორე კი ხანმოკლე დროის განმავლობაში, მაგრამ ქარიზმა, ისევე როგორც სააკაშვილში, ამ პრეზიდენტობის კანდიდატებშიც ჭარბად არის, თუმცა ერთი უფრო დინჯია, მეორე კი ფიცხი და ადვილად ფეთქებადი. ხალხს კი სწორედ ასეთი მეწინავე სჭირდება, რადგან ისინი იბარებენ იმ ქვეყანას, სადაც სახალხო დამცველი სახალხო დასაცავი ხდება.

### უპრეცედენტო დარბეული

ამ ვაკხანალიაში, ვერ ვიტყვი შემთხვევითო, მაგრამ ჩათრეული აღმოჩნდა ტელეკომპანია „იმედი", რომლის დარბევაც ამ ბეცი მხეცის მიერ 7 ნოემბერს წარმოებულ დარბევათა უკანასკნელი აკორდი გახლდათ. ამ საქციელით ისედაც გაკოტრებული ხელისუფლების რეპუტაცია ხალხის თვალში საბოლოოდ დაეცა. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პროვოკაციას, რომელიც მთავრობამ მოუწყო მასმედიას. მე აღარ მივყვები ამ არაადამიანურ დარბევათა განხილვას, უბრალოდ დავსძენ, რომ ამ საქციელით სააკაშვილმა და მისმა კირკიტკატურულმა ხელისუფლებამ ცივილიზებული მსოფლიოს აშკარა და დაუფარავი გულისწყრომა გამოიწვია. აღშფოთებულმა მსოფლიო საზოგადოებამ აიძულა საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც აიძულა იგი ჩაეტარებინა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, თავისი გადაფურთხებული აელოკა და ტელეკომპანია „იმედი"-ს შეჩერებული ლიცენზია აღედგინა, მოეხსნა ყადაღა შენობისათვის და დაერთო უფლება გასულიყო ეთერში. საკუთარ თავში დიდი წვალების შემდეგ ეს ხელისუფლება დაჰყვა მსოფლიო ულტიმატუმს და უპირობოდ დაუბრუნა „ტელეიმედს" წართმეული სიცოცხლე. ახლა აღარაფერი დაგვრჩენია, უნდა დაველოდოთ 2008 წლის 6 იანვარს, მეორე სერიის დასაწყისს, რომლის შინაარსი სავარაუდოდ ცნობილია.

**მ. ბეჟანიშვილი**

**2007 წლის 24 დეკემბერი**

...ჰოდა, წახვალთ სახინკლეში რამდენიმე ჯეელი, დგახარ რიგში და აჰ, ჯერ სხვებს გამოაქვთ, ნერწყვი გეძალება და შენატრი იმათ. მოაღწევს მერე, როგორც იქნება შენი რიგი და, მოგაწვდის მაგრამ, რას მოგაწვდის მეხინკლე იგი - ცხელს, აორთქლებულს, ჯადოსნურ ლანგარს, სულ ციმციმ მოგაქვს, და მრგვალ მაგიდას წრეს შემოარტყამთ, ფეხზე დამდგარნი; მერე თქვენში ყველაზე დადებითი ადამიანი მეზობლებიდან შავ წიწაკას ინათხოვრებს და მოაყრის, მაგრამ რას მოაყრის - მწვავეს, მადიანს, ველურს - უჰუჰუჰ!.. მთლად ათრთოლდები, მაგრამ ცხელია... მერედა, შე კაცო, ფრთხილად აიღე, შეუბერე სული, კარგად, დაკვირვებით, ცენტრში რომ მოარტყა, უბერე, უბერე, ფრთხილად მოკბიჩე პატარაზე მერე და ახლა იქ ჩაბერე, ოხშივარი, ჰუჰ! ზედ შიგ ცხვირ-პირზე გელამუნება, და მერე ფრთხილად, ფრთხილად შეიწოვე გულბოყვდამთუთქავი წვენი, აჰ, რა ხსნარია, იფჰ! რომ აგრილდება პატარაზე მერე, ღეჭე, ყლაპე და გუნებაში ნეტარებით იფიქრე: აჰმ-ჰჰ, უხხმ-ჰჰ, და მორიგი ხინკალჭიპის ურნაში ჩასაგდებად დახრა რომ გაგიჭირდება, ამოიხვნეშებ და გაიფიქრებ - ე, ხომ არ მეყო? არა, კაცო, რა საკადრისია, აი ის აიღე, ის, გვერდითა ცალი, ოჰოჰ, ცხარეა? - დააყოლე ქაფქაფა ლუდი, ყელს ვერ ჩაგირეცხს კოხტა-ლამაზად თუ... ახლა, იქითას დასწვდი, ძამიკო, როგორ გიყურებს, გიყურებს როგორ, აჰ, გეხვეწება, ნუ ეტყვი უარს, აი, ასე, რა, სუნთქვა გიჭირს? რა უჭირს მერე, სირბილით ხომ არ დაღლილხარ...

**გურამ დოჩანაშვილი,**
**„ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“**



# სიყვარული, თუ ჩიხი?!

მატარებელი ქშინვით შემოგორდა ბაქანზე, დაამუხრუჭა და მჭიდროდ მიეჯაჭვა ლიანდაგს. მუხრუჭის ყურისწამღებმა წუილმა გააყრუა შენობა. მგზავრებმა თითქოს მოულოდნელი ხმა გაიგონესო, თვალები შენობის გარეთ გამავალი კარისკენ ერთდროულად მიაპყრეს. მოსაცდელ დარბაზში ხის ფართოზურგიანი სკამები ადრეულად დაეკავებინათ მგზავრებს. მათ, ვისაც ვერ მოესწრო ადგილის დაკავება, ხის ფარღალალა ყუთებზე მოკალათებულიყვნენ. დანარჩენებს კი, ვისაც ფეხზე დგომა რგებოდათ წილად, გადაღლილი სახეებით გამვლელ-გამომვლელთა ცქერით იყვნენ დაკავებულნი.

- შენ მოუკვდი დედაშენს, შე არდასარჩენო!.. შენ არაფრის ღირსი არ იყო, ჰა...ა... ფაფა გაქვს ხელში თუ რაა ეს?! - შეუბრალებლად წაუთაქა ქალმა თმააბურძგნულ და პირმოტუტყნულ პატარა ბიჭს, რომელსაც მუცელი ტიკივით გაბერვოდა. შესაბრალისად თავდახრილს ტუჩები წინ წამოეწია და თვალებს გამალებით იფშვნეტდა. ადვილი მისახვედრი იყო, ტირილის დაწყებას აპირებდა. ქალსაც იმ ბიჭივით აბურძგნოდა წაბლისფერი ბუნებრივად ხვეული ოდნავ შეჭრილი თმა, სახე სიბრაზისგან ალეწვოდა, უძილობისგან დასივებულ ყვრიმალებიდან თვალებს ელვასავით აკვესებდა. ბავშვს დროდადრო წაუტყაპუნებდა კეფაზე და ხელს ჭუჭყიან ფილაქანზე უსიცოცხლოდ გამლვალ ნაყინისაკენ იშვერდა.

- ნუ ურტყამ, შვილო, ბავშვია... გოუარდა ალბათ, მაგაზე კლავ ახლა? - გამოექამაგა ბავშვს მოპირდაპირე მხარეს მჯდომი ხანში შესული მამაკაცი, - გადამრევს ეს ხალხი, - ჩაილაპარაკა მერე თავისთვის, დანაოჭებული შუბლი გახუნებული პერანგის ბოლოთი მოიწმინდა, თითქოს ოფლი ჰქონოდა და ხისგან გამოთლილ მოჩუქურთმებულ ჯოხს მძიმედ ჩამოეყრდნო. ხშირი წარბები და გუგებში ღრმად ჩამჯდარი შავი სხივჩამქრალი თვალებით მგზავრებს გადაურბენდა ხოლმე, იქნებ ვინმე ნაცნობი ვიპოვოო და მერე ისევ ჩაქინდრავდა თავს.

ბავშვმა, დამცველი გამომიჩნდაო, თვალების ფშვნეტა შეწყვიტა, ერთად შეყრილი ტუჩები თავისუფლად გახსნა და უცნობ მშველელს უსიტყვოდ მიაჩერდა.

„ხაჭაპურია ცხელი! იმერული ხაჭაპური! ხაჭაპურია ცხელი!...“ - სასიგნალო ზარივით გაისმა რკინიგზის სადგურში გამყიდველის მყივანა ხმა და უმალვე ექოსავით მოედო მთელ მოსაცდელ დარბაზს. მოხუცი თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, ჯერ ვერ გაეგო საიდან მოდიოდა ხმა, თავი ჩქარი მოძრაობით მიატრიალ-მოატრიალა და როცა ლანგარმომარჯვებულ ქალს მოკრა თვალი, პირქუში სახე მიიღო და მგზავრებს დინჯი გამომეტყველებით მიმართა:

- ესეც შენი რევოლუცია, ხაჭაპურიც აგერაა და შემწვარი წიწილაც, ღომი არა გაქ, ქალო? - პაუზის მერე დაამატა, - ახალი ამოზელილი, თუ გინდაც, მეგრული ელარჯი შიგ ჩახარშული ახალამოყვანილი ყველით. - ამის თქმაზე ჩაიხითხითა გემრიელად და ტუჩები მოიწმინდა, თითქოს საქეიფოს ყოფილიყო დაპატიჟებული და მასპინძელმა ეს-ესაა სუფრასთან მიიწვია, - რა მინდა ახლა სახლში მე?! საუზმეც აგერაა და სადილიც. დესერტი და ამისთანობა ხომ რამდენიც გინდა, სულო და გულო, კომფორტი და კომფორტი არაა ახლა აგი?! ასე მოგვიწყვეს საქმე და უმადურები ვართ კიდო...

აქა-იქ მგზავრებს შორის თავშეკავებული სიცილი მოისმა.

- კი, ბატონო, ქუჩაში ჩამოტარებული ხაჭაპური მესმის, იქნება ქე მოგშივდა გზაში და ქე შეჭამე, - აგრძელებდა მოხუცი თანამოსაუბრის ძებნას, - რა ვუყოთ მერე, რაჭველებმა სირბილში შექმნეს ოჯახი. კაი ბატონო, დალიე ეგ შენი ყავაა თუ კოფე ამ გზაში, მაგრამ ქუჩაში ნაყიდ ხინკალს გემო რაფერ უნდა ჩაატანო, ეს ვერ გამიგია სწორედ, - გაასავსავა ხელები მოხუცმა, ჯოხი ხელიდან გადააგდო და ფილაქანს დაენარცხა.

- ხინკალსაც ატარებენ ქუჩაქუჩა, თუ??? - გაიკვირვა გვერდით მჯდომმა სოლიდური გარეგნობის ასევე ხანში შესულმა მამაკაცმა, რომელსაც ისედაც თეთრ სახეს ჭაღარა უფრო ამშვენებდა. თავი თითქმის გამელოტებოდა, მაგრამ თითო-ოროლა თმა შუბლზე საგანგებოდ გადავარცხნა. მისი ნაცმულობა ნათლად მიუთითებდა მის ინტელიგენტურ იერზე.

- ჩამოატარებს, ბატონო, აბა! ერთი თვეც არ იქნება გასული. ამ სადგურში გახლდით მაშინაც, „ცხელი ხინკალიო“ რომ დაიძახა მისივე ხინკლივით გადაბდღვიალებულმა ქალმა და ფადნისზე ახლადმოცმულ ხინკალს რომ შევხედე, ძველი დრო გამახსენდა, „სოსიკოს დუქანში“ მეგონა თავი. ნერწყვი მომადგა. როცა გევიფიქრე ხინკალს შევუკვეთავ-თქვა, გეიღვიძე თურმე, სადაა დუქანი და სუფრა, მატარებლის კივილმა შემომძახა - სადგურია შენს თავსო. ხინკალი კი იყო მარა, რად გინდა ჩამოტარებული, ჩავლილი მატარებელივით. აგერ მატარებელიც ქია, მარა თუ არ ჩაჯექი შიგნით, დეიკავე ბილეთი და იძახე სვანივით კუდი მიჭირავს ხელში და სად გეიქცევა მატარებელიო.

- ეტყობა თქვენ ძალიან გყვარებიათ ხინკალი, - დაეკითხა ის ინტელიგენტი.

- რავა, ბოშო, ხინკალი ვის არ უყვარს, არ უნდა გესწავლებოდეს ამ ნასწავლ კაცს ჩემგან. რა ჯობია ცხელ, შიშხათიან ხინკალს მადლიანად შეზავებულს. მარა ისეთი რამაა ეს ხინკალი, რომ თუ გვერდით მდგომი არა გყავს, ტყუილია, გემოს მაინც ვერ ჩაატან. დრო იყო, ყველა დუქანი და თუ სასადილო შემოვლილი მქონდა, მარა მეგობრების გარეშე რავა წევიდოდი... ძმაკაცობას და მეგობრობას მაშინ აქვს ფასი, ერთად რომ ჭამთ და ერთად რომ სვამთ, ლხინიც ერთი რომ გაქვთ და ჭირიც. იმგენის სულს აცხონებს ღმერთი, გზაც იყვნენ ისინი ჩემთვის და ხიდიც, მეც ასე ვიყავი მაგენისთვის, აბა... მათთან ხინკლის ჭამაც სულ სხვა იყო. ხინკალი კი არ გაძღებდა, ეს ტკბილი ურთიერთობა გაძღებდა, ხინკალი კი გრძნობებით და ჟინით გავსებდა. მარა წარმავალია ყველაფერი, ჩემო კარგო, და რა გინდა, რო ქნა. თუ არ გამოგიცდია ეს ყველაფერი, არ თქვა ხინკალი მიჭამია ოდესმეო... - რომ დაიღალა ლაპარაკით, შეისვენა, ამ შესვენებისას სიტყვა არავინ ჩამოართვა და იფიქრა არ მეთანხმება რამეშიო. და პირველად ის გაახსენდა, სადაც საუბარი შეწყვიტა, - რავა გიჭამია მარტო თუ? - ეჭვნარევი მზერა გააყოლა მოხუცმა მოხუცს.

- არა, ბატონო, ხინკალი საერთოდ არ მიყვარს, - თქვა ინტელიგენტმა და მოხუცის რეაქციას დააკვირდა.

- არ მიყვარსო?! - სიტყვა შეაშრა პირზე ისე, თითქოს ხინკლის საჭმელად დამჯდარს ცხვირწინ ცხელ-ცხელი ხინკლები აიცალეო, - რა თქვა, კაცო, ეს... ეუჰ, რა გეგონოს ამ ჩემმა ყურებმა, მომეჩვენა თუ მართალს ამბობ, ნასწავლო!

ნასწავლი უზრდელად შეიშმუშნა და თავის ნათქვამს დაადასტურა.

- არა, ნასწავლი რო იყავი ქე გეტყობოდა, - დაასკვნა მოხუცმა, - მარა მთლა ასე ნასწავლი თუ იყავი, ვერ ვიფიქრებდი. ამ ხნის მოვიყარე და ჯერ არ გამიგონია ასეთი რამე ეთქვას ქართველ კაცს, ნასწავლს კი არა, უსწავლელსაც კი. შენ აბა ქართული სუფრაც არ გეყვარება მაშინ, არც ჩვენი ქვეყნის ისტორია და კულტურა, შეიძლება ქე იცოდე რა და როგორ, მარა სიყვარულით არ გეყვარება.

- რას კადრულობთ, ბატონო ჩემო, - გაცხარდა ნასწავლი, - ხინკლის სიყვარულით გამოიხატება ქვეყნის სიყვარული? წარმოუდგენელ რამეს ამბობთ, - თითქოს სიბრაზე შეეპარაო, ლოყები შეუწითლდა და პერანგის საყელო ძალუმად შეისწორა.

- კულტურა?! - ცინიკური გამომეტყველება მიიღო ნასწავლმა, თითქოს ირონიული ღიმილის დაფარვა უნდაო.

- კულტურაა, ნასწავლო, ერის კულტურა. საქართველოში სტუმარი არ გაჭაჭანებულა, ქართული ბარაქიანი სუფრით, ქართული ღვინით რომ არ გაოცებულიყვნენ... საცივი, ხაჭაპური... არ მითხრა ახლა არც ეგენი მიყვარსო, თუ არა შევიშლები კაცი.

ნასწავლმა თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უმალვე გადაიფიქრა, თუმცა კითხვას პასუხი მოკლედ და ძალდატანებით გასცა

- კი, მიყვარს...

- ამერიკიდან კაცის ვიღაცა შვილი რო იყო ჩამოსული და დასვეს სუფრასთან, ხინკალი მოწონებია თურმე და ცეკვა დაუწყია, ეს რა ვჭამეო.

- სასტუმროშიც მოითხოვა, მომიტანეთო, - დაამატა ნათქვამს ნასწავლმა.

- ვიცი, ვიცი ეს ამბავი მეც.

- აგაშენა ღმერთმა... ეგეც მე ვარ... ე, ი კაცის ვიღაცა შვილმა უნდა გაჯობოს ამხელა ნასწავლ კაცს? თანაც ამერიკელმა.

ამოიღო მუნდშტუკი, შიგ პაპიროსი ჩადო და გააბოლა. პაპიროსის კვამლში მომენტალურად დაიპარა მოხუცის სახე.

- განა გემოვნებაზე დავობენ, ჩემო ბატონო, - ჩაეკითხა ნასწავლი მოხუცს, სათვალე მოიხსნა და ცხვირსახოცით დაუწყო მინებს წმენდა. ეტყობოდა ყურადღების გადატანას ცდილობდა სხვა საკითხზე.

- არ ვიცი, დავობენ თუ არა, მარა ახლა ეს მითხარი, ნასწავლო, კარგი მზარეული არის თუ არა კარგი ოსტატი?

- ნამდვილად ოსტატია! - დაეთანხმა ნასწავლი, - თანაც ისეთი ოსტატი, ყველასთვის ყველა დროში და ყველგან გამოსადეგი რომაა.

- ყველაფერი კარგი, კეთილი, მარა... - დაფიქრდა მოხუცი და თქვა, - ოსტატის ნახელავი დღესაცაა, ხვალაც და ყოველთვის, თუ არ გაფუჭდა. აი, მზარეულის ნახელავი თუ დროზე არ ინებე, გაფუჭდება და ფასი დაეკარგება. მერე გინდა ოსტატი დაარქვი მაგას და გინდა... რაც გინდა ის. მზარეული იგივე მსახიობია. ითამაშებს მსახიობი როლს, იმ წუთში ის ხელოვანია. დამთავრდება თუ არა წარმოდგენა, ის ისეთივე კაცია, როგორიც შენ ხარ და მე, სხვაგან, თუ არა თეატრში, იგი თავის ოსტატობას ვერ გამოავლენს. ასეა მზარეულიც, ოსტატი და ხელოვანი მანამდე ხარ, სანამ საჭმელს აკეთებ და ვიღაცა ჭამს შენს ნახელავს. მერე? მერე დიმიტრიე ხარ, ვახტანგიე ხარ, თუ დათიკიე ხარ, სულ ერთია. ხინკალზე ვლაპარაკობდი და გეტყვი - ხინკლის მოხვევაც ხელოვნებაა. ამაშია ამ კერძის დიდებული საიდუმლო. ცხრამეტნაოჭიანი უნდა იყოს ხინკალი, წვენს კარგად იკავებს და არ სკდება. მისი ნაოჭების მომზადებაშია სირთულე. ხელი თუ გაჩვეული გაქვს, დათვლაც არ დაგჭირდება, ისე ჩააბორჯღალებ ნაოჭებს, მზესავით ელვარე იქნება. მასაც გააჩნია თავისი ჩრდილებიო, გამიგონია. ხინკალიც მზეა, სხივები - ამობურცვაა, ჩრდილები, ჩაზნექილი ჩრდილები ღარებია. თურმე, ვინც პირველად გააკეთა ხინკალი, ცხრამეტ ნაოჭზე ნაკლები თუ ექნებოდა მის ნახელავს თავიდანვე მიიჩნევდა უვარგისად და მის გაკეთებას თავიდან იწყებდა. ასე მიუძღვნია თავისი კერძი ლანგარზე მსხვერპლად ქალღმერთ ლილესათვის იმ იმედით, რომ კიდე უკეთესს შესწირავდა. ამის მერე მზარეული იტანჯებოდა, წვალობდა და ოფლში იღვრებოდა ნამდვილი ხინკალი რომ გამოსვლოდა. მიიტანა მერე ცხელი, მზესავით ცხელი და ცხარე ლილეს საკურთხეველთან. სარეცელი გაუყო ლილემ მზარეულს სწორ-ფერი ხარო შენ ჩემი და სასწორფეროს არდაღვრა დააწესა ლილემ. ამიტომ ხინკალი სასწორფერო კერძია და წვენის არდაღვრა სასწორფეროს არდაღვრის ნიშანია.

ხინკლის ჭამა მთელი წესის წყებააო, - თქვა მოხუცმა, - წვალობს მზარეული საათობით, მერე მოგიტანს შენ — უცხოს. შენ, ეს უცხო თვალის სიმართლე სიმართლეა. რა აქვს ხინკალს თქვენი დასაწუნი, მითხარი ერთი, - განაგრძობდა თავის საყვედურებს მოხუცი, - მარა გააჩნია კერძსაც, რა გრძნობით მოინდომებ მის შეჭმას. შეიძლება იმისთანა უბრალო კერძი ისე ვნებიანად და გემრიელად შეჭამო, რომ სხვას აფიქრებინო, ნეტავი მეც მაჭამაო. მაგალითად, ამ წუთში ახლა ერთი თეფში ფაფა მინდა, სასწავლებლის წლები მინდა რო გევიხსენო. თბილი და ნაზი იყო, რაფერ დნებოდა შიგ ჩაგდებული კარაქი?!! იფ, იფ, იფ... რა ცხელი ორთქლი ასდიოდა. რომ მომცა ახლა ერთი იმისთანა თეფში ფაფა, სანაცვლოდ არაფერს დავიშურებდი.

- არ მიყვარდა ფაფა, მაგრამ ეს კაცი ახლა ისეთი გრძნობით ამბობს ამას, კი შეჭამს კაცი მართლაც ფაფას.

- უეჭველობის შენ არაფერი გეტყობა და მე მეპარებოდი აქ იმერელი სტუმარივით? - როთაველ გაეცინა ამ ნათქვამზე. მერე კი ისევ თავისი ნათქვამი განაგრძო, - ჰოდა, რო მომხედრა ო ბალნების წლები ამ სიბერეში და იმ ფაფის გემო რომ მინდოდა შემეგრძნო, კი გავძახე ჩემ ცოლს, ფაფა გამიკეთე-თქვა. ქე გოუკეთება, რა ეცა ის ამ ბერიკაცს ასეთიო. ხო ეუბნოლ ბებერივით ირჯებიო, გამომძახა ქუხნიდან. ქი არ გააკეთა ზუსტად ისეთივე გემოსი, მაშინ რო მიჭამია?! ეს ხო კაიო, ვთქვი ბოლოს გამძღარმა, ახლა ერთი ბოთლი შავი ღვინო და ზედ მწვად-ხინკალი თლა მონათლავს ყველაფერს-თქო, ვთქვი. ფაფა რა მოსატანი იყო, მარა ხინკალს მოვაყოლე. ვისაც რა უყვარს, მართალი ხარ შენ, ის უყვარს, მარა მე იგი მაკვირვებს ამ ნასწავლი კაცისგან, რო ხინკალი რატო არ გაჭამეს, ან თუ გაჭამეს, რატო არ მოგეწონა. და თუ არ მოგეწონა, აქ ქართველობაშია კოჭლობა შეპარული, თორე ჭამე და სვი, რაიც გაგიხარდება, ჩემსაც არც არაფერს ჭამ და არც არაფერს სვამ, მარა რომც ჭამდე, შეგარგოს დედის რძესავით ღმერთმა.

ისე ჩაეფერფლა პაპიროსი მუნდშტუკში, ვერც გაეგო და იმ მთელი პაპიროსის სიგრძის ფერფლიღა იყო შერჩენილი და ხელის ერთი მოძრაობით ჩამოცვივდა, ზოგიც მტვრად იქცა. მერე მუნდშტუკში ჩაბერა მოხუცმა ნამწვავის ამოსაღებად, რადგან ზედ ხეზე იყო მიმწვარი პაპიროსი და ხელის მოსაკიდებელი აღარ დარჩენოდა. თუთუნი რომ ჰაერის დატუმბვის შემდეგ ამოვარდა, მერე ქაღალდი ასანთის ღერით და ნეკა თითის წამოზრდილი ფრჩხილით გამოიღო. ბოლოს მუნდშტუკი გაწმინდა და შეინახა. მერე ისევ ხინკლის თემას მიუბრუნდა:

- რა ჯობია, ჩემო ბატონო. ცხელ ხინკალს... ბაბუაწვერა ხომ იცი, - უსიტყვოდ დაუქნია თავი ნასწავლმა, - ჰოდა, გაშლილი ბაბუაწვერასათვის არ შეგიბერია სული, ჰაერში რომ იფანტება მისი ბუსუსები და მარტო ყვავილის ღერო გრჩება ხელში, მასეა ხინკალიც, შეუბერავ სულს და თვალის დახამხამებაში მარტო ხინკლის კუჭი გრჩება ხელში. ისიც თუ შეჭამე ან არ გცოდნია ხინკლის ჭამა, ან მაგრად გშიებია, - თავის ნათქვამზე გაეცინა მოხუცს.

მგზავრებში ადრე თავშეკავებული სიცილი ახლა უკვე გულიანმა ხარხარმა შეცვალა.

- ხო, მართლა, შიმშილზე გამახსენდა. თუ იცი შენ მშიერსა და მაძღარ კაცს შორის რა განსხვავებაა? - არც კი დალოდებია პასუხს, ისე განაგრძო მოხუცმა პასუხის გაცემა თავისსავე დასმულ შეკითხვაზე, - გეტყვი. მშიერი უფრო კეთილია და სტუმართმოყვარეა, სხვაც მასავით მშიერი ჰგონია და ცდილობს ყველაფერში მხარი აუბას და თუ დასახმარებელია, დაეხმაროს კიდეც. მაძღარი - მაძღარია და გულქვა, „მაძღარ მღვდელს დიაკვანიც მაძღარი ეგონაო“, - ხომ გაგიგონია. ასეა ეს. ერთხელ მივდივარ ჩემთვის გზაზე ჩაფიქრებული და ვიღაც მექაჩება კალთაზე გამალებით, მევიხედე და მათხოვრის ბოვში არაა?! ჩემი კაი ბაბუა თუ ხარო, ფული მომეციო. რა მისი ბაბუა ვიყავი ცინგლიანი ჩაჩანის, ნახშირივით რო იყო გამურული, მარა შემეცოდა, ბოვშია მაინც, რაც არ უნდა იყოს და, დეიმახსოვრებს-თქვა. პატარა მანძილი რო გევიარე, ისევ შემომხვდა, ისევ მივეცი. ასე თამაშ-თამაშით ქე მიმაცილა სახლში. მივედი თუ არა ალაყაფთან, ქე არ გეიქცა მაგი ციგანი მაგი?!! ვტკუცე ჯიბეში ხელი და სადაა შენი ფულები. გამეცინა, დავლოცე და შევედი კარში. შევედი თუ არა, შემომეხვიენ ჩემი ბაღნები, ბაბუ, რა მოგვიტანეო. არაფერი მქონდა და იმგენმა ქე გააგრძელენ თამაში თავისთვინ. ბაღნებს თუ აჭამე რამეო, ვკითხე ქალს. აბა რას ვიზამდიო, მიპასუხა. გამეცინა. რა გაცინებსო, მკითხა. არაფერიო, ვუთხარი. ის ჩაჩანი გამახსენდა, რო გეიქცა, მოხოულში შეჩერდა, უკან მოიხედა და მადლობა მითხრა. ძაან ნამეტნავად კეთილი თვალები ჰქონდა მაშინ. ქალმა მითხრა, თუ გშიაო, კი-მეთქი, ვუპასუხე. ხინკალი არ დამიცხო?!

- ეჰ, - ამოიგმინა ნასწავლმა, წუთით დადუმდა, მერე თითქოს სათქმელი მოაფიქრდაო განაგრძო, - რამდენი სამკაულია ადამიანის სულში და რამდენი სიბინძურეც ამასთანავე...

- კაი დავანებოთ თავი ყველაფერს, დახამხამებაში გადაუძახებ პირში გემრიელად. ცხელი და ცხარე უნდა იყოს და წვენი არ უნდა დაღვარო, თორემ ცივს რათ უნდა სასწორფროს წოდება. ცხელია მთავარი, ჟინი რომ დაგიწვავს პირს და მაინც არ ანებებ თავს. ერთი გემრიელი სიტყვა მაინც თქვი, იმ ხინკალივით გემრიელი, შეაქე მემოქმედი.

- მართალი ხარ, მოხუცო, - უთხრა ნასწავლმა, - არ ვიცით შინაურების დაფასება, თორემ არ ეკუთნოდა მის გამომგონებელს ძეგლი?!

იჭვნეულად გადახედა მოხუცმა ნასწავლს, ნასწავლმა კი განაგრძო,

- ძეგლი კი არა, სახელიც არ ვიცით მისი. აგერ, ბატონო, ბავარიაში, ჰესელდორფში, გაგეგონებათ ალბათ, სოსისის გამომგონებლისათვის ძეგლი დაუდგამთ, გეორგ ლანერი ყოფილა. ძეგლზე ბრინჯაოს დაფა დაუდგამთ და სოსისის შექმნის ისტორია მიუწერიათ. ესენი ყოფილან ხალხი, ჭამაც ცოდნიათ და დაფასებაც.

- ვერაფერი გაიგო, - ჩაილაპარაკა მოხუცმა, - მართლა ნასწავლი ყოფილა ეს საცოდავი. თუ იცი, გენაცვალე, რა მიკვირს შენგან და შენისთანა ნასწავლი კაცებისგან. ჩემი ხნის კაცი ხარ და არათუ ხინკლის გემო, ცხოვრების გემო არ გაგისინჯავს, ასე მგონია.

- ცხოვრებაც მინახავს და მისი გემოც კარგა ხანია გავსინჯე. მაგრამ როცა ხანში შედიხარ, მერე ხვდები, მწარე იყო თუ ტკბილი, ცხარე თუ შიშხათიანი მაგ თქვენი ხინკალივით. თუ იცი ჯადოქარმა ვირგილიუსმა რა თქვა?!

- ჯადოქარი თუ იყო, რაცხა სასწაულს იტყოდა, აბა რა ვიცი მე? - გაიკვირვა მოხუცმა და ინტერესით შეხედა მოპასუხეს.

- სასწაული თქვა სწორედ. ნაჭრებად დამჭერით, ქვაბში ჩამაგდეთ და რვა დღის განმავლობაში მხარშეთო. ამით სიჭაბუკეს დავიბრუნებო. ჯადოსნურ ქვაბს ყარაული მიუჩინა, დროზე ადრე რომ ვერავის ჩაეხედა შიგ. მაგრამ ყარაულმა თვითონ ვერ გაუძლო ცდუნებას და ვირგილიუსი სიყრმის სახით სამუდამოდ გამქრალა ტირილ-ტირილით. მთავარია ადრე არ უნდა ჩაიხედო ცხოვრების ქვაბში, თორემ ყრმად დარჩები ცხოვრების ბოლომდე. რატომ ვთქვი ეს ყველაფერი, თუ ხვდებით ახლა?! - პასუხი თავადვე გასცა თავისსავე შეკითხვას, - მართალია, ვირგილიუსი ჯადოქარი იყო და ეგონა, სასწაულს მოახდენდა, მაგრამ ვერ უშველა ჯადოქრობამაც. ყარაულმა უმტყუნა, სულსწრაფი გამოდგა, და მიტომ. სხვის საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაყო, - იგავებით დაუწყო ლაპარაკი ნასწავლმა მოხუცს.

- ვერ უქნია იმ შენ ყარაულს საკადრისი საქმე. თუ ყარაული ხარ, უყარაულე, თუ მზარეული ხარ, საჭმელი გააკეთე, შენი საქმე უნდა აკეთო ცხოვრებაში. მასე რომ ყველა ფიქრობდეს, ქართული სული გადაშენდებოდა. შენ ქვაბში მე არ ვიხედები, მარა ისეთი ქვაბიც არსებობს შენც და მეც ერთად რომ ვიხარშებით. ჰოდა, იმ ერთად სახარში ქვაბის ამბავი მაწუხებს, თორემ შენთან რა მაქვს გასაყოფი, - გაუკეთა იგავს კომენტარი მოხუცმა, - იქნება ქე გადაგღალე, ქე გაწყენიე რამე, მარა ახლა მინდა გაგიმასპინძლდე სწორედ. შეჭამე ერთიორი ხინკალი ჩემთან ერთად, ქართველობას გაფიცებ, ცოტა მაინც ეგება ქე შეგიყვარდეს ამასობაში ხინკალი, თუ არადა საფლავში ჩამყვება შენი ჯავრი.

მოხუცები წამოდგნენ. წელში გაიმართენ, ვისაც როგორ შეეძლო, ისე. სახინკლეში შევიდნენ და შეკვეთა მისცეს. ამასობაში ბაქანზე მატარებელი ჩამოდგა. ესენი კი ერთმანეთში საუბრობდნენ ისე, რომ მატარებლისა არა გაუგიათ რა. ოფიციანტმა ცხელ-ცხელი ხინკლები მიართვა კლიენტებს. ჭამდნენ და საუბრობდნენ. საუბრობდნენ და იცინოდნენ. დრო გადიოდა. ერთ დაკვეთას მეორე მოჰყვა, ლუდის კათხები ზედიზედ იცლებოდა და ივსებოდა.

მატარებელი დაიძრა და მატარებელმა ჩაიარა ისე, რომ მოხუცებს არ გაუგიათ.

**მანუჩარ კაჭახიძე**









# ერთი მწერლის, ჯია ლოქაქის შვიდი ამოხვნეშა ქართულ ტკივილზე




პრეზიდენტი საზეიმოდ ხსნიდა მორიგ შადრევანს. ტრიბუნაზე იდგა და შადრევანივით მჩქეფარე სიტყვას ამბობდა. ყველას ყურადღება მისკენ იყო მიმართული, ყველა დამსწრისა, გარდა შორიახლოს, პრეზიდენტის დაჯავშნულ ლიმუზინთან შეკრებილი ადამიანთა ჯგუფისა - პრეზიდენტის მანქანის სალონში უცხო პირი იმყოფებოდა და არავინ იცოდა, თუ როგორ, რანაირად აღმოჩნდა იქ.

გაოგნებული, გაფითრებული იდგა პირადი დაცვის უფროსი, მისი თანამშრომლები კი შეშფოთებულნი შემოფუთავდნენ მანქანის ირგვლივ, როგორც სასტიკი ყარაული კატაფალკს და თვალს არიდებდნენ თავიანთ უფროსს. უცხო პირი კი - დოდიკა ნალბანდიანი, ორმოცდაორი წლის, ჟურნალ-გაზეთების ჯიხურის მფლობელი და გამყიდველი, რომელიც ქალაქის ძველ უბანში თავისი კუზით, უზრდელი ხასიათით და საგიჟეთში მრავალჯერადი ნამყოფობით იყო ცნობილი, არხეინად, კომფორტულად მოკალათებულიყო მანქანის ჯირკვლიან სალონში, უკანა სავარძელზე და ტყუპად-ტყუპად ტრიალებდა, ხანდახან ჩაწყვეტ ცისფერ ტონირებულ სარკმელებიდან ნაბიჯნაბიჯ უთითებდა პრეზიდენტის პირად დაცვას უფროსს. პრეზიდენტის ლიმუზინში მყოფი დოდიკა ნალბანდიანი ავტომატურად შეიყრა ორმოცდაათ მოთვლილი კიბორჩხალას გავდა.

პირადი დაცვის უფროსმა ტრიბუნაზე მდგომი პრეზიდენტის კეფას გახედა, მერე კი მანქანის კარის სახელურზე დაწვდა.

- აააა!!!! - იმავე წამს იღრიალა დოდიკა ნალბანდიანმა და ჩია, პატარა სხეულით ამოშვებულმა ხმით ლამის გადაფარა პრეზიდენტის დინამიკებით გაძლიერებული ხმა. დაცვის უფროსი დიდაქტიკურად გაუშვა ხელი სახელურს.

- მეთქი! მეთქი! პოლიციის უფროსი სასწრაფოდ! - ჩუმად ჩაილაპარაკა მარჯვენა ყურზე დამაგრებულ პორტატულ რადიოგადამცემში და თითქმის იმავე წამს გამოცხადდა ძველი უბნის პოლიციის უფროსი ტიტე შონია, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამალით.

- რა ვქნათ? - ჰკითხა დაცვის უფროსმა. - ეგ რომ პრეზიდენტს დახვდეს მანქანაში, ხომ იცი, რა მოგველის? ვინ არის?

- დოდიკა კუზიანი, მაგის დედა ვატირე! - ამოიგმინა ტიტე შონიამ. - აქვე ცხოვრობს, გაზეთების გამყიდველია.

დოდიკა ნალბანდიანი კმაყოფილი, მაგრამ ეჭვგარეული ღიმილით უყურებდა მოთათბირეთ.

- დოდიკჯან, გადმოდი რა, მანქანიდან, - სალონში თავი შეყო პოლიციის უფროსმა.

- არა! - იყო კატეგორიული პასუხი. - თავი მააშორე, თორე ვიყვირებ!

- არ დავილაპარაკოთ?

- გაყავი თავი, მააშორე! შენთან რა მაქ სალაპარაკო? პრეზიდენტს დაველაპარაკები!

- რა გინდა მაინც, არ იტყვი? მე რომ მითხრა, არ შეიძლება?

- შენ ვინა ხარ, რო?

- მე არ მიცნობ?

- კი გიცნობ. მე ამ უბანში ყველა ძაღლს ვიცნობ!

ტიტე შონიას მისდამი ასეთი უდიერი მიმართვა თითქოს არც გაუგონია.

- დოდიკჯან, იქნებ ფული გინდა? - შეეკითხა მანქანაში მყოფს.

დოდიკამ თვალები მოჭუტა და ისე გამოხედა.

- მითხარი, რამდენი გინდა და მოგცემ! - იმედი ჩაესახა პოლიციის უფროსს.

- მიდი, მიდი, ტოლი ნახე, კოჭი გააგორე! „ფული მოგცე!.." - გამოაჯავრა დოდიკა ნალბანდიანმა ტიტე შონია. - ახლა ერთ ადგილს არ მომცემ რო? „ფული მოგცე!" - გამოაჯავრა ისევ. - ახლა მამაკე, მერე ათი მაგდენი წამართვა! მაშორე ეგ თავი, თორემ ვიყვირებ-მეთქი! ააა! - წამოიწყო თავისი სიტყვების დასტურად.

ტიტე შონია სწრაფად მოშორდა მანქანას და პრეზიდენტისკენ გაიხედა, რომელიც სიტყვის დასასრულს უახლოვდებოდა.

- სანამ პრეზიდენტი აქეთ შემობრუნდება, ამის ნეიტრალიზება უნდა მოვასწროთ! - ჩუმად უთხრა პირადი დაცვის უფროსმა.

- უნდა მოვახერხოთ რამე.

- მოახერხეთ რამე.

- მუსიკა როდის დაუკრავს? - უეცრად იკითხა პოლიციის უფროსმა.

- რა მუსიკა?

- ორკესტრი, ორკესტრი!

- სიტყვას რომ მორჩება და ლენტის გაჭრას დაიწყებს.

- რამდენ ხანში დაამთავრებს სიტყვას?

პირადი დაცვის უფროსმა მკაცრად და ეჭვით შეხედა ტიტე შონიას. პრეზიდენტი როდის დაამთავრებდა სიტყვას, არავინ იცოდა, რას და რამდენს ილაპარაკებდა. დანამდვილებით მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ცოტას არ ისაუბრებდა.

- კარგი, კარგი! - შემობრუნდა და ჩუმად უთხრა პოლიციის უფროსმა და თავისიანებთან განმარტოვდა.

დოდიკა ნალბანდიანი მანქანის რბილ სავარძელზე იჯდა და ფხიზლად ადევნებდა თვალს გარეთ მიმდინარე მოვლენებს. დაცვის მუშაკები მანქანის ირგვლივ იდგნენ ქანდაკად ქცეულნი. ტიტე შონია თავისი თანამშრომლების წრეში იდგა მანქანისკენ ზურგ შექცეული და პოლიციელებს ეთათბირებოდა. იქვე იყო პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსიც, რომელსაც პირთან რადიოტელეფონი მიეტანა და დაძაბული სახით აცმაცუნებდა ტუჩებს. ყველაფერ ამის დანახვამ საკმაოდ გაამხიარულა გაზეთების ჯიხურის მფლობელი და მეპატრონე. დოდიკა ნალბანდიანს რაღაცნაირი, მისთვის აქამდე უცნობი გრძნობა დაეუფლა, გრძნობა საკუთარი თავის მნიშვნელობისა და უპირატესობა მთელი ამ დიდჩინოსანი ხალხის მიმართ.

პრეზიდენტი სიტყვას მორჩა, ქალაქის მერის გაწვდილ ხელებში წითელ ბალიშზე დადებულ მაკრატელს დაწვდა და სასულე ორკესტრმაც დაცხო.

დაცხო ორკესტრმა და დაცხეს დოდიკა ნალბანდიანსაც. დაცვის თანამშრომლებმა ერთდროულად გააღეს ლიმუზინის კარები, გაზეთების ჯიხურის აღრიალებული მეპატრონე სავარძელს ააღლიტეს და ხელიდან ხელში გადასცეს პოლიციის თანამშრომლებს.

- ჩათლახებო! ბოზებო! პიდარასტებო! - მთელი ხმით ბღაოდა დოდიკა ნალბანდიანი, მაგრამ მის განწირულ ბღავილს ორკესტრის ხმა და ხალხის ჟრიამული ფარავდა. პოლიციელებს მჭიდრო რკალში მოემწყვდიათ დაკავებული და არაფერი ჩანდა.

მოედნის კიდეზე მდგარ საცხოვრებელ კორპუსში, პირველ სართულზე განლაგებულ და შადრევნის გახსნის ცერემონიალის გამო პრეზიდენტის დაცვის მუშაკების მიერ დაცარიელებულ საპარიკმახეროში შეაყარეს გაზეთების ჯიხურის მეპატრონე. დოდიკა ნალბანდიანის ნეიტრალიზება წარმატებით დასრულდა.

პრეზიდენტმა შადრევნის გახსნის, მცირე ხნით ბედნიერი ღიმილით უყურა აჩუხჩუხებულ წყალს, მერე ეგზალტირებულ, აჟრიამულებულ ხალხს ხელი დაუქნია, შემდეგ კი დაცვის თანხლებით მანქანისკენ წავიდა და ლიმუზინში ჩაჯდა.

●

პოლიციის განყოფილებაში ხანგრძლივი, უშედეგო „დაკითხვისას" გაირკვა, რომ გაზეთების ჯიხურის მფლობელი - დოდიკა ნალბანდიანი პრეზიდენტის მანქანაში არავითარ ტერორისტულ აქტს არ ისახავდა მიზნად. თურმე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მუშაკების აზრით კი ასეთი მცდელობა, სავსებით არ იყო გამორიცხული.

საქმის რეალური არსი კი შემდეგი გახლდათ: შადრევნის მშენებლობისას, ქალაქის მერის განკარგულებით, მოედნიდან ყველა ჯიხური აიღეს და დოდიკას გაზეთების ჯიხური ხალხმრავალი მოედნის ნაცვლად ერთ-ერთ გვერდითა ყრუ ქუჩაზე აღმოჩნდა, რამაც კატასტროფულად იმოქმედა დოდიკა ნალბანდიანის მატერიალურ კეთილდღეობაზე. მიუხედავად მისი არაერთი მიმართვისა და მოთხოვნისა სხვადასხვა ინსტანციაში - ჯიხური ძველ ადგილზე გადაეტანათ, მომსმენი და გამგონე და, მითუმეტეს, ამ საკითხის გადამწყვეტი არავინ იყო და ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ საკითხს სამართლიანად, ანუ მის სასარგებლოდ გადაწყვეტდა, ჯიხურის მფლობელის რწმენით, პრეზიდენტი გახლდათ; მხოლოდ მისი სწამდა: „აბა, ტყუილად დავუჭირე მხარი?" - გამოხატავდა თავის ამ ურყევ რწმენას ჩვენებებში დოდიკა ნალბანდიანი. - „ტყუილად ვიდექი წვიმასა და ქარში მიტინგებზე?"

დანაშაულის ნაწილის არარსებობის გამო, ვინაიდან არცერთი კოდექსის არცერთი მუხლი არ მიუდგებოდა სასჯელის ზომის განსასაზღვრავად იმ ფაქტს, გარემოებას, რომ მოქალაქეს თავისი ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრა სურდა, დოდიკა ნალბანდიანი გაათავისუფლეს.

ნაშუაღამევს ნაცემ-ნაბეგვი, შეურაცხყოფილი და სასტიკად დაზაფრული, პოლიციის სამორიგეო მანქანით მიიყვანეს სახლში. გზად ახლად გახსნილ შადრევანს ჩაუარეს. შადრევანი ნაირფრად იყო განათებული, მხიარულად ჩუხჩუხებდა წყალი, თითქოს პრეზიდენტი თავისი ამომრჩევლების წინაშე გამოდიოდა.

# კომისია

ცალკეულ მოქალაქეთა სიღარიბის ზღვრის დამდგენი კომისია ოლია ღუდუშაურთან, სამოცდაჩვიდმეტი წლის, მარტოხელა, თვიდან თვემდე ოცდარვა ლარის მომლოდინე პენსიონერთან ნაშუადღევის ოთხი საათისთვის მივიდა. კომისიას სამი პირი წარმოადგენდა: ორი ქალიშვილი - ოციოდ წლისანი და ოცდახუთი წლის ახალგაზრდა კაცი. კარებში შევიდნენ თუ არა, უცებ აავსეს ოლია ღუდუშაურის ერთოთახიანი ბინა. ერთი ქალიშვილი ოთახში დადგმულ მაგიდას მიუჯდა, ბლანკი ამოიღო და საწერად მოემზადა.

- ქალბატონო, შეიძლება ბინა დავათვალიერო? - იკითხა მეორე ქალიშვილმა. პასუხს არც დალოდებია, ისე გავიდა სამზარეულოში.

- კი, შვილო, როგორ არ შეიძლება. - დაადევნა ოლია ღუდუშაურმა, თუმცა, რაღა იყო დასათვალიერებელი ერთოთახიან ბინაში, კედლებზე დაკიდული გარდაცვლილი ქმრისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ომში დაღუპული შვილის ფოტოსურათის გარდა.

- სოციალური მდგომარეობა? - ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა.

- რა მკითხე, შვილო? - ვერ გაიგო მოხუცმა ქალმა.

- პენსიას იღებთ?

- კი, ახლა არ გვიგვიანებენ ოცდარვა ლარს.

- ჩაწერე, „პენსიონერი". - თავზე დაადგა მაგიდასთან მჯდომ ქალიშვილს ახალგაზრდა კაცი.

- მარჩენალი გყავთ? - მიუბრუნდა ოლია ღუდუშაურს.

მოხუცმა კედელზე დაკიდულ ქმარ-შვილის ფოტოსურათებს გახედა. - აგერ არიან ჩემი მარჩენლები. - ჩაილაპარაკა ჩუმად.

- გასაგებია. - სურათებს შეავლო მზერა ახალგაზრდა კაცმა. - ჩაწერე: „მარტოხელა, მარჩენალის გარეშე".

- გასაყიდი რამე გაქვთ სახლში, ქალბატონო?

- ეჰ, შვილო, ერთი სკამი, ერთი საწოლი და ერთი „შკაფიღა" დამრჩა; ვინაა ამის მყიდველი?

- გასაგებია. ვინმე გეხმარებათ?

- მეზობლები მეხმარებიან ხანდახან, თუმცა, თვითონაც უჭირთ. რა ვქნა, შვილო, ვერავისგან ვერაფერს მოითხოვს ახლა კაცი, ყველას უჭირს.

- საინფორმაციო საშუალებები გაქვთ სახლში?

- როგორი საშუალებები? - დაიბნა ოლია ღუდუშაური.

- ტელევიზორი, რადიო.

- ჰო, ტელევიზორი კი მაქვს, მაგრამ ათი წელია არ მუშაობს. რითიღა გავაკეთებინო, შვილო? რადიო „კუხნაშია", მაგრამ სამი წელია, მაგის ხმა არ გამიგონია.

- ესე იგი, არ გაქვთ. ჩაწერე! - უკარნახა ქალიშვილს.

- ფულად გზავნილებს ხომ არ იღებთ ვინმესგან?

- რომანა ფოსტალიონს მოაქვს ყოველთვე პენსია სადარბაზოსთან და ყველანი იქ ვიღებთ. ღმერთმა დალოცოს რომანა ფოსტალიონის და ჩვენი პრეზიდენტის სახელი.

- კარგი, კარგი, გასაგებია. რით იკვებებით? ცხელ საჭმელს რამდენჯერ მიირთმევთ, ქალბატონო?

- ყოველდღე, შვილო, ყოველდღე ვსვამ ცხელ ჩაის.

- სხვა?

- სხვა რა უნდა იყოს, შვილო?

- გასაგებია. ჯანმრთელობას ხომ არ უჩივით, ქალბატონო?

- კი ვუჩივი, მაგრამ ვისთან ვიჩივლო? რაიონული პოლიკლინიკაც კერძო გახდა, უბნის ექიმი - ლიზა-ექიმი გარდაიცვალა, აცხონოს ღმერთმა და ვარ ასე.

- კარგი. - თქვა ახალგაზრდა კაცმა. - ყველაფერი გასაგებია. დაათვალიერე? - მიუბრუნდა ოთახში შემოსულ მეორე ქალიშვილს, რომელმაც თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

- აქ მომიწერეთ ხელი, ქალბატონო. - მიმართა ოლია ღუდუშაურს და შევსებული ბლანკის კიდეზე მიუთითა.

- როგორ იქნება ჩემი საქმე, პატივცემულებო? - ჰკითხა კარში გასვლისას ახალგაზრდა კაცს მოხუცმა ქალმა.

- წერილობით შეგატყობინებენ, ქალბატონო. თქვენ საკითხს განიხილავენ და აუცილებლად შეგატყობინებენ; ჩვენ უყურადღებოდ არავის ვტოვებთ!

- მადლობა, მადლობა, თქვენ გაიხარეთ, როგორც მე გამახარეთ თქვენი მოსვლით. ჩვენმა პრეზიდენტმა გაიხაროს თქვენთან ერთად. - ოლია ღუდუშაურმა პირჯვარი გადასახა კიბეზე ჩამავალ კომისიის შემადგენლობას.

●

- აბაზანა სავსე აქვს შამპუნის ბოთლებით. - უთხრა ღუდუშაურის ბინის დამთვალიერებელმა ქალიშვილმა მანქანაში საჭესთან მჯდომ ახალგაზრდა კაცს.

- მერე?

- სულ ფრანგული და იტალიური შამპუნების ბოთლებია. ოთხმოცი ბოთლი იყო კარგად გარეცხილი და გამზადებული, თვრამეტიც გასარეცხი.

- ფალსიფიკატორებს უგროვებს და აბარებს ნაღდად! - თქვა ახალგაზრდა კაცმა.

- იქნებ თვითონ ხმარობს? - საუბარში ჩაერია მეორე ქალიშვილი.

- აბა, შენა ხარ, აი! - გაეცინა ახალგაზრდა კაცს.

- „სოდს" ხომ არ გადავცეთ? - იკითხა ერთ-ერთმა.

- იცით რა? ჩვენ აქტი დავწეროთ და საბჭომ თვითონ იცის, ვის გადასცენ და რაც გააკეთონ! - თქვა ახალგაზრდა კაცმა.

სამივენი „კმარელები" იყვნენ. „კმარას" მოსამზადებელ ცენტრებსა და ბანაკებში შესისხლხორცებული უნარ-ჩვევების გამო არავისი და არაფრის სჯეროდათ და ყველაფერი აეჭვებდათ: ურწმუნოება, უარყოფა, ნიჰილიზმი სამივეს ძვალ-რბილში გაჯდომოდა.

**ოლია ღუდუშაურს კი, სამოცდაჩვიდმეტი წლის მარტოხელა პენსიონერს არათუ ფრანგული და იტალიური, საბჭოთა შამპუნიც კი არ უხმარია ოდესმე. არც ცარიელ ბოთლებს უგროვებდა ვინმეს. იგი მათ სანაგვეზე საჭმლის ნარჩენების ძებნისას აგროვებდა, რათა გამვლელ-გამომვლელი საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ სანაგვეზე საჭმლისთვის კი არა, ამ ფერად-ფერად იარლიყებიანი, უცნაური ფორმის, მსუბუქი, ლამაზი ბოთლებისთვის ირჯებოდა.**

- ინვალიდები და უპატრონოები წინა რიგებში! - თათბირის მონაწილეებს მუდამ დაეჭვებული მზერა მოავლო რაკა ბჟალავამ, 27 წლის ყოფილმა „კმარელმა", ამჟამად კი მერიის მასობრივი ღონისძიებებისა და საზეიმო სანახაობების დეპარტამენტის უფროსმა. - პირველ რიგში ინვალიდები და უპატრონოები, მერე დანარჩენები, ანუ პატრონიანები. ქალი-მშობლები წინ! ვარდები აუცილებლად, სამ-სამი ვარდი თითო ქალზე; არცერთი ოცდაოთხ წელზე ზევით! პალტოები, „პლაშები" გახსნილი! ტანი უნდა ჩანდეს, ტანი!.. სკანდირების ჯგუფები: პირველი ჯგუფი მარჯვენა ფლანგზე, მეორე ჯგუფი - მარცხენაზე, მესამე და მეოთხე ჯგუფები - ცენტრში, ხალხის უკან! ყოველ ჯგუფს ქალები დაამატეთ - სულ კაცების ხმა ისმის, ასე არ შეიძლება! ქალების როლი და მნიშვნელობა აქაც უნდა გავზარდოთ!

- დავამატეთ, - წამოდგა თათბირის ერთ-ერთი მონაწილე. - ათ-ათი ქალი თითო ჯგუფზე.

- ცოტა ხომ არ არის?

- არა, ბატონო. ისეთი მაღალი ხმები აქვთ, ლაბორატორიულმა შემოწმებამ ას ოცი დეციბელი აჩვენა, ანუ ოც დეციბელს გამოსცემს თითოეული.

- ას ოცი დეციბელი კარგია! - მოიწონა რაკა ბჟალავამ. - გამსაუბრებლები დაცვასთან შეთანხმებულია?

- კი, ბატონო.

- ხომ ქალებია სულ? ხომ ახალი სახეებია?

- კი, ბატონო.

- ასაკი?

- ჩვიდმეტიდან ოთხმოცამდე!

- კარგია, კარგი, ფართო დიაპაზონია. დუბლიორები?

- ყოველ გამსაუბრებელს ორორი დუბლიორი ჰყავს, გარდა ერთისა.

- რომელს არ ჰყავს დუბლიორი? - მუქარაგარეული ტონით იკითხა რაკა ბჟალავამ.

- ოთხმოცი წლის ქალბატონს.

- ააა! გასაგებია, გასაგები! არაუშავს, დაბრძანდით!.. ტელეარხების კოორდინატორი რას გვეტყვის?

- სცენარები და სამოქმედო გეგმები ათი დღის წინ დავარიგეთ. სამონტაჟო მასალა, ხელები, ფონები, ფართო პლანები შერჩეულია; გარდა ამისა, ხვალინდელი გადაღებებისთვის ყოველ არხს პასუხისმგებელი პირი ჰყავს მიმაგრებული.

- ძალიან კარგი. რაღა დაგვრჩენია? აბა, მივხედოთ საქმეს! დილის ცხრა საათზე ყველანი შესასვლელთან! - რაკა ბჟალავამ ჩვეული ეჭვიანი მზერა მოავლო თათბირის მონაწილეებს.

●

კულტურისა და დასვენების ეროვნული პარკის შესასვლელთან ჩვეულებრივ „სამუშაოდ" მოსული მათხოვრები დილის 9 საათზე დაარბიეს და გარეკეს. ათის ნახევარზე სპეცნაზი და უშიშროების სამსახურის მუშაკები გამოცხადდნენ, მათ მოყვნენ დაცვის თანამშრომლები. სპეცნაზმა ხეებზე, შემაღლებულ ადგილებსა და ბუჩქებში დაიკავა პოზიციები. ათ საათზე სკანდირების კორპუსი მოიყვანეს ავტობუსებით. თერთმეტის ნახევარზე ორი დიდი ყვითელი ფერის ავტობუსი მოადგა პარკის შესასვლელს; უპატრონო და ინვალიდ ბავშვთა სახლების აღსაზრდელები მოიყვანეს თავის აღმზრდელებიანად. ფიზიკურად ჯანმრთელი და პატრონიანი ბავშვები თერთმეტ საათზე იყვნენ ადგილზე. თორმეტის ნახევარზე პარკის ახლომდებარე სკოლების პირველი-მეოთხე კლასები გამოჩნდნენ სკოლის დირექტორებისა და დამრიგებლების მეთაურობით, რა თქმა უნდა, სკოლების აქტივისტ მშობლებთან ერთად. სკოლის დირექტორმა ხელწერილებით ჩაიბარეს ცერემონიალის დასრულების შემდეგ დასაბრუნებელი პატარა ზომის სახელმწიფო დროშები. პირველის ნახევარზე საგზაო პოლიციის და საპატრულო სამსახურის წარმომადგენლებმა ცენტრალური და პარკის მიმდებარე ქუჩები გადაკეტეს.




პრეზიდენტი თავისი ამალით, ანუ მთავრობის და პარლამენტის წევრთა თანხლებით, ორის თხუთმეტ წუთზე მოვიდა. სკანდირების ჯგუფების შეძახილების ფონზე ჩვეულებისამებრ ხალხში გაერია. ტელეკამერების ფხიზელი მზერის წინ რამდენიმე გამსაუბრებელს გამოელაპარაკა, პატარებს თავზე ხელი გადაუსვა, მერე ერთ-ერთი ინვალიდი ბავშვი ხელში აიყვანა და ფოტოაპარატების ჩხაკუნისა და ბლიცების პულსირების თანხლებით იმპროვიზებულ ტრიბუნასთან მივიდა.

- მეგობრებო, ახლახან სრულიად შემთხვევით გავიგე, რა დიდებული და კარგი საჩუქარი უნდა მიეღოთ დღეს ჩვენს ბავშვებს. მთავრობის სხდომა შევწყვიტე და ჩემი კოლეგებიანად, ჩემი თანამოაზრეებიანად დაუყოვნებლივ გამოვეშურე აქეთ, ამ ჭეშმარიტად საბავშვო ზეიმზე.

მეგობრებო, პირველად ჩვენს ქვეყანაში, პირველად ჩვენს ისტორიაში, ჩვენს ქალაქში ბავშვებისთვის იხსნება ულტრათანამედროვე გასართობი ატრაქციონი. ბავშვები, მომავალი თაობა ჩვენი უპირველესი საზრუნავია. ჩვენ შევპირდით მათ ბედნიერი ბავშვობა და ამ დანაპირებს ისევე განუხრელად ვასრულებთ, როგორც ყველა სხვა დანაპირებს. აქვე მინდა განვაცხადო, რომ ასეთი ატრაქციონები ყველგან გაიხსნება, ვინაიდან ჩვენი ბავშვები - ჩვენი მომავალი თაობა ლაღად და თავისუფლად უნდა გაიზარდოს. რამდენიც არ უნდა იქირქილონ ჩვენმა ერთი მუჭა მოწინააღმდეგეებმა, ჩვენს დანაპირებს მუდამ ვასრულებთ. ჩვენი მოძრაობა თავისი გზით ივლის და ჩვენ ვართ ის ერთადერთი ძალა, რომელიც ქვეყანას, ხალხს ბედნიერს გახდის. ქვეყნის, ხალხის ბედნიერების საწინდარი კი ბედნიერი ბავშვობაა!

ჩვენთვის ყველა ბავშვი ერთია, ყველა ბავშვი ერთნაირად ბედნიერი უნდა იყოს, რისთვისაც ჩვენ ყველა ქალაქში, ყველა რაიონში, ყველა სოფელში, ყველა დასახლებაში მოვაწყობთ ატრაქციონებს! წარმოიდგინეთ, რამდენი სამუშაო ადგილი გაჩნდება, რამდენი ჩვენი თანამემამულე დასაქმდება? ატრაქციონებს ხომ მომსახურე პერსონალის გარდა ენერგეტიკაც სჭირდება? ესე იგი, ენერგოსფეროშიც გაიზრდება მუშახელი. ატრაქციონზე ბავშვები ხომ ტრანსპორტით უნდა მივიყვანოთ? ესე იგი, დასაქმდებიან ტრანსპორტის მუშაკები. ატრაქციონზე სტუმრები მშივრები ხომ არ იქნებიან? ესე იგი, დასაქმდებიან კვების მრეწველობის მუშაკები! ნახეთ, რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია ატრაქციონებს?! ამიტომ ჩვენ ქვეყანას ატრაქციონად გადავაქცევთ!

მეგობრებო, აქეთ რომ მოვდიოდი, გზაში მივიღე გადაწყვეტილება, რომ ეს ატრაქციონი ოფიციალურ და საზეიმო დღეებში უფასოდ მოემსახურება ჩვენს ბავშვებს; ჩვენი დროებით დაჩაგრული პატარა მეგობრებისთვის კი, - ხელში აყვანილი ინვალიდი ბავშვი მაღლა აწია პრეზიდენტმა. - ატრაქციონი მუდამ უფასო იქნება!

სკანდირების ოთხივე ჯგუფი დაუყოვნებლივ ჩაირთო. აჟრიამულებული ხალხით გარშემორტყმულმა პრეზიდენტმა წითელი ბაფთა მაკრატლით გადაჭრა და მაღლა ააფრიალა. სკანდირების ჯგუფების შეძახილებმა მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია.

პრეზიდენტი საქანელებისკენ დაიძრა. მას ფეხდაფეხ მისდევდა ბოლო განცხადებით საკმაოდ ნირწამხდარი ატრაქციონის მფლობელი, რომელიც შეშფოთებული მზერით ეძებდა პრეზიდენტის აქ მოსვლის იდეის ავტორს და ინიციატორს, უეცრად გამქრალ თავის მეწილეს - პარლამენტის დეპუტატს.

პრეზიდენტმა მთავრობის წევრებთან ერთად კარგად იჯერა გული კარუსელებით, ელექტრომობილებით, კოსმოსური ხომალდებით, პლასტმასის ცხენითაც კი იჯირითა, ტირშიც მოხსნა რამდენიმე პრიზი, რომლებიც ბავშვებს არ გადასცა; შიგადაშიგ ხალხსაც, ანუ ქალებს გაესაუბრა, რამდენიმე ბლიც-ინტერვიუ მისცა, რის შემდეგაც ხელების ქნევით დაემშვიდობა ყველას და სკანდირების ჯგუფის შეძახილების აკომპანიმენტით წავიდა.

აჟრიამულებული ბავშვები ატრაქციონს შეესივნენ...

ულტრათანამედროვე ატრაქციონმა სულ ორი საათი იმუშავა, ვინაიდან ელექტროენერგია გამოირთო...

ატრაქციონის მფლობელმა, როგორც იქნა, იპოვა თავისი მეწილე-დეპუტატი და რახან კომპანიონების ბიზნეს-გეგმები ატრაქციონის მუქთად მუშაობას არ ითვალისწინებდა, პარლამენტის წევრმა უცებ მიაგნო გამოსავალს.

- კი მაგრამ, ყოველთვის შევძლებთ დენის გამორთვას სადღესასწაულო დღეებში? - არ ცხრებოდა ატრაქციონის მფლობელი.

- ფიქრი ნუ გაქვს! - ამშვიდებდა მეწილე-პარლამენტარი. - მაგი სულ მასე ამბობს, შენ გგონია, მეორე წუთს ახსენდება თავისი ნათქვამი? მერე კიდე, საბაზრო ეკონომიკაა, ძმაო! არავის არა აქვს უფლება, მეწარმეს შემოსავლის მიღება აუკრძალოს. ერთი ათჯერ გავაკატაოთ ინვალიდი და საბავშვო სახლების ბავშვები, კატაობის ფულს ბიზნესმენებს შევაწერ, წინდაწინ ჩავარიცხინებ შენს ანგარიშზე, მაგათაც ქველმოქმედებად ჩაეთვლებათ, ჩვენ კი - სუფთა შემოსავალში. ტყვილა ხომ არ ვარ შენი პარტნიორი?..

●

მეორე დილით მათხოვრები, ხეიბრები და დავრდომილები ჩვეულებრივ გამოცხადდნენ თავიანთ სამუშაო ადგილზე; კულტურისა და დასვენების ეროვნული პარკის შესასვლელთან, კიბეებზე განლაგდნენ. ყველას თავისი ადგილი და ტერიტორია, სამოქმედო ზონა ჰქონდა. ატრაქციონის გახსნა ძალზე აიმედებდათ, ვინაიდან პარკს მეტი მომსვლელი ეყოლებოდა და მათ, შესაბამისად, მეტი შემოსავალი გაუჩნდებოდათ.

გრიგოლ რაზმაძე, სამოცდაოთხი წლის გამხდარი კაცი, ფეტრის ქუდს ქვემოდან მომზირალი ჩაცვენილი თვალებით, ზედ შესასვლელთან, კიბის მესამე საფეხურზე იჯდა. ფსევდოხეიბარი იყო, ფეხი პალტოს ქვეშ ჰქონდა მოკეცილი და სპეციალური თასმით წელზე მიკრული. ზამთრობით უფეხო იყო (ხან მარცხენა ფეხს მიიკრავდა თასმით წელზე, ხან - მარჯვენას), ზაფხულში კი - ცალხელა. ხელს ხალათის ქვეშ ზურგს უკან იკრავდა და ვეებერთელა კუზიც უჩნდებოდა. ახალგაზრდობაში სპორტის ოსტატი გახლდათ ტანვარჯიშში და განათლებით მათემატიკოსს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, ძალზე გამოადგა ახალგაზრდობაში მიღწეული სპორტული წარმატებები, ვინაიდან ატრაქციონად ქცეულ ქვეყანაში გასაჭირმა და გარემოებამ ილუზიონისტობა არგუნა წილად.

# სტატისტიკური ერთეული

მეოცე საუკუნის მიწურულის ტიპური ინტელიგენტი ბარნაბ გრძელიშვილი, სტატისტიკური დეპარტამენტის მუშაკი, ნაგრიპალი, ახალი უფროსის დანიშვნიდან მეათე დღეს მივიდა სამსახურში. დეპარტამენტის შენობის კიბეებზე ასვლისას გაამზადა კიდეც კარისკაც გრიშასათვის სათქმელი მისასალმებელი სიტყვები, მაგრამ მოხუცი ვახტიორის ნაცვლად კარებში ამერიკელი პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი ბრგე, ჯმუხი ახალგაზრდა კაცი დახვდა.

- საშვი! - მოითხოვა შავი ქურთუკის ფასადზე შერიფის ვარსკვლავმიბნეულმა კარისკაცმა.

ბარნაბ გრძელიშვილი ისე დაიბნა, რომ საბუთს სულ სხვა ჯიბეში დაუწყო ძებნა. ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო და შინდისფერყდიანი წიგნაკი გაუწოდა.

- ძია გრიშა სად არის? - იკითხა შინაურულად.

- ვინ ძია გრიშა? - საბუთს ჩასცქეროდა ახალგაზრდა კაცი.

- აი, ჩვენი გრიშა, ვახტიორი.

- არ ვიცი. - თავი ასწია ახალგაზრდამ. - ვერ შეგიშვებთ, ეს მოწმობა გაუქმებულია.

- როგორ? რატომ? - კიდევ უფრო დაიბნა ბარნაბ გრძელიშვილი.

- უფროსის ბრძანებაა. ვერ შეგიშვებთ. მიბრძანდით! - „შერიფი" კარებში ჩადგა.

- ეს როგორ, მივბრძანდე?! - ზომიერად აუწია ხმას ბარნაბ გრძელიშვილმა. მე ოცდათორმეტი წელია აქ ვმუშაობ.

- რა გაყვირებთ, ბატონო? მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ!

- უკაცრავად. - უეცრად ჩაცხრა ბარნაბ გრძელიშვილი. ვესტიბიულის სიღრმეში შეიხედა იმ იმედით, იქნებ რომელიმე თანამშრომელი დაელანდა საკუთარი სიტყვების დასადასტურებლად, მაგრამ ვესტიბიული ცარიელი იყო და არც დეპარტამენტის განიერ კიბეზე ამოდიოდა ვინმე.

- იცით რა, ახალგაზრდავ, - მიუბრუნდა კარისკაცს. - მე ავად გახლდით, გრიპი მქონდა და ათი დღეა სამსახურში არ ვყოფილვარ. ამიტომაც ახალი საშვის შესახებ არაფერი ვიცი. იქნებ კადრების სამმართველოში დარეკოთ და ჩემი ვინაობა გადაამოწმოთ?

- აქ მოიცადეთ! - თქვა კარისკაცმა. ნაბიჯი უკან გადადგა და კარი ცხვირწინ მიუკეტა.

ბარნაბ გრძელიშვილი გაოგნებული იდგა მიხურულ კართან. გრიპისგან დასუსტებულ სხეულში გაუთვითცნობიერებელი აღშფოთების გრძნობა ჩაესახა და სანამ სხეულის ზედა, საბოლოო წერტილს მიაღწევდა, კარი გაიღო.

- მობრძანდით! - შეიპატიჟა კარისკაცმა.

ბარნაბ გრძელიშვილმა ვესტიბიულში შეაბიჯა და უკვე გახარებული, ინტელიგენტურად აღშფოთებული აუყვა კიბეს მეორე სართულზე განლაგებული კადრების სამმართველოსკენ.

„ვინმეს მაინც დაერეკა და გავეფრთხილებინე. წარმოგიდგენია, ეს რა უხერხულობაში ჩამაგდეს ამხელა კაცი?" - ფიქრობდა კიბეზე ამავალი. - „მარგალიტას რაღა დაემართა, მაგან მაინც ვერ დამირეკა? არაა ახლა მაგი სასაყვედურო?"

ამგვარი ფიქრებითა და განწყობილებებით შეაღო სტატისტიკური დეპარტამენტის კადრების სამმართველოს უფროსის, მარგალიტა მარგოშვილის სამუშაო კაბინეტის კარი.

ოთახში მაგიდაზე კომპიუტერი იდგა; კომპიუტერთან ოციოდე წლის ქერათმიანი გოგონა „მაუსით" ხელში. ქალიშვილის თავზემოთ, კედელზე თეთრ-წითელ დროშებში გახვეული პრეზიდენტის ფერადი ფოტოსურათი.

- რა გნებავთ? - დაძაბული მზერა მოწყვიტა მონიტორს ქალიშვილმა.

- მარგალიტა მინდა, შვილო, მარგალიტა მარგოშვილი, კადრების სამმართველოს უფროსი.

- ააა, - გაიღიმა ქალიშვილმა. - რა გვარი ბრძანდებით?

- მე?

- დიახ, დიახ, თქვენ.

- ბარნაბ გრძელიშვილი.

- ერთი წამით. - ქალიშვილი გრძელი თითებით კლავიატურას დაწვდა, მერე ეკრანს შეხედა. - პროგნოზირების განყოფილება არა? - იკითხა ეკრანს მიჩერებულმა.

- დიახ, უფროსი სპეციალისტი. - დაუდასტურა ბარნაბ გრძელიშვილმა.

- ძალიან კარგი. - ქალიშვილმა ეკრანს მზერა მოწყვიტა, მაგიდის უჯრა გამოაღო და ორი ფურცელი ამოიღო. - დაბრძანდით და შეავსეთ, ბატონო ბარნაბ. - გაუწოდა ფურცლები.

- რა არის ეს? - ფურცლები ჩამოართვა ბარნაბ გრძელიშვილმა. მეორე ხელით გულისჯიბიდან სათვალის ბუდე ამოიღო.

- განცხადების ბლანკია, ბატონო. - განუმარტა ქალიშვილმა. ერთი განცხადება სამსახურიდან საკუთარი სურვილით წასვლის შესახებ უნდა დაწეროთ, მეორე კი - სამსახურში მიღების თაობაზე.

- ეს როგორ? - საბოლოოდ დაიბნა ბარნაბ გრძელიშვილი. - რანაირად? - სკამზე ჩამოჯდა და ბლანკებს ჩაუკვირდა.

- ასეთი წესია; უკვე ყველამ დაწერა ასეთი განცხადება, თქვენიღა აკლია.

- კი, ბატონო. - ავტოკალამი ამოიღო იმავე გულისჯიბიდან ბარნაბ გრძელიშვილმა.

- პირველ განცხადებაზე, სამსახურიდან წასვლის შესახებ, ძველი თარიღი დასვით - ათი დღის წინანდელი, მეორეზე, თუ გნებავთ, დღევანდელი თარიღი იყოს.

- კი, ბატონო. - პირველი განცხადება დაამთავრა და მეორის წერას შეუდგა ბარნაბ გრძელიშვილი.

- კომპიუტერი იცით? - კითხა ქალიშვილმა მეორე განცხადების წერისას.

- არა.

- ინგლისური?

- არა.

- ყოველი კაცის, - სუფრას თვალი მოავლო თავის დროზე ნაციონალური მოძრაობის მორევში ჩაყვინთულმა და ქვეყნის პარლამენტში დეპუტატად თავამოყოფილმა, ამავე პარლამენტის დიდი ფრაქციის ერთ-ერთმა ლიდერმა და მთავარმა იდეოლოგმა ბესარიონ ზულელმა. - ყოველი ადამიანის ბედი მის ხელშია. აი, ეს არის დემოკრატიის მთავარი და ჭეშმარიტი არსი. ინდივიდის, პიროვნების ადგილი დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი ნიჭით, ანუ გონებრივი შესაძლებლობებით განისაზღვრება. ნიჭის და გონებრივი შესაძლებლობების რეალიზება კი უნარ-ჩვევებით ხდება. რა არის ეს ყველაფერი ერთად, ერთობლიობაში? ნიჭი, ბატონებო, ალღოა, ალღო! ნიჭიერია ის, ვინც ალღოს უღებს მიმდინარე მოვლენებსა და შექმნილ ვითარებას, გარემოებას. ნიჭიერი, ანუ ალღოიანი ადამიანი დემოკრატიული წყობისას ნებისმიერ ვითარებას, ნებისმიერ მოვლენას, გარემოებას თავის სასარგებლოდ მოაქცევს, გამოიყენებს და შესაბამის შედეგსაც მიიღებს. ალღოიანი კაცი ხედავს იმას, რაც სასარგებლოა, მომგებიანია მისთვის და რახან იგი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი წევრია, ანუ სახელმწიფოს უჯრედია, შესაბამისად, მისთვის სასარგებლო და მომგებიანი საზოგადოებისათვის, ქვეყნისთვისაც მომგებიანი, სასარგებლოა!

ალღოიანი ადამიანი წარმატებულ ინდივიდზე მეტია. იგი თავისი ბუნებით, არსით, დანიშნულებით ზეადამიანია, ვინაიდან მისთვის მიუღებელი, უცხო, შეუთავსებადია საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა იდეოლოგიების, რელიგიური კონფესიების და მოძღვართა მიერ მოგონილი, შექმნილი მთელი რიგი ცნებები, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა ბორკილები, ხუნდები ალღოიანი ადამიანის სულსა და სხეულზე. ამ ცნებებიდან გამომდინარე, სინდისის, ნამუსის, სირცხვილის, სინანულის გრძნობები ნეგატიურად მოქმედებს ინდივიდზე, პიროვნებაზე, იწვევს სტრესებს, გულსისხლძარღვთა სისტემის მოშლას, უხასიათობას, უსაფუძვლო შიშებს, მორალურ და ფიზიკურ დათრგუნვას, რაც საბოლოოდ აუცილებლად სამყაროში ყველაზე ძვირფასისა და ღირებულის - ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემოკლებას იწვევს.

ადამიანის წმიდათაწმიდა, ხელშეუხები უფლება კეთილდღეობაა; კეთილდღეობის მიღწევა - მისი მთავარი და ძირითადი მიზანი. ესაა მთავარი ღერძი, მთავარი მამოძრავებელი ძალა. სიცოცხლის ხანგრძლივობა კი ადამიანის კეთილდღეობის მთავარი კომპონენტია, შეიძლება ითქვას, საბოლოო კომპონენტი. ამიტომაც ნამდვილი, თანამედროვე, ჭეშმარიტად დემოკრატი ადამიანისგან შორს უნდა იყოს საუკუნეების მანძილზე მის თავს მოხვეული ზემოთ ჩამოთვლილი ფსევდოფასეულობები, ვინაიდან ყველაზე მთავარი და ერთადერთი ჭეშმარიტი ფასეულობა თვით ადამიანია და, შესაბამისად, რაც საფრთხეს უქმნის მის კეთილდღეობას, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას - ირაციონალურია, მიუღებელია ალღოიანი, ანუ ნიჭიერი საზოგადოებისათვის.

რაშია ჩვენი ფრაქციის, მთლიანად ჩვენი პარტიის სიძლიერე? - დრამატული პაუზით მოავლო მზერა ბესარიონ ზულელმა სუფრასთან სულგანაბვით მსხდომ თანამეინახეებს. - ჩვენი პარტიის სიძლიერე იმაშია, რომ ჩვენ უარვყავით ეს ყალბი, გამოუსადეგარი, უსარგებლო, არაფერი კარგის მომტანი ფასეულობანი და ჩვენი მთავარი მოვალეობაა, ჩვენი კარდინალური რეფორმის მთავარი არსი ისაა, რომ ჩვენთან ერთად სრულიად საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოიშოროს ეს ბორკილები, ეს ხუნდები და იცხოვროს ყოველგვარი პირობითობის გარეშე - საღად, ლაღად და თავისუფლად, ისე, როგორც ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყნის საზოგადოება იმსახურებს!

ვიცი, ვიცი, რომ ჩვენი მცირერიცხოვანი, მაგრამ მაინც პატივსაცემი ოპონენტები აქ რომ ბრძანდებოდნენ, მეტყოდნენ, რომ ადამიანები შიმშილობენ, ადამიანებს სამუშაო არა აქვთ, ადამიანებს უჭირთ და სხვა მრავალი. მაგრამ მინდა ვკითხო პატივცემულ ოპონენტებს: ვინ არიან ეს ადამიანები? და აქვე გავცემ პასუხს: ეს ადამიანები სწორედ ის ხალხია, ვინც იმ ფსევდოფასეულობებით, ყალბი, მირაჟისმაგვარი ფასეულობებით ხელმძღვანელობენ და ცხოვრობენ; და რახან ასეა, ამიტომაც შიათ, სწყურიათ, უჭირთ. მინდა ვუთხრა მათ, რომ ესენი ის ადამიანები არიან, ვინც ალღო ვერ გამოიჩინა, ალღო ვერ აუღო ჭეშმარიტად დემოკრატიულ წყობას. საამისო უნარჩვევები არ აღმოაჩნდათ და ჩვენი ხელისუფლების წმიდათაწმიდა მოვალეობაა, ეს უნარ-ჩვევები ჩავუნერგოთ მათ.

დემოკრატიული წყობა იღბლიან ადამიანთა წყობაა, ბატონებო! ამიტომაც მე ვსვამ ალღოიანი ადამიანების სადღეგრძელოს. ჩვენს ალღოიან პრეზიდენტს გაუმარჯოს! ჩვენს ალღოიან საპარლამენტო უმრავლესობას გაუმარჯოს! ჩვენს ალღოიან პარტიას გაუმარჯოს! ერთი სიტყვით, ვინც კარგად ვართ, გაგვიმარჯოს!

ბესარიონ ზულელმა შამპანურით სავსე ორთომელი პირთან მიიტანა. სუფრაზე ტაშმა იფეთქა, ჟრიამულით, აღტაცებით წამოიშალნენ სასმისებით ხელში.

გარეთ კი, დიდი რესტორნის შესასვლელთან, ლამის გენერალისიმუსის მუნდირში გამოწყობილი ზორბა ტანის კარისკაცისგან ოდნავ მოშორებით, პატარა გოგო-ბიჭი იდგა, რვა-ცხრა წლისანი. გოგონას ორივე ხელით იაფფასიანი თაიგული მიეკრა გულზე, ბიჭს კი პატარა ხატები ეჭირა. იდგნენ და შეშინებულები შესცქეროდნენ მრისხანე, მეომრის იერიან კარისკაცს.

ბავშვური ალღოთი გრძნობდნენ, რომ რესტორანში არ შეუშვებდნენ.



მშიერნი და მიუსაფარნი შეკრებილიყვნენ შენობასთან. უხმოდ, ჩუმად იდგნენ შესასვლელთან მსუბუქი სხეულებით და გაცრეცილი სახეებით, თითქოს ლანდები - შემორჩენილნი თუ გამოპარულნი უახლოესი წარსულიდან. იმ წარსულიდან, რომელსაც წყვეტილი სიზმრებისთვის შეეფარებინა თავი წუთებად დაფლეთილი ძილისას უსაშველოდ გრძელ, გაუსაძლის ღამეში; იმ წარსულიდან, გაყვითლებულ, ლიბრგადაკრულ ფოტოსურათებს რომ შემორჩენოდა.

სირცხვილის, თავმოყვარეობის, სიამაყის, ღირსების გრძნობა, რომელიც მათი მუდმივი თანამგზავრი და მეგზური იყო ცხოვრებისეულ ლაბირინთში, იმავე წარსულში დარჩენილიყო და ახლა ამ ლაბირინთიდან გასასვლელ ღია კართან ყოველივე ამის გარეშე, თითქოს შიშვლები წარმდგარიყვნენ და ერთადერთი გრძნობა, რომელიც აწუხებდათ, დროის ამ განზომილებასთან აკავშირებდათ, შიმშილის გრძნობა იყო; მუდმივი, ყოვლისმომცველი, ყველაფრის დამთრგუნველი, მათი ყოველწამიერი მოქმედების საფუძველი და მისი დაკმაყოფილება ერთადერთი მიზანი იყო ამ დროში ყოფნისა.

იდგნენ ადრიანი დილიდან შენობის შესასვლელთან და პრეზიდენტის მოსვლას ელოდნენ, რომელსაც მორიგი უფასო სასადილო უნდა გაეხსნა, მათთან ესადილა, კერძები შეექო და გამძღარიყო.

მათ მიერვე არჩეულმა წინა პრეზიდენტმა ისინი ამ შენობის შესასვლელამდე მიიყვანა; ეს ახალი, ისევ მათ მიერვე არჩეული, შენობაში - უფასო სასადილოში შეიყვანდა და შემდეგ, ან ისევ ეს, ან მომდევნო, საბოლოოდ გაიყვანდა მათ ცხოვრებისეული ლაბირინთის ღია კარიდან.

- კარგი მასალაა! - უთხრა ტელეოპერატორს პიარ-ჯგუფის უფროსმა ახალგაზრდა ქალმა. - თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელია, თითო შეარჩიეთ ფართო პლანისათვის. ყველამ იცოდეს, უფასო სასადილოები ყველასთვის იხსნება!






- სანამ ჩვენ საკუთარ სისხლს ვღვრიდით, სანამ „გრადების“ წვიმის ქვეშ ფრჩხილებით მიწას ვთხრიდით, ესენი აქ ქვეყანას ითრევდნენ, დუბაისა და პოლონეთში დაწანწალებდნენ სავაჭროდ... ახლა კი ჩვენ დამარცხებულებს გვეძახიან! - ზურა ვაშაძემ, 24-ე ბრიგადის მეორე ბატალიონის ყოფილმა მეთაურმა, არყით სავსე ჭიქა ასწია და სულმოუთქმელად გადაკრა.

ვალერი შაბურიას, 24-ე ბრიგადის ყოფილ რიგითს, ტერიტორიული მთლიანობის ომის ვეტერანს, 36 წლის გამხდარ, საშუალოზე დაბალი ტანის კაცს, მოკლედ შეკრეჭილი შავი თმით და ასევე შავი, დიდი, ტევადი თვალებით მომზირალს, არაფერი უთქვამს. უკვე ორი საათია, მისი ყოფილი მეთაურის, ზურა ვაშაძის სამოთახიანი ბინის ლოჯიაში ისხდნენ სუფრასთან და ვალერი შაბურიას ვერანაირად მოეხერხებინა ეთქვა, თუ რისთვის ესტუმრა ახალი წლის დამდეგ საღამოს თავის ძმაკაცს. ჯერ ზურას მეუღლე - ნანა უშლიდა ხელს, ვერც მერე, ნახევარი საათის წინ, როცა ნანა დედამისთან გადავიდა გვერდით საცხოვრებელ კორპუსში („ხომ იცი, ვალერი, ტრადიციულად დედაჩემთან ვხვდებით ახალ წელს, ხვალ კი აუცილებლად გელით შენ და ნაზიკოს ბავშვებიანად“), ვერ მოახერხა თქმა და ახლა უკვე საბოლოოდ იყო დარწმუნებული, რომ ვერც ეტყოდა...

- ზურა, წავალ ახლა, ძმაო, თერთმეტის ნახევარია უკვე, ახალ წელს სახლში მინდა მივუსწრო... აბა, სიკეთე ამ ოჯახს! - ვალერი შაბურია ფეხზე წამოდგა - სიკეთე, მშვიდობა და ბედნიერება!

მიუხედავად ვალერის წინააღმდეგობისა და პროტესტისა, ზურა კიბეზე ჩაჰყვა გასაცილებლად. კიბეები უხმოდ ჩაიარეს და ასევე უხმოდ, მამაკაცურად გადაეხვივნენ ერთმანეთს პირმაღთან და ამ დროს ვალერი შაბურიამ იგრძნო, თუ როგორ ჩაუყო ქურთუკის ჯიბეში ხელი ზურა ვაშაძემ.

- რა არის, ზურა? - ჯიბეზე იტაცა ხელი ვალერი შაბურიამ.

- არაფერი, ძმაო, ტაქსით წადი სახლში.

- კაი რა, რად გინდოდა... - ჯიბეში ხელი ჩაიყო ვალერი შაბურიამ.

- არა! - ჯიბეში ჩაყოფილი ხელი გაუკავა ზურა ვაშაძემ. - თუ გინდა მაწყენინო ამ საახალწლოდ, თუ გინდა საერთოდ დამკარგო, დამიბრუნე მაშინ. იცოდე, შენ თვალწინ დავხევ!

ვალერი შაბურიას ხელი ჯიბეში ედო, საჩვენებელი და ცერა თითით ზურას მიერ ჯიბეში ჩადებული ფულის კუპიურის სიფრიფანა, მაგრამ გლუვ სიმტკიცეს გრძნობდა. - „ნეტავ, რამდენია?“ - გაიფიქრა უნებლიეთ და ამ უცნაურმა გაფიქრებამ სირცხვილის გრძნობაში გახვია. სწორედ ფულის სათხოვნელად იყო მისული ზურა ვაშაძესთან და სწორედ ამის თქმა ვერ მოახერხა მთელი საღამო. ახლა კი იდგა დაბნეული, დარცხვენილი, გახარებული და ხმას ვერ იღებდა.

- აბა, კარგად ძმაო, მრავალ ახალ წელს! ხვალ მოკიდე ხელი ნაზიკოს, ტყუპებს და ჩემთან!

- არის! - ქუსლი ქუსლზე მიარტყა ვალერი შაბურიამ და მხედრული სალამი მისცა. სიცილით გადაეხვივნენ ერთმანეთს. 24-ე ბრიგადის მეორე ბატალიონიდან ცოცხლებში მხოლოდ ისინიღა იყვნენ დარჩენილები: ყოფილი მეთაური ზურა ვაშაძე და ყოფილი რიგითი ვალერი შაბურია...

ორმოცდაათი ლარის თხოვნას აპირებდა, კუპიურა კი ასლარიანი იყო.

ორმოცდაათ ლარს ნაზიკოს მივცემ, ათ ლარს სიგარეტისთვის დავიტოვებ, - გაიფიქრა ვალერი შაბურიამ. - დანარჩენი კი სუპერმარკეტში!

ტყუპებს ორი ვარდისფერი, სათამაშო მომღერალი გოჭი უყიდა, რომლებიც გატიკნულ, რბილ მუცელზე თითის დაჭერისას მხიარულად მღეროდნენ: „სადაც მინდა, იქ შევჭამ, სადაც მინდა, იქ მოვისაქმებ“. შვიდი ლარი ღირდა თითო სათამაშო. ორი ექვსლარიანი შამპანური აიღო: წითელი ნაზიკოსთვის, თეთრი - თავისთვის, ათლარიანი შოკოლადის კოლოფი და ოთხი ლარისაც წვრილ-წვრილი შოკოლადის ფილები ტყუპებისთვის - ასკასა და ვასკასთვის. ასკა - ასლანი, მამამისის მოსახელე, ხოლო ვასკა - ვასილი, მისი მეუღლის, ნაზის მამის პატივსაცემად. ასკა-ვასკა ოთხ-ოთხი წლისანი იყვნენ...

სუპერმარკეტიდან გამოსულს ზუსტად სამოცი ლარიღა დარჩა. ფეხით გაუყვა გზას სახლისკენ და იმედოვნებდა, რომ ახალი წლის დადგომას შინ მიუსწრებდა...

სროლა უეცრად ატყდა, თითქოს დაზვერვაზე წასული ჩასაფრებულ მტერს გადააწყდა. ვალერი შაბურიამ უნებლიედ თავი მხრებში ჩარგო, მოიხარა და სახლის კედელს აეკრა. შიშინგარეული წივილი გაისმა, რომელიც ყრუ-ფუყე ტკაცანში გადაიზარდა, უეცრად განათდა და ქალაქის თავზე, ცაში მაშხალების თაიგული გაიშალა, გადმოეკიდა, შიშინი, წივილი, ტკაცატკუცი ერთ მთლიან კაკოფონიად ჩამოყალიბდა მყისვე და ცის გუმბათი ნაირფერ, ბრჭყვიალა ბაღნარად იქცა. ქალაქში ახალმა წელმა, ღორის წელიწადმა შემოაბიჯა...

●

თავისი მუდმივი და საბოლოო დისლოცირების ადგილისკენ - სახლისკენ მიაბიჯებდა ოცდათხუთმეტი წლის ვეტერანი ჯარისკაცი ვალერი შაბურია. ტანზე ათი წლის წინ „ძია სემის“ ნაწყალობევი, ჯერ კიდევ „უდაბნოს ქარიშხალს“ გადარჩენილი, კამუფლირებული სამხედრო ფორმა ეცვა; ზემოდან უფრო ძველი, ჯერ კიდევ „ზაკვოს“ დროინდელი, ასევე კამუფლირებული, ნაცრისფერი ბეწვის საყელოიანი თბილი ქურთუკი, თავზე კი ისევ „ძია სემის“ ნაქონი საჩიხიანი ქუდი.

მიდიოდა ჯარისკაცი დიდი ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნის უკაცრიელი ქუჩის ტროტუარზე და ცაში აჭრილი მაშხალების ყოველი თაიგულის გაშლაზე, ყოველი პეტარდისა თუ თოფის გასროლის ხმაზე უცნაური ფიქრი იპყრობდა, რომელიც ასევე უცნაურ გრძნობად ყალიბდებოდა - თითქოს იგი უცხო მოდგმის მიერ ოკუპირებულ მშობლიურ ქალაქში გამომწყვდეული ინსურგენტ-პარტიზანი იყო, მარტოხელა, უიარაღო და ალყაშემორტყმული. გზას ცაში ატყორცნილი მაშხალების ცივი ათინათი უნათებდა.

დიდი ქალაქის მესვეურნი, დამთრევნი და მფლობელნი თავის წელიწადს - ღორის წელიწადს ეგებებოდნენ...

- აღნიშნეთ და ხაზი გაუსვით.

- რუსული ვიცი კარგად. - წერა განაგრძო ბარნაბ გრძელიშვილმა. - აღვნიშნო?

ქალიშვილს არაფერი უთქვამს, ისევ ეკრანს მიუბრუნდა და კომპიუტერში თანამშრომლის ახალი ფაილი გახსნა.

- ახალი უფროსი თავისთანაა? - იკითხა ბარნაბ გრძელიშვილმა, განცხადების წერას რომ მორჩა. - უხერხულია, რომ არ ვნახო.

- აქ არის, მაგრამ დღეს ვერ ნახავთ; უცხოელების დელეგაცია ჰყავს.

- ჰო, რა გაეწყობა მაშინ. ახლა რა ვქნა?

- შინ წაბრძანდით. ამ კვირის ბოლოს უფროსი თანამშრომლების დანიშვნის ბრძანებას ხელს მოაწერს და დაგირეკავთ.

ბარნაბ გრძელიშვილი სკამიდან წამოდგა, თავაზიანად დაემშვიდობა ქალიშვილს და ოთახიდან გავიდა.

ქალიშვილმა ბარნაბ გრძელიშვილის მიერ შევსებული ფურცლები აიღო. პირველი განცხადება - სამსახურიდან საკუთარი სურვილით გათავისუფლების თაობაზე, საქაღალდეში ჩადო, მეორეს კი - დანიშვნის შესახებ, თვალი გადაავლო, დაჭმუჭნა და ნაგვის კალათში ჩააგდო, რის შემდეგაც კომპიუტერულ თამაშს მიუბრუნდა ისევ.

●

სტატისტიკის დეპარტამენტის შენობიდან გასვლისას ბარნაბ გრძელიშვილმა გულწრფელად მოუბოდიშა შერიფ-კარისკაცს ამასწინანდელი გაცხარებისთვის, დაემშვიდობა და კიბეებზე დაეშვა. კვირის ბოლომდე სამი სამუშაო დღე კიდევ იყო, მერე - შაბათ-კვირა; ესე იგი, სულ ხუთი დღე და ის კმაყოფილი იყო ამ უეცარი დასვენებით მძიმე ავადმყოფობის შემდეგ.

მიაბიჯებდა მეოცე საუკუნის დასასრულის ტიპური ინტელიგენტი ბარნაბ გრძელიშვილი ქუჩის ტროტუარზე და არ იცოდა, რომ დიდი ქალაქის უმუშევართა მრავალათასიან არმიას მისი სახით კიდევ ერთი სტატისტიკური ერთეული შეემატა.

---

ბია ლომაძე — ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი, მწერალთა, ჟურნალისტთა კავშირების წევრი. მისმა პროზაულმა ნაწარმოებებმა: „თაბაშირის კაცი“, „კროსვორდი“, „კაცი გალავანზე“, „დიდი ქალაქის პატარა მოთხრობები“ გამოქვეყნებისთანავე მოიპოვა საყოველთაო აღიარება; თარგმნილია მსოფლიო ხალხთა ენებზე.

**„ნიუ იორკ თაიმსი“, „ნიუ იორკ პოსტი“, „სტარ ლეჯერ“ - ეს მოკლე ჩამონათვალია იმ გამოცემებისა, რომლებიც 27 თებერვლიდან მოყოლებული მთელი კვირის განმავლობაში ყოველ გამოცემაში, ზედიზედ, ვრცელ რეპორტაჟებს უძღვნიან ნინო ანანიაშვილსა და ქართული ბალეტის თეატრს, მათ „ტრიუმფალურ ვოიაჟს“ შეერთებულ შტატებში.**

# ახალი ქარიშხალი ძველი სიოს თანხლებით

„ახლადდაბადება სამ წელიწადში“ - ამ სათაურით დაიწყო ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ ჯენიფერ დუნინგმა ქართულ საბალეტო დასზე მიძღვნილი სერიალის პირველი წერილი „ნიუ იორკ თაიმსში“, და მხატვრულად დაგვიხატა იმ სატელეფონო ზარის პერიპეტიები, როცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ნინო ანანიაშვილთან სატელეფონო საუბარი მოისურვა და პრიმას საქართველოში დაბრუნება და დასის ხელმძღვანელობა სთხოვა.





ამერიკელი ჟურნალისტი ანანიაშვილის დაბრუნებას თეატრში ადარებს დიდი კორიფეს, ვახტანგ ჭაბუკიანის თბილისში დაბრუნებას 1941 წელს, ნაცისტებისაგან თავის დაღწევის შემდეგ.

დამეთანხმებით, საპატიო პარალელია...

ამ წერილში ავტორი შეულამაზებლად, ვარდისფერი სათვალეების გარეშე მოუთხრობს მკითხველს იმ სამ წელიწადზე, რაც თეატრმა გამოიარა, და ჩემდა გასაკვირად, იგი შესანიშნავად საუბრობს ქართულ სულზე, მოსახლეობის კულტურულ სიმაღლეებზე და ასკვნის: „ანანიაშვილი არის ბრენდი, ეროვნული გმირი, და ქართველებს უყვართ გმირები!“-ო.

ეს წერილი ვერ დაიტევს იმ გამოხმაურებებს, რაც ანანიაშვილის დასის გასტროლებს მოჰყვა ნიუ-იორკში... ამის არც პრეტენზია გააჩნია. მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას, -

ქართული დასის ეს გასტროლი იყო ერთადერთი შემთხვევა ამერიკაში გამომავალი ქართული გაზეთის „მამულის“ არსებობის ისტორიაში, როცა სარეკლამო აფიშას პირველად დავუთმეთ გაზეთის პირველი გვერდი.

ალბათ ამ ფაქტმაც განაპირობა ის, რომ დარბაზი ოთხივე წარმოდგენაზე ქართველი ემიგრაციით იყო სავსე.

არასოდეს დამავიწყდება „დენთის სუნი“ დარბაზში...

დიახაც, „დენთის სუნი“...

მაშინ, როცა „ჯორჯ ბიზეტის ვარიაციების“ შემდეგ ფარდა გაიხსნა და დარბაზში ქართულმა მრავალხმამ დასჭექა: „ღვთისმშობლის წილხვედრ შენ საქართველოვ, აწ და მარადის ქრისტეს გზით გევლოს“, მეგონა რომ დედამიწა აფეთქდებოდა, ვულკანი ამოიფრქვეოდა; რომ უბრად ვერ ჩაივლიდა ამდენი დაჭიმული მშვილდი, ამდენი მოულოდნელობით გამოწვეული გაოგნებული სახეები; წყალდიდობა დაგვატყდებოდა თავს, ქართველ მაყურებელთა ცრემლი წაგვლეკდა...

დიახ, მეგობრებო, ამ დღეს დარბაზში დიდი ვახტანგ ჭაბუკიანის სულს მოჰკრავდით თვალს... ისიც პარტერში, ჩვენს გვერდით იჯდა, თავდახრილი და თვალებდახუჭული... მხოლოდ უსმენდა... უსმენდა ბალეტს! რომლის მუსიკალური პარტიტურა ქართული ხალხური მელოდიებისა და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებზე შექმნილი კომპოზიციებისაგან შედგებოდა, ხალხური საკრავების თანხლებით - ფანდურით, სალამურით, დოლ-გარმონით...

ოცდაათწუთიან დადგმაში შექმნილი იყო ისეთი ქორეოგრაფიული სურათი, სადაც სრულად შენარჩუნებული იყო ქართული სული, მაგრამ არა ნაციონალური, არამედ თანამედროვე კლასიკური ცეკვის ენაზე. და ეს შექმნა ნინო ანანიაშვილის იდეითა და დაკვეთით დიდი თეატრის ყოფილმა პრემიერმა, ამჟამად ამერიკაში მოღვაწემ, სან-ფრანცისკოს საბალეტო დასის ბალეტმაისტერმა იური პოსოხოვმა.

და ეს ყველაფერი ნიუ იორკში მოხდა... ბრუკლინის მუსიკის აკადემიის დარბაზში.

ამ წერილში დეტალურად შევეხები ყველა სხვა დადგმას, გარდა ზემოთდასახელებული „საგალობელისა“. მიზანი მხოლოდ ერთი მაქვს, ჩემებური ინტერპრეტაციით გავიმეორო შოსტაკოვიჩის ნათქვამი ერთ-ერთ სპექტაკლზე: „გაყიდეთ ყველაფერი და „საგალობელი“ ნახეთ!“

განსაკუთრებით დიდი რისკი იყო ქართველი სოლისტებისათვის ამერიკულ სცენაზე წარმოედგინათ საკმაოდ ცნობილი, ჯორჯ ბალანჩინის დუეტი „პატარა საუნჯე“.

ეს საბალეტო მინიატურა იგორ სტრავინსკის მუსიკაზე ბალანჩინმა სამ დღეში შექმნა. ერთხელ მან დასში გამოაცხადა, რომ ჰქონდა ნაწარმოები და სურდა მასზე შეექმნა ქორეოგრაფიული სურათი. ეს დუეტი უპირველესად ფორმით არის საინტერესო. სცენაზე დგას როიალი, პიუპიტრი მევიოლინის ნოტებისათვის, როიალს უკან კი დგანან სოლისტი მამაკაცი და ქალი, რომლებიც უსმენენ როიალსა და ვიოლინოზე შესრულებული მელოდიის პირველ ნაწილს. ნაწარმოების მეორე ნაწილის შესრულებიდან კი სოლისტი ვაჟი სოლისტ ქალს იწვევს საცეკვაოდ. სოლისტი ქალი პარტნიორი მამაკაცის ნების დამყოლია. საერთოდ მიიჩნევენ, რომ ქალი აქ შესაძლოა იყოს მამაკაცის მოსწავლე, თავისი ბალერინა, რომლის „გაცოცხლებას“ ცდილობს მაესტრო, რათა გაუღვიძოს ემოცია, მაგრამ იგი სანაცვლოდ ვერაფერს სთავაზობს.

სოლისტი კაცის მიერ შესრულებული სწრაფი და რთული მოძრაობები განსაზღვრავს ამ დუეტის მთავარ ქორეოგრაფიულ ხაზს, იგი ცეკვავს ქალისთვის; არა, ჯერ მასთან ერთად ისმენს მელოდიას, ცდილობს ჩაწვდეს მას, გაიგოს, ხოლო შემდეგ ამ მელოდიას თითოეულ მოძრაობაში აცოცხლებს.

ეს საუცხოოდ დადგმული დუეტი გენიალური მიზანსცენით მთავრდება: განათებით შექმნილ მთვარის დისკოში ისახება სოლისტი გოგონას სახე, რომელსაც მამაკაცი ახებს თავის ხელს და შემდეგ თითქოს ქედს იხრის მტანჯველი სიყვარულის სევდიანი სიმბოლოს წინაშე. დუეტის ასეთი ფინალი საყვარელი, მშვენიერი, ხელთუქმნელი ქალისადმი სიყვარულის გამოხატულებადაა ჩაფიქრებული. კრიტიკოსს ანნა კისელგოფის სიტყვებით „შეყვარებულმა მუხლი მოიყარა თავისი ქალური იდეალის წინაშე, კავალერმა მუხლი მოიყარა თავისი პარტნიორის (ბალერინას) წინაშე, - ასეთია ბალანჩინის არტისტული იდეალი“. ასეთი ფინალი ბალანჩინმა პრემიერამდე ერთი დღით ადრე მოიფიქრა. დუეტის პირველ შემსრულებლებს - პიტერ მარტინსა და კეი მაზზოს, როგორც მოგვიანებით თავად აღნიშნავდნენ, თავზარს სცემდათ მათ თავზე შავად შემოხაზული შუქები, მაგრამ წარმატება გამაოგნებელი აღმოჩნდა. პრემიერის შემდეგ, 1972 წელს, სცენაზე შეჭრილმა ლინკოლნ კორსტაინმა დუეტს „პატარა საუნჯე“ უწოდა.

და რაოდენ სიმბოლურია, რომ ამ „პატარა საუნჯეს“ 36 წლის შემდეგ დიდი საუნჯის მქონე ქვეყნის შვილები აცოცხლებდნენ...

ალბათ დარბაზში, ვახტანგ ჭაბუკიანის სულის შორიახლოს, ამერიკული ბალეტის მამის ჯორჯ ბალანჩინის, იგივე გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძის სულიც იქნებოდა... მოწონების ნიშნად სახეზე ჩუმი ღიმი იცოდაო, თურმე...

ქართველებმა ხომ დავანახეთ ქართული სული ამერიკელებს... მაგრამ ამავე დროს ისიც დავამტკიცეთ, რომ იაპონიის სულშიც შეგვიძლია ღრმად ჩაწვდომა... თანაც ისე პროფესიონალურად, რომ თვითონ იაპონელებს დავაჭყეტინოთ თვალები...

ეს არის ლამაზი ზღაპარი ნინო ანანიაშვილის იაპონური თემატიკით გატაცების შესახებ, და მას სახელად „სიზმრები იაპონიაზე“ ჰქვია.

ეს მინიატურა კაბუკის თეატრის პიესების მიხედვით ალექსეი რატმანსკიმ სწორედ ნინოს თხოვნით შექმნა. ჟანრი თავად სახელწოდებამ განსაზღვრა - სიზმრები საბალეტო იდეებზე, სადაც გამოყენებული იქნა იაპონური გრიმი, პარიკი, მინიმალური დეკორაცია და რა თქმა უნდა, მუსიკა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის სპექტაკლის პოპულარობაში.

ეს სპექტაკლი შექმნილია ოთხი განთქმული პოეტური პიესის მიხედვით. ესენია: „საგი მუსუმე“ (ქალწული წერო უმღერის თავის უიღბლო სიყვარულს), „ფუტა ომოტე“ (საყვარლების მიერ მიტოვებული ცოლ-ქმარი თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს და მათი განდევნილი სულები ერთიანდებიან ბოროტ აჩრდილში, რომელიც შურისძიებით შეპყრობილი დაედევნება საყვარლებს და სიცოცხლეს მოუსწრაფებთ მათ), „მუსუმე დოჯოჯი“ (ახალგაზრდა ბერი უარყოფს ქალწულის სიყვარულს. შეურაცხყოფის გამო ქალწული ცეცხლოვან გველად გარდაისახება, აედევნება შეშინებულ ბერს და სიცოცხლეს გამოასალმებს) და „კაგამი ჯიში“ (ლომის ნიღაბი აიძულებს ახალგაზრდა ყმაწვილს ქანცის გაცლამდე იცეკვოს, ვინც მას შეეხება, თვითონაც გაშმაგებით იწყებს ცეკვას).

კონცერტის დამთავრების შემდეგ, ფოიეში საგანგებოდ მოვძებნე იაპონელი მაყურებელი, მივუახლოვდი და სხვათაშორის შევეკითხე, თუ რომელი ნაწილი მოეწონა განსაკუთრებით.

პასუხი მოულოდნელი იყო, იაპონელს ძალიან მოეწონა „სიზმრები იაპონიაზე“, აღფრთოვანებით კი ქართულ „საგალობელზე“ აღფრთოვანდა.. და როცა მიზეზი ვკითხე, კითხვითვე მიპასუხა:

- როგორ შეიძლება არ მოგეწონოს გადატრიალება მსოფლიო ბალეტში? ახალი ქარიშხალი ძველი სიოს თანხლებითო?

ამ შედარებით გაოცებულმა პასუხი ვერ გავეცი და სიჩუმეში დავშორდით.

ათიოდე წუთის შემდეგ, როცა ნინო ანანიაშვილის ავტოგრაფით დამშვენებული პუანტებით ხელში თეატრის გასასვლელს მივუახლოვდი, მხარზე ხელის შეხებით ვიღაცამ უკან მომაბრუნა, ვიცანი, ისევ ის იაპონელი იყო, გარდეროობის გრძელი რიგისათვის თავი დაეღწია და გაღიმებული მეუბნებოდა:

- არათუ ამერიკული ბალეტი, მსოფლიოს ბალეტიც ვალშია ქართველებისადმიო!

ამაზე ხომ მთლად ენა ჩამივარდა პირში.

**მანუჩარ კაჭახიძე**

გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2008 წლის 10 მარტი

დოკუმენტური ჰუმორი



რევაზ მიშველაძე

## ცხრა აკვანი

ლევან სანიკიძე, თამაზ წივწივაძე, ომარ გოცაძე და მე სადღაც შეხვედრაზე მივდივართ. გზაში თამაზის წერილებიდან ადგილებს ვყვები.

— როგორ აბიაბრუებს თამაზი ერთი რომანის პასაჟს — ცოლმა ქმარს აივნიდან ხუთი ვედრო ჭუჭყიანი წყალი რომ გადაასხა თავზე. ხუთი ვედრო წყლის გადმოსხმა მწერლის შეცდომაა, წერს წივწივაძე — პირველ ვედრო წყალს რომ გადმოასხამს ცოლი, არცერთი ჭკუათმყოფელი ქმარი დანარჩენ ოთხ ვედროს არ დაუცდის.

ლევანი ხომ კვდება სიცილით და გასაკვირი ისაა, რომ თვითონ წივწივაძეც გულიანად იცინის.

— აბა, ნამდვილ მწერალს ასეთი შეცდომა როგორ უნდა მოუვიდესო, — მრავლისმეტყველად დაასკვნის ლევან სანიკიძე.

— შენც მყავხარ გამოჭერილი, — მიუბრუნდა თამაზი — „უქარქაშო ხმლებში“ ერთ ადგილას გიწერია, გლეხის ქალი ცხრა შვილის აკვანს ერთდროულად არწევდაო.

— მერე? — ღიმილი შეაცივდა სახეზე ლევანს.

— რა მერე, შენ მაინც უნდა იცოდე, სტუდენტებში ტრიალებ. როცა დედას მეცხრე შვილი სააკვნე ჰყავს, პირველი შვილი ასპირანტის ასაკს გადაცილებულია და აკვანში რა დაატევდა.

ჩემს თვალწინ მოხდა გარიგება პურმარილზე, რომ თამაზს ეს „იაღლიში“ საქვეყნოდ არ გამოეტანა.

„ლოზუნგების ქვეყნის“ ავტორი დანაპირებს დღემდე ერთგულად ასრულებს.

## ჯიხვი

საკანდიდატო დისერტაცია რომ დავიცავი, ბანკეტი გადავიხადე. მაშინ ბანკეტი მთავრობის მიერ აკრძალული არ იყო.

ნოდარ დუმბაძე თამადობდა.

ზუგდიდელმა მეგობრებმა შემწვარი ვაცი ჩამომიტანეს. ორიგინალურად იყო შემწვარი — ფეხებზე იდგა. სუფრაზე რომ დავდგით, შეზარხოშებული სტუმრები აღფრთოვანდნენ. მეც არ ვაცივე, არც ვაცხელე და ჯიხვია-მეთქი, გამოვაცხადე.

ნოდარ ჩხეიძემ მოხერხებულად ჩამოაჭრა „ჯიხვს“ ხორცი და ჩამოარიგა.

ვხედავ გაჭრა ჩემმა ტყუილმა, მოწონების შეძახილები მესმის. რა გემრიელი ყოფილა ჯიხვის ხორციო, — ვინც პირველად მიირთმევდა. შენ აგაშენა ღმერთმა, რამდენი ხანია ჯიხვის ხორცი არ მიგემნიაო, — ზოგმა.

ქეიფის დასასრულს ნოდარმა მიხმო, მხარზე ხელი გადამადო და მიჩურჩულა:

— ისე, ტყუილებს ბავშვობიდან ნუ მიეჩვევი, მიშველაძე, თვარა სადოქტორომდე მისვლა გაგიჭირდება. ჯიხვები ჩვენ ვართ, აი თხა ჯიხვად რომ მოგვასაღეო.

მაშინ „ჯიხვს“ მოტყუებულს, უცოდინარს, „ღრმა პროვინციელს“ ეძახდნენ.

## რომ მოგპარონ?

მატარებელში მიამბო ერთმა:

თავის დროზე კომპარტიაში მინდოდა შესვლა, მაგრამ ენამ წამისწრო და რაიკომის ბიუროდან გამომაბუნძულესო.

ანკეტაც შევავსე, კრებამაც მიმიღო, გასაუბრებაც გავიარე და ბოლოს რაიკომის ბიუროზე რომ გამიყვანეს, ერთმა ლოტოსკოჭისდარმა პარტიულმა სხვათაშორის მკითხა:

— მანდატს სად შეინახავო.

— გულის ჯიბეში-მეთქი.

— პიჯაკი რომ მოგპარონო?

— მაშინ შარვლის ჯიბეში-მეთქი.

— შარვლის ჯიბე რომ გაგიჭრას ჯიბგირმაო?

— შინ, კარადაში შევინახავ-მეთქი.

— სახლში რომ ქურდი გეწვიოს და კარადა გაგიცარიელოსო?

— კედლის ღრიჭოში დავმალავ, რომ ქურდმა ვერ იპოვოს-მეთქი.

— სახლი რომ დაგეწვასო?— ჩამომსდია, საშველს არ მაძლევს.

ნერვებმა მიმტყუნა:

— შე ოჯახაშენებულო, კოსტიუმი თუ მომპარეს, კარადა გამიქურდეს და სახლი დამიწვეს ეს თქვენი მანდატი რა ოხრად მინდა-მეთქი!

— წადი, თავისუფალი ხარო.

## მეთექვსმეტე?

ერთხელ ოტია იოსელიანი და მე კასპში ვიყავით შეხვედრაზე.

დარბაზიდან ერთმა ლამაზმა ქალმა შეკითხვა დაგვისვა:

— პატივცემულო მწერლებო, რამდენჯერ შეიძლება შეუყვარდეს ცხოვრებაში ქალს მამაკაცი?

ორივე დაგვაბნია ამ უჩვეულო შეკითხვამ.

— ბატონი ოტია ჩემზე უფროსი გახლავთ, ცხოვრებაში გამობრძმედილი კაცია და უპასუხებს-მეთქი.

„დავუთმე“ ოტიას.

— არაფერიც! ბატონი რეზო პროფესორია და პროფესორს წინ ვერ გავუხტებიო. — ქვა ააგდო და თავი შეუშვირა ოტიამ.

მეტი რა გზა მქონდა. რაღაც მივკიბ-მოვკიბე, ვილაპარაკე კლასიკურ ერთსიყვარულზე, პლატონურ სიყვარულზე... მერე საუკუნის სიყვარულზე და ბოლოს დავასკვენი: სიყვარული იმდენჯერ შეიძლება მოვიდეს, რამდენჯერაც ჩვენ მისი მიღება შეგვიძლია-მეთქი.

— მაინც რამდენჯერ? — არ გვეშვება შეკითხვის მომცემი.

— მაინც... რაკი რიცხვი გაინტერესებთ, თხუთმეტჯერ შეიძლება გვეწვიოს სიყვარული! — ვიხუმრე.

— მეთექვსმეტე ბოზობაა, ქალბატონო! — არ დააყოვნა ოტიამ.

ხარხარმა არა მარტო ფანჯრები შეაზანზარა, ჭაღიც შეარხია.



# ღია გაკვეთილი

***№222 საჯარო სკოლის ლოტოტრონით არჩეულმა დირექტორმა ძნელად აღსაზრდელთა კლასში ერთი გაკვეთილი ჩაატარა და კარგი დღეც დაადგა. გაკვეთილი, ბუნებრივია, ალფაბეტის არეულ-დარეული სიის ამოკითხვით დაიწყო.***

**— ნოღაიდელი!**

კლასში სიჩუმეა.

**— ნოღაიდელი!**

— არ არის! — ერთხმად უპასუხა მთელმა კლასმა.

**— რატომ არ არის?** — იკითხა დირექტორმა.

— განა თქვენ არ გარიცხეთ სკოლიდან, პატივცემულო?

**— მართლა, აღარც მახსოვს, რატომ გავრიცხე?** — იკითხა ლოტოტრონით არჩეულმა დირექტორმა და კოსტიუმის ჯიბეში რაღაცის ძებნა დაიწყო, თუმცა, ვერ იპოვა და გაბრაზებულმა ჩაიბუტბუტა — **ამათ ხელში ერთი ცხვირსახოცი ვერ მიყიდია!**

— იმიტომ გარიცხეთ, რომ დაიღალა! — უპასუხეს ბავშვებმა.

**— ჰო, დაიღალა, მართალი იყო შალვა, დაღლილი ვირი რომ უწოდა**! — ჩაილაპარაკა დირექტორმა და სიის ამოკითხვა განაგრძო — **ლომაია!**

— ვარ!

**— ადექი ფეხზე, შე სოროსანო!**

— რატომ ვარ სოროსანი, მასწ? — პროტესტი გამოთქვა ლომაიამ.

**— თუ სოროსანი არ ხარ, მაშინ მითხარი, ვინ იყო გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე?**

— ვახტანგ გორგასალი! — სხარტად უპასუხა ლომაიამ.

**— ვაი შენს პატრონს, უბედურს, ეგეც არ იცი!**

— რატომ, მასწ? თუ გორგასალი გაერთიანებული საქართველოს მეფე არ იყო, მაშინ ნატოში შესვლაზე როგორ ოცნებობდა?

**— მერედა ვინ თქვა, რომ გორგასალი ნატოში შესვლაზე ოცნებობდა?**

— თქვენ თქვით, მასწ, სპორტის სასახლეში ღია გაკვეთილი რომ გვქონდა, მაშინ! — არ დაიბნა ლომაია.

**— დაეგდე, ლომაია, შენგან სანტექნიკოსის მეტი არაფერი გამოვა!** — ხელი ჩაიქნია დირექტორმა მომავალ განათლების მინისტრზე და სიაში მომდევნო გვარი ამოიკითხა — **ბენდუქიძე!**

— ვართ!

**— ბენდუქიძე, არ შეიგინო და ისე მითხარი, რა გაქვს დღეს გაკვეთილად?**

— ტყეებისა და მდინარეების გასხვისება-გაპრიხვატიზების წესები და საიდუმლო ხერხები.

**— მერე იცი გაკვეთილი?**

— ჯერ არა, მასწ, მაგრამ ვსწავლობ!

**— რამდენი ხანია, მაგ გაკვეთილს სწავლობ, ბენდუქიძე, სადა გაქვს სინდისი?**

— გავყიდე, პატივცემულო.

**— მერაბიშვილი!** — ამოიკითხა შემდეგი გვარი დირექტორმა.

— ვარ!

**— საშინაო დავალება თუ მოამზადე?**

— მოვამზადე, პატივცემულო!

**— რა დავალება გქონდა?**

— რუსეთის აგენტთა სახეები ქართულ ოპოზიციაში!

**— აბა, დაიწყე!**

— კოკო, შალვა და ბადრი არიან რუსეთის აგენტები. მათ სისტემატური კავშირი აქვთ...

**— გაჩერდი, ეგ დავალება ხომ უკვე ჩამაბარე?** — გააწყვეტინა მერაბიშვილს დირექტორმა — **ახალი რა მოამზადე?**

— ახალ დავალებაზე ახლა ვმუშაობ, პატივცემულო და 5 იანვრამდე აუცილებლად ჩაგაბარებთ!

— **კარგი, დაჯექი, მერაბიშვილო, შენი იმედი ყოველთვის მაქვს**! — უთხრა დირექტორმა თავის საყვარელ და ერთგულ მოსწავლეს. ის იყო, სიის ამოკითხვა უნდა გაეგრძელებინა, რომ უკან, სულ ბოლო რიგში, ერთ თეთრთმიან მოხუცს მოჰკრა თვალი, რომელიც კუთხეში იჯდა და მაწონს ჭამდა. — **შენ ვინღა ხარ? აქ რა გინდა?** — ჰკითხა მოხუცს დირექტორმა.

**— შენი ყოფილი მასწავლებელი ვარ, ვერ მიცანი?**

222-ე სკოლის დირექტორმა იცნო ყოფილი მასწავლებელი და ამასობაში ზარიც დაირეკა. ყველანი გასასვლელისკენ გაემართნენ.

**— თქვენ სადღა მიდიხართ, მასწავლებელო?** — ჰკითხა ლოტოტრონით არჩეულმა სკოლის დირექტორმა თავის ყოფილ მასწავლებელს, რომელიც მის მოსვლამდე დირექტორობდა ამ სკოლას.

**— სახლში, ბიძიკო, სახლშიიი!** — მიუგო ყოფილმა დირექტორმა ამჟამინდელ დირექტორს და გასასვლელისკენ გასწია.

ლოტოტრონით არჩეულმა დირექტორმა თავის **ტრიბუნა ჩემოდანი** აკეცა, იღლიაში ამოიჩარა და კლასიდან გავიდა!

**ჯაბა ხუბუა**

ასე ერქვა საქართველოს რადიოს ყველაზე პოპულარული პროგრამის „პიკის საათის“ ერთ-ერთ რუბრიკას, რომელშიც ჩვენთვის საყვარელი და გამორჩეული ადამიანები ცხოვრებისეულ ეპიზოდებს იხსენებდნენ.



## „მხიარული მემუარები“

### «დამნაშავე» რეზო ლაღიძე

კომპოზიტორთა კავშირის ერთ-ერთ პლენუმზე პირველად შესრულდა **რევაზ ლაღიძის** შედევრი — სიმფონიური სურათი „საჭიდაო“. შემდეგ გაიმართა დებატები. მომხსენებელმა, — ცნობილმა მუსიკისმცოდნე **პავლე ხუჭუამ** ბრძანა:

**— რეზო ლაღიძე ბოროტმოქმედია, დიახ, ნამდვილი ბოროტმოქმედი. ის უნდა ჩაკეტო ოთახში, იჯდეს და წეროს მუსიკა. ნაცვლად ამისა, იგი დროს ნადირობასა და თევზაობაში ატარებს და არ უფრთხილდება საკუთარ ნიჭს.**

პლენუმის სტუმართა შორის იყო მეოცე საუკუნის უდიდესი კომპოზიტორი **დიმიტრი შოსტაკოვიჩი** — უაღრესად თავმდაბალი და მორიდებული პიროვნება. მივიდა ტრიბუნასთან და თქვა: «*С удовольствием стал-бы заядлым рыбаком, если в мою сеть попадеться такая «Золотая рыбка», как «Сачидао».*

**მეორე დღეს კულუარებში ხუმრობდნენ, მონკავშირის მაღაზიაში კომპოზიტორთა გრძელი რიგი დადგაო.**






### გირჩევთ, არ წაიკითხოთ, სისულელეა...

იმ დროს, როცა ბატონმა **გურამ დოჩანაშვილმა** მოთხრობების პირველი კრებული გამოსცა, საქართველოში წიგნების ტირაჟი რამდენიმე ათასს აღემატებოდა. კარგი წიგნი კი მაინც დეფიციტი იყო.

ბატონ გურამს, როგორც ავტორს, წიგნების გარკვეული რაოდენობა სასაჩუქრედ ერგებოდა. ერთ დღესაც შემოლევია ეს წიგნები. რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მისგან ძვირფას „ძღვენს“ ელოდა, განაწყენებული დარჩენილა. გადაუწყვეტია, თავად შეეძინა მაღაზიაში და „ვალიც“ გაესტუმრებინა. ყველგან გაყიდული დახვდა. საწყობშიც აღარ დარჩენილიყო. ურჩიეს, ქალაქის განაპირას, აეროპორტის დასახლებაში მიეკითხა წიგნის მაღაზიისთვის. იქ ძირითადად რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობდა და ამიტომ შეიძლება შემორჩენილიყო რამდენიმე ეგზემპლარი. წავიდა. მოძებნა მაღაზია:

**— გურამ დოჩანაშვილის მოთხრობების კრებული თუ გაქვთ?**

**— ბოლო ეგზემპლარი ერთი საათის წინ გავყიდე,** — უპასუხა გამყიდველმა.

იმედგადაწურულ და დაღონებულ მწერალს რომ შეხედა გამყიდველმა, მისი დამშვიდება სცადა:

**— ბატონო ჩემო, დიდად ნუ ინაღვლებთ, გული არ დაგწყდეთ, სწორედ გუშინ დავამთავრე მაგ წიგნის კითხვა და გულწრფელად რომ გითხრათ, დიდი არაფერია. სისულელეა!**

### სერგო ზაქარიაძე და მოხევის ლოგიკა



ერთ ზაფხულს თბილისურ ხვატს გაქცეული ბატონი **სერგო ზაქარიაძე** ფასანაურს აფარებდა თავს. იგი სტუმრობდა იმხანად ახალგაზრდა მსახიობის, ფასანაურელი **იაკობ ტრიპოლსკის** ოჯახს.

ეს ეპიზოდიც ბატონი იაკობის მონაყოლია:

„დილაა, კარზე აკაკუნებენ. ბატონი სერგო შეეგება სტუმარს. მის წინ დგას მთიელის ტანსაცმელში გამოწყობილი მოხევე, გასაყიდი ქილა ერბოთი ხელში.

- **რამდენი გინდა მაგაში?** - ეკითხება ბატონი სერგო.

- **სამ მანათ მინდა!** - უპასუხა.

ბატონ სერგოს ძალზე ეიაფა, ამოიღო სამმანეთიანი და აჩვენებს.

- **აი, ეს გინდა მაგაში?**

- **ჰო, ეგა,** - უპასუხა მოხევემ.

ბატონმა სერგომ გამოართვა ქილა, მისცა სამმანეთიანი. თან დააყოლა:

- **თუ კიდევ გექნება, მოიტანე. ვიყიდი.**

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გამოჩნდა ის მოხევე ქილა ერბოთი. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ბატონმა სერგომ ავტომატურად ამოიღო ჯიბიდან სამმანეთიანი და მიაწოდა.

**- სამ მანათ არა, ხუთ მანათ მინდა!** - ამბობს მოხევე.

**- კი მაგრამ, ის ქილა რომ სამ მანეთად მომყიდე, ახლა რატომ გააძვირე?**

**- მაშინ სამ მანათ მჭირდებოდა, ახლა ხუთ მანათ მჭირია!**

ვერაფერი დაუპირისპირა ბატონმა სერგომ მოხევის ლოგიკას, ამოიღო ხუთმანეთიანი და გაუწოდა.

2008 წლის 27 აპრილს,
აღდგომას, საღამოს 5 საათზე

# გიწვევთ

ნიუ იორკის წმიდა ნინოს სახელობის
ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის
საქველმოქმედო კონცერტზე

**რესტორანი „ოდესა“**
**1113 Brighton Beach Ave**
**Brooklyn NY 11235**
**დაგვიკავშირდით:**
(347)528-0037; (718) 781 -6945

გთხოვთ მობრძანდეთ!
თქვენი თანადგომა მნიშვნელოვანია

## DISCOUNT PLUS STORE




T-Mobile cingular WESTERN UNION GIROSOL La Nacional

მაია ნინოშვილის სააგენტო

## GEORGIA-USA TRAVEL

ავიაბილეთები
საქართველოდან და
საქართველოში და
ევროპის ნებისმიერი
ქვეყნის მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214

**ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. სურვილის მიხედვით პრაქტიკის გაკვეთილები ჩატარდება ტელეფონის საშუალებით.**

718-784-1337
ლელა



# გადაარჩინე შენი გაზეთი!

**შემოწირულობა „მამულის“ არსებობისათვის**

სურვილი მაქვს „მამულის“ არსებობისათვის გავიღო — დოლარი.

______________________________
(თქვენი სახელი და გვარი)

______________________________
(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

______________________________
(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

DANCING CRANE-თან არსებული
ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი

DANCING CRANE TRADITIONAL ARTS PROJECT



## 18 მაისს, კვირას, დღის 2:30 საათზე

**ნიუ იორკ უნივერსიტეტში**

**60 Washington Square South**
**New York, NY 10012-1019**

მონაწილეობენ: ხათუნა იოსელიანი, ხატია პაიჭაძე, მერაბ ებრალიძე, „კავკას-ექსპრესთან“ და წმ. ნინოს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებული ქართული სკოლების მოსწავლეები, „მოცეკვავე წეროებთან“ არსებული ვაჟთა ვოკალური ბუნდი

**ბილეთის ფასი 25 დოლარი**

საინფორმაციო მხარდაჭერა:
მამული gezi.us
347-424-5494; 347-893-0214; 347-522-5392



4 მაისს, 2 საათზე
თეატრ „მილენიუმში“

# თამრიკო

## იწვევს მეგობრებს

წარმოდგენილი იქნება
განახლებული პროგრამა
ქართულ საცეკვაო ანსამბლ
„არგო“-სთან ერთად.

**ორგანიზატორები:**
MILLENNIUM, STUDIO STVR

**საინფორმაციო მხარდაჭერა:**
მამული, OGAGGG.com

**Tickets: 718-307-5656, 917-517-6674**
**www.tamrikodavitashvili.com/news**

## მილოცვები

„მამულის“ რედაქცია ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ულოცავს ქართველი ემიგრაციის მწყემსმთავარს ამერიკაში, მამა **ალექსანდრე თანდილაშვილს**. მხნეობასა და ჯანმრთელობას ვუსურვებთ ღვთის გზაზე.



ჩვენს დიდებულ მამულიშვილს, **მარიკა ბლუაშვილს** ვულოცავთ ბრწყინვალე წარმატებას, ექიმის წოდების დაცვას და ექიმ-პედიატრად სამსახურის დაწყებას.

**პატივისცემით:**
**კახაბერ გოგიბერიძის ოჯახი**

* * *

**მანუჩარ, ანზორ, ავთანდილ კაჭახიძეებს,**

დიდი სითბოთი და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს.

ძვირფასო ბიჭებო თქვენი დაბადება ქვეყანას თოფის სროლით კი არ ემცნო, არამედ მოთქმა—გოდებით. მთელი იმერეთი გლოვობდა თქვენს ლამაზ დედიკოს. ამიტომაცაა, რომ ყოველთვის გიჭირთ ამ დღის აღნიშვნა. დედის გარდაცვალებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ ტრაგიკულად დაგეღუპათ საყვარელი მამა, მაგრამ მიუხედავად რთული ცხოვრებისა, დღემდე სწორი გზით მოდით, ისე როგორც შეჰფერის მიხეილ კაჭახიძის ოჯახს.

ჩვენო მანუჩარ, გილოცავთ, იყავი ბედნიერი, გისურვებთ ბედნიერი ქართული ოჯახის შექმნას.

**დიდი სითბოთი,**
**სიყვარულით და პატივისცემით:**
**ნინო ხარაბაძე, ნანა და ზეინაბ ნაკაშიძეები, ნანა ანთიძე, დოდო კაცია, მარინა გელაშვილი, დალი ხოფერია და როლანდ ნუცუბიძე.**

* * *

დაბადების დღეს ვულოცავთ **თამრიკო გელენიძეს,** სიხარულს, ბედნიერებას, ულევ სიხარულსა და წარმატებებს ვუსურვებთ.

**ნათესავი ნიუ-ჯერსიდან**

* * *

ჩვენს საყვარელ მეგობარს, **ნარგიზ ბიბიჩაძეს** ვულოცავთ 50 წლის შესრულებას, ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ბედნიერება და ღვთის წყალობა იყოს მუდამ შენი ცხოვრების მეგზური. მალე აგსრულებოდეს შენი ოცნება და ჩახუტებოდე 9 წლის უნახავ ქუთაისს, შენს ოჯახს, შენს ახლობლებს. შემდეგი საიუბილეო თარიღი შენს ახლო მეგობრებთან ერთად, შენს ლამაზ ოჯახში აგვეღნიშნოს

**მეგობრები ბრაიტონიდან::**
**მარინა გელაშვილი, დალი ხოფერია, იამზე გოგუაძე, ნათელა მოსიაშვილი, ნანა ბერაძე, ნანა ქათამაძე, ნანა ნაკაშიძე, ნინო ხარაბაძე**

* * *

ჩვენს კოჰწია **ირა ნაცვლიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, ბედნიერებასა და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

**პატივისცემით:**
**ახლობლები ნიუ-ჯერსიდან**

* * *

ჩვენს **ნინო ხარაბაძეს,**

ვულოცავთ დაბადების დღეს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს შენ აქ და შენს ლამაზ ოჯახს საქართველოში.

**დარდი არ გაგკარებოდეს,**
**არ მოგეღალოს მკლავია,**
**სიკეთე იყოს სულ ყველგან**
**შენი შუბი და ფარია.**

**პატივისცემით:**
**მარინა გელაშვილი, ნარგიზა ბიბიჩაძე, ნათელა მოსიაშვილი, დალი ხოფერია, ნანა ნაკაშიძე**

## განცხადება

თბილისთან ახლოს, წავკისში, აკადემიკოსების დასახლებაში სახლი ეზოთი. პირველ სართულზე მოთავსებულია მისაღები, სასადილო ოთახები და ბახარი. მეორე სართულზე 4 საძინებელი ოთახი, ლოჯი და ღია აივანი. სველი წერტილები ორივე სართულზე. ეზო 800მ² ხეხილით.

დაგვიკავშირდით: თბილისში 21-55-51, ამერიკაში 732-423-8788. ფასი შეთანხმებით.

მანუჩარ კაჭახიძე, ნინო და თამაზ ხარაბაძეები თანაუგრძნობენ ლილი ცქიფურიშვილს მწუხარებაში სიძის,
**კოტე ჟღენტის**
გარდაცვალების გამო

## სამძიმარი

გაზეთ „მამულის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს საზოგადოებას **ანა კალანდაძის** გარდაცვალების გამო




ასავალ დასავალის პარტნიორობით

მამული

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს
საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“
ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

ჩვენი გაზეთის შემდეგი
ნომერი გამოვა 26 მაისს